საპარლამენტო ბიბლიოთეკის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 აგვისტო პარასკევი 2012 №188 (13794) ფასი 80 თეთრი



| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 39 | 25 | 26 | 90 |
| 2. ჩინეთი | 37 | 24 | 19 | 80 |
| 3. დ. ბრიტანეთი | 25 | 13 | 14 | 52 |
| 4. რუსეთი | 12 | 21 | 23 | 56 |
| 5. ს. კორეა | 12 | 7 | 6 | 25 |
| 6. გერმანია | 10 | 16 | 11 | 37 |
| 7. საფრანგეთი | 8 | 9 | 12 | 29 |
| 8. უნგრეთი | 8 | 4 | 3 | 15 |
| 9. იტალია | 7 | 6 | 6 | 19 |
| 10. ავსტრალია | 6 | 13 | 10 | 29 |
| 11. ყაზახეთი | 6 | 0 | 3 | 9 |
| 12. იაპონია | 5 | 14 | 14 | 33 |
| 13. ჰოლანდია | 5 | 5 | 6 | 16 |
| 14. ირანი | 4 | 4 | 1 | 9 |
| 15. ჩრ. კორეა | 4 | 0 | 1 | 5 |
| 16. ბელარუსი | 3 | 3 | 4 | 10 |
| 17. იამაიკა | 3 | 3 | 3 | 9 |
| 18. კუბა | 3 | 3 | 2 | 8 |
| 19. ახ. ზელანდია | 3 | 2 | 5 | 10 |
| 20. უკრაინა | 3 | 1 | 6 | 10 |
| 21. ს. აფრიკა | 3 | 1 | 1 | 5 |
| 22. ესპანეთი | 2 | 7 | 2 | 11 |
| 23. რუმინეთი | 2 | 5 | 2 | 9 |
| 24. დანია | 2 | 4 | 3 | 9 |
| 25. ჩეხეთი | 2 | 3 | 3 | 8 |
| 26. ბრაზილია | 2 | 2 | 7 | 11 |
| 27. კენია | 2 | 2 | 3 | 7 |
| 28. პოლონეთი | 2 | 1 | 6 | 9 |
| 29. ხორვატია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 30. შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 3 |
| 31. ეთიოპია | 2 | 0 | 2 | 4 |
| 32. კანადა | 1 | 5 | 10 | 16 |
| 33. შვედეთი | 1 | 3 | 3 | 7 |
| 34. სლოვენია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 35. საქართველო | 1 | 1 | 1 | 3 |
| 35. ნორვეგია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 37. დომინიკა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 38. ირლანდია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 38. ლიტვა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 38. თურქეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 41. ალჟირი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 41. გრენადა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 41. ვენესუელა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 44. კოლუმბია | 0 | 3 | 3 | 6 |
| 45. მექსიკა | 0 | 3 | 2 | 5 |
| 46. აზერბაიჯანი | 0 | 2 | 3 | 5 |
| 47. ეგვიპტე | 0 | 2 | 0 | 2 |
| 48. ინდოეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| 48. სლოვაკეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| 50. სომხეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 50. ბელგია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 50. მონღოლეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 53. ესტონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 53. ინდონეზია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 53. მალაიზია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 53. სერბეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 53. ტაილანდი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 53. ტაივანი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 53. ტუნისი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 60. ბოტსვანა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 60. ბულგარეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 60. კვიპროსი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 60. ფინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 60. გვატემალა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 60. პორტუგალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 66. საბერძნეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 66. მოლდოვა | 0 | 0 | 2 | 2 |
| 66. ყატარი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 66. სინგაპური | 0 | 0 | 2 | 2 |
| 70. ავღანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. არგენტინა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. ჰონკონგი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. ს. არაბეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. ქუვეითი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. ლატვია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. მაროკო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. პუერტო რიკო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. ტაჯიკეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. ტრინ. და ტობაგო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 70. უზბეკეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

# რა დილა თენდება




## დილამ კუნძული ჩაძირა



დღეს ევროპალიგის პლეი ოფის წილისყრაა

რა მოხდა კვიპროსში 10

## ჩვენ ჩვენი გვიყვარს...




16




## ბოლტი, რუდიშა და რეკორდი






8



## ვღელავთ თავისუფლად

ხალიჩაზე არიან: 16:00 ვლადიმერ ხინჩეგაშვილი,
16:10 დავით ხუციშვილი

3

# ქართველები ოლიმპიადებზე
london 2012

● მწვრთნელის შეფასება



თენგიზ გაჩეჩილაძე
ლონდონიდან

## ვანო გრიქუროვი: ნაგება ობოლია...



გია მაჭავარიანი და მისი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი

**ტექსტი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვანო გრიქუროვთან ოლიმპიურ სოფელში სტუმრობისას ჩავიწერეთ.**

— პირდაპირ გეტყვით, ირაკლი თურმანიძის გამოსვლამდე ჩვენი ძალოსნების შედეგებით ძალიან უკმაყოფილო ვიყავი. ფაქტობრივად მწვრთნელთა მიერ გაწეული შრომა და ამდენი წვალება წყალში ჩაიყარა. ამას განსაკუთრებით მაჭავარიანზე ვამბობ. იმდენად სურდა მიზნის მიღწევა, ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლო, გადაიწვა — კრიტიკულ მომენტში ნერვებმა უმტყუნა. ოლიმპიადამდეც ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ ბიჭებს მაქსიმუმი გამოევლინათ, ამისთვის მზადაც იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ოლიმპიურ ფიცარნაგზე მათ ეს ვერ მოახერხეს. ყველა მიზეზი აბსურდულია. მე ჩემი შეგირდების გმირობას და სპორტულ თავდადებას ვარ მიჩვეული. ისეთს, როგორც თავის დროზე გამოავლინეს ოლიმპიურ სარბიელზე **კახი კახიაშვილმა** და **გიორგი ასანიძემ**. მაგრამ, რა გაეწყობა, ყველა არ არის გმირად დაბადებული. ხომ გაგიგიათ, ნაგება ობოლია, მოგებას ათასი მამა ჰყავსო — მიხვდებით, რასაც ვამბობ, თავს ნამდვილად არ ვიმართლებ.

ირაკლი თურმანიძის ასპარეზობით უკმაყოფილო არ ვარ. მას ჰქონდა ოქროს მედლისთვის ბრძოლის კარგი შანსი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ირაკლი უჩვეულოდ მიზანსწრაფული, გაწონასწორებული, მუდამ ღიმილიანი, მტკიცე ნერვების სპორტსმენი და, საერთოდ, შესანიშნავი პიროვნებაა. ეს ყველაფერი ჩანდა ფიცარნაგზე, განსაკუთრებით კრიტიკულ მომენტებში.

მოკლედ, ჩვენი ბიჭებისგან ნამდვილად მეტს მოველოდი.

● ოლიმპიზმი

## გამორჩეული პატივი ოლიმპიზმის სამშობლოს

ლონდონში მიმდინარე ოლიმპიურ თამაშებში, ბევრი რამ არის დასამახსოვრებელი და, რაც მთავარია, ორიგინალური. ოლიმპიურ სოფელში თითქმის ყველა საცხოვრებელი კორპუსი ერთმანეთისგან რიღაცით მაინც განსხვავებულია. თუმცა ერთი მათგანის არქიტექტურა და გარე ხედი, მაინც უალრესად შთამბეჭდავი და განსაკუთრებულია. ეს არის საბერძნეთის ოლიმპიური დელეგაციისთვის სპეციალურად აგებული კორპუსი, რომლის ყველა სართულის ყველა კედელზე მოჩანს ანტიკური საბერძნეთის დროიდან შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობა, ორნამენტების ასლები, რაც ოლიმპიზმთან ან საერთოდ ადამიანის სხეულისა და სულის ერთიანობის ჰარმონიულობას უკავშირდება.

— ეს განსაკუთრებული პატივია და ამას სავსებით იმსახურებს ქვეყანა, რომლის გენიამ მრავალმხრივ წარუშლელი კვალი დატოვა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ამ ქვეყანაში ანტიკურ ეპოქაში იშვა ოლიმპიური თამაშები, რომელიც აღორძინდა და დღეს მთელ მსოფლიოს აერთიანებს. ლონდონი ერთადერთი ქალაქია, უკვე მესამედ რომ მასპინძლობს თანამედროვეობის თამაშებს, რაც დღემდე არავის რგებია წილად — გვითხრა ლონდონის ოლიმპიადის ოლიმპიური სოფლის თანამშრომელმა, **ჯეიმს ტამბერმა.**

● ოლიმპიადა და მედიცინა

## კარგია, როცა ყველაფერი გაქვს...

**ლონდონის ოლიმპიადაზე, შეიძლება თამამად ითქვას, ჯეროვან დონეზეა აყვანილი დოპინგკონტროლი და იმ ნორმების დაცვა, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო მოთხოვნებით, ეს ეხება სანიტარიულ გარემოსაც. ოლიმპიურ სოფელში ყველა დელეგაციას აქვს საკუთარი სამედიცინო პუნქტი, თითოეულ მათგანს კი კოორდინაციას და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს, სოფელშივე განთავსებულია მთავარი სამედიცინო ცენტრი და ოლიმპიური კლინიკა.**

— ჩვენი სამედიცინო პუნქტი ამ ტერიტორიაზე ყველაზე მოხერხებულ ადგილზეა, ფართიც სათავსებით და საჭირო ინვენტარით საკმაოა. წამოღებული გვაქვს 400-მდე დასახელების მედიკამენტი. წესია, წამლების ჩამონათვალი უნდა წარადგინო პირადი პასუხისმგებლობით, რომ რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს, ნუსხაში აკრძალული პრეპარატი არ აღმოჩნდეს. გაოცებული დარჩნენ ჩვენი მედიკამენტების სიმრავლით და მრავალფეროვნებით. თქვეს, ამდენი ნამდვილად არავის აქვსო — გვითხრა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარმა ექიმმა, პროფესორმა **ზურაბ კახაბრიშვილმა.**

**— რატომ ამდენი?**

— რა იცი, რა დაგჭირდება, სხვაგან ხომ არ ირბენ სამათხოვროდ. ჩვენთან კი მოდიან და ჩვენც ხელს ვუმართავთ. ასე სჯობს.

**— ჩვენები ხშირად გაკითხავენ დასახმარებლად?**

— გვაკითხავენ და ჩვენი მხრიდანაც გვაქვს მუდმივი კონტაქტი.

**— რაიმე კრიტიკული შემთხვევა ხომ არ ყოფილა?**

— იყო, როგორ არა. ჩვენი პოლონელი მძლეოსანი მასიეჟ როსიევიჩი ოლიმპიურ სოფელში საკვებით მოიწამლა. საქმე სერიოზულად იყო — გადასხმები დასჭირდა.

**— მუშაობის როგორი რეჟიმი გაქვთ?**

— იქ, სადაც ჩვენები გამოდიან, მორიგეობით დავდივართ შეჯიბრებებზე. სამედიცინო პუნქტშიც მუდამაა მორიგე ექიმი.

**— სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების კოლეგებს თუ გაქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა?**

— სისტემატურად ვხვდებით ერთმანეთს, ვუზიარებთ გამოცდილებას, ვილებთ რჩევებს. ჩამოსული არიან ცნობილი ქირურგები, ტრავმების სპეციალისტები, ისინიც, ვისაც ჩვენი ბიჭებისთვის ოპერაცია ჩაუტარებიათ. ახლაც გასინჯეს და კონსულტაცია გაგვიწიეს.

ურთიერთობები გაგრძელდება ოლიმპიადის შემდეგაც.



საქართველოს ოლიმპიური გუნდის ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი

● თავისუფალი ჭიდაობა

ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

## თავისუფლები მძიმედ იწყებენ

დღეს ლონდონის ოლიმპიადაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირი იწყება - 55 და 74 კილოგრამის ფალავნები იჭიდავებენ. სამწუხაროდ, ჩვენს ფალავნებს წილისყრამ დიდად არ გაუმართლა და მედლის მოსაპოვებლად ორივეს დიდი გარჯა მართებს.

**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) პირველ წრეში შედარებით სუსტ ეგვიპტელ **იბრაჰიმ ფარაქ აბდელჰაკიმ მოჰამედს** კი ეჭიდავება, მაგრამ მეორე წრეში სავარაუდო მეტოქედ ბულგარელი მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **რადოსლავ მარინოვ ველიკოვი** ელოდება, იმას თუ გასცდა, შესაძლოა, ისევ ირანელ მსოფლიოს მედალოსან **ჰასან რაჰიმის** შეხვდეს. შეგახსენებთ, რომ ჩვენებური მათთან მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე დამარცხდა - ბულგარელთან მეოთხედფინალი საკუთარი შეცდომით დათმო, ირანელთან კი სანუგეშო წრეში წააგო. თავის მხრივ, რაჰიმი პირველ შეხვედრას ძლიერ მონღოლთან, მსოფლიოს ვერცხლ-ბრინჯაოს მედალოსან **ნარანბაატარ ბაიარაასთან** გამართავს. ბრმა წილისყრის დამსახურებაა, რომ ყველა ეს ძლიერი ფალავანი ერთმანეთის მეზობლადაა, ბადის ამ მხარის ზედა ნაწილში კი ბევრად სუსტები მოგროვდნენ. იქიდან ნახევარფინალში გასვლა ბევრად იოლია. მით უფრო, ამათზე ერთით ნაკლებ შეხვედრას გამართავენ და ძალაც მეტი ექნებათ შემონახული.

ამათგან ხინჩეგაშვილს უფრო ირანელთან უჭირს ჭიდაობა - ახალგაზრდულში დამარცხდა მასთან. ბულგარელს შარშან ჯერ თურქეთის ტურნირზე მოუგო, მსოფლიოზე კი გამოუცდელობით წააგო. თუ ჭკვიანურად იჭიდავებს და კარგადაცაა მომზადებული, ბულგარელის დამარცხება ძალუძს.

74-ში **დავით ხუციშვილი** მეოთხედფინალში მთავარ კონკურენტს, რუსთა აფხაზ მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონ **დენის ცარგუშს** ხვდება, თუმცა იქამდეც მისვლაა საჭირო. პირველ წრეში ჩვენებური მონღოლ **უნურბატ პურევჯავს** ეჭიდავება, მეორე წრეში კი შეიძლება, ვენესუელელ **რიკარდო ანტონიო რობერტო მორენოს** შეხვდეს, ვინაც მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე იმავე ცარგუშს და ბულგარელ ოლიმპიურ პრიზიორ **კირილ ტერზიევს** მოუგო, მერე კი ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა, თუმცა წააგო და მეხუთეზე დარჩა. თავად ცარგუშს პირველ მეტოქედ, ალბათ, აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **აშრაფ ალიევი** ერგება. ესეც დაძაბული ბრძოლა იქნება. ბადის ამავე ნახევარშია ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონი **იორდან ბუროუგსიც.**

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# წარუმატებელი ნაკრების გაურკვეველი ბედი

## ვაზაგაშვილი, ცირეკიძე, ჯარჯი ზვიადაური ზაიზენბახერის შემცვლელებად, თუმცა მიდის კი ავსტრიელი?



პეტერ ზაიზენბახერი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ერთი მედლით დაამთავრა გამოსვლა ლონდონის ოლიმპიადაზე, თუმცა მედალსაც გააჩნია - ეს ერთადერთი ჯილდოც ოქროა, რომელსაც 20 წლის კარალეთელი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) დაეუფლა. ოლიმპიადაზე სულ 7 ოქრო თამაშდება, რომელიც ამჯერად 4-მა ქვეყანამ გაინაწილა და უთუოდ საამაყოა, რომ ამ კვარტეტში პატარა საქართველოცაა საფრანგეთის, სამხრეთ კორეისა და რუსეთის გვერდით. ეს მით უფრო სასიამოვნოა იმ ფონზე, რომ იაპონია, გერმანია, ჰოლანდია, იტალია, ბრაზილია და სხვა ძლიერი გუნდები ოქროს გარეშე დარჩნენ.

და მაინც, ამ ყველაფრის მიუხედავად ჩვენი ნაკრების ოლიმპიადაზე გამოსვლას ვერაფრით ვუწოდებთ წარმატებულს. არადა, ლონდონიდან, ქართული დელეგაციის მესვეურთაგან უკვე გაისმის ასეთი შეფასებები. ქებათა ქება შავდათუაშვილს - დარწმუნებული ვარ, მან ჯერ კარგად არც იცის თავისი გამარჯვების ფასი და სინამდვილეში რა გააკეთა, ამას სამშობლოში დაბრუნების მერე გაისიგრძეგანებს; ამ პატარა ბიჭის მიმართ მადლობისა და მუხლის მოდრეკის მეტი არაფერი დაგვრჩენია, მაგრამ ოლიმპიადაზე ის ცალკე გუნდი იყო, განყენებული და გამონაკლისი. შავდათუაშვილი და დანარჩენი გუნდი - ასეც შეიძლება ითქვას, რადგან ამ ნაკრებში მხოლოდ ის ჩანდა, სხვები კი ვერ დავინახეთ. როცა გუნდის შვიდი წევრიდან ექვსი მეორე წრეს ვერ გასცდება და თან ხეირიანად ერთ ილეთს ვერ გააკეთებენ (თან ვიღაც დაბალი დონის მეტოქეებთან, თუმცა ამ მხრივ **ბეთქილ შუკვანი** ფრანგ ევროპის ჩემპიონ **სოფიან მილუსთან** არჩათვლილი ბრწყინვალე გდებებით გამონაკლისია), რაღა წარმატებაზეა ლაპარაკი! გუნდში მედლის მოპოვების პოტენციალი რომ დაგვენახა, კიდევ არაფერი, მაგრამ ამის ნატამალიც ვერ შევნიშნეთ. ამიტომაც ვამბობთ - ოქრო ოქროდ, მაგრამ მისმა ბრწყინვალებამ ნაკლოვანებები არ უნდა გადაფაროს.

### „გაპრავების" სინდრომი ძიუდოში

არადა, ამის სიმპტომები უკვე არის! ლონდონიდან ხშირად არა, მაგრამ მაინც ისმის საუბარი გუნდის წარმატებულ გამოსვლაზე, ნაკრების მთავარი მწვრთნელი კი პრობლემის გლობალურად განხილვის ნაცვლად ისევ ცალკეულ შეხვედრებზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, **ლომერ ჟორჟოლიანის** (100) აზერბაიჯანელ **ელმარ გასიმოვთან** მარცხი ასე ახსნა, თავიდან ინერტულად ჭიდაობდა და მერე ველარ ამოქაჩაო... ეს კიდევ არაფერი, **ჭრიკიშვილ-ლიპარტელიანის** ჭიდაობების მერე ისიც მოვისმინეთ, გუნდი ფიზიკურად კარგადაა მომზადებული, ამ მიზეზით არავის წაუგიაო!

ერთი სიტყვით, ახლაც იგივე მდგომარეობაა, რაც ერთხელ უკვე ვნახეთ მსოფლიოს შარშანდელი პირველობის შემდეგ - ის იმხელა კრახი მაშინაც ასე დაიყვანეს ცალკეულ ფალავანთა შეცდომებამდე, იმან ჩავლება ვერ აილო, ამან თავი მიაბრუნა და მეტოქე ამ დროს შევიდა ილეთზეო და მსგავსნი... ორთაბრძოლების ქრონოლოგია ჩვენც კარგად ვიცით, ანუ ვინ იყო აქტიური ან - პირიქით, უფრო ის გვაინტერესებს, რატომ იყო ინერტული, რატომ ვერ ჭიდაობდა, რატომ ვერ აკეთებდა ილეთებს უმეტესობა? თუმცა კიდევ ბევრი „რატომ" გვრჩება პასუხგაუცემელი.

სამწუხაროდ, ნაკრების ავსტრიელმა მთავარმა მწვრთნელმა **პეტერ ზაიზენბახერმა** „მოახერხა" და გუნდი ახლაც გადაღლილი შეახვედრა სეზონის კი არა და ოთხწლიანი ციკლის უპირველეს შეჯიბრებას. შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ გვეგონა, მწვრთნელი შეძლებდა მდგომარეობის გამოსწორებას. მით უფრო, ფედერაციიდან თუ ოლიმპიური კომიტეტიდანაც გვესმოდა, რომ ფიზიკური დატვირთვები შეამცირა და ცოტა ზეაწეული ცხვირის იქითაც გაიხედაო, ანუ თავი დაიმდაბლა და ბიჭებს ადამიანურად ელაპარაკებაო, ქართველი მწვრთნელებიც მიუჩინეს ძიძასავით, მაგრამ თურმე სულ ტყუილად ვიმედოვნებდით.

ეტყობა, აქაც „არა შეჯდა მწყერი ხესა" პრინციპია - არაა ეგ კაცი მწვრთნელი, რაც აქამდე უნდა დაეჯერებინათ სპორტის მაღალჩინოსნებს, მაგრამ ვეჭვობთ, ისინი არც ახლა დაგვეთანხმებიან. იქნებ ვინმემ გვიპასუხოს, რატომ მოხდა ზედიზედ ორ სეზონში, რომ გუნდი წლის პირველ ნახევარს, ანუ ევროპის პირველობას კარგ ფორმაში ხვდება, ხოლო მეორე ნახევარში (შარშან -მსოფლიოს პირველობაზე, წლეულს - ოლიმპიადაზე) საკუთარ თავს არ ჰგავდა? რატომ ჰყოფნის ზაიზენბახერის მზადება გუნდს მხოლოდ პირველი 4 თვე და არა სეზონის ბოლომდე? შევადაროთ თუნდაც ლიპარტელიანის გამოსვლა ევროპის წლევანდელ პირველობაზე და - ოლიმპიადაზე? რატომ იყო ასე კატასტროფული სხვაობა და რისი ან ვისი ბრალია ეს, ნუთუ მხოლოდ სპორტსმენის მოუნდომებლობისა? ვერ დავიჯერებთ, რომ ლიპარტელიანს არ სურდა მოგება, მაგრამ „გახევებულს" მეტი არ შეეძლო, მოძრაობა უჭირდა, როგორც გუნდის უმეტესობას. ცხადია, ნაგებაში სპორტსმენებსაც მიუძღვით წვლილი, თუმცა მთავარი მიზეზი მაინც ისაა, რომ სათანადოდ უნდა ყოფილიყვნენ მომზადებულები - წინააღმდეგ შემთხვევაში არც მონდომება გექნება და რაც უნდა ეცადო, ვერაფერს გამორჩები. სპორტსმენებს ძირითადად არაპროფესიულ მიდგომაში უნდა ვუსაყვედუროთ - ბოლო შეკრებაზე ბორჯომში მომხდარი ნამდვილად არ მეტყველებს მათ სასარგებლოდ. ამან დიდი დაღი დაასვა მათ ჭიდაობას. ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ, უპირველესად, თვითონ უნდა უვლიდნენ საკუთარ თავს, თორემ მწვრთნელი მუდმივად თავზე ვერ დაადგება. თუმცა დისციპლინის განსამტკიცებლად მწვრთნელიც და ფედერაციაც უფრო მკაცრ ღონისძიებებს უნდა ატარებდნენ.

### რატომ იყო შავდათუაშვილი გამონაკლისი

ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა - თუ მწვრთნელმა გუნდი ვერ მოამზადა, მაშინ შავდათუაშვილმა როგორ იჭიდავა ისე ძლიერადო? ოლიმპიური ჩემპიონი რომ გამონაკლისია, ზევითაც გითხარით. მისმა შემთხვევამ 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე მოჭიდავეთა გუნდების გამოსვლა გამახსენა - ორივე ნაკრები იქაც გადაღლილი ჩავიდა და მათაც ზუსტად ასევე უჭირდათ მოძრაობა. ახლანდელივით მაშინაც ერთმა გაუძლო - სხვებზე ახალგაზრდამ და ფიზიკურად ძალიან კარგად მომზადებულმა **რამაზ ნოზაძემ** (96). იმ გუნდში რამდენიმე ფალავანს არ დაეწუნებოდა ფიზმომზადება, მაგრამ ნოზაძე მათზე ახალგაზრდა იყო და გადაიტანა.

დაახლოებით ასევეა შავდათუაშვილის მდგომარეობაც, თუმცა მასზე საუბრისას ნუ დაგვავიწყდება რამდენიმე გარემოება. მთავარი მაინც ის გვგონია, რომ გორელ ფალავანს ზაიზენბახერის ვარჯიშები სხვათა დოზით არ გაუვლია და მისი გადაღლა ვერ მოესწრო. თუმცა ფინალში ფიზიკურად მასაც გაუჭირდა, ოღონდ არა იმდენად, როგორც - სხვებს. ეს ბიჭი წინა წლებშიც გამოირჩეოდა კარგი ფიზიკური მომზადებით და თუნდაც ევროპის ახალგაზრდული პირველობის შარშანდელი ფინალი გავიხსენოთ, როცა სლოვენიელი მეტოქე რიყეზე გარიყული თევზივით ალებდა პირს, ლაშას კი სუნთქვაც არ აჩქარებია. მეორედ რომ შეგეშვა ტატამზე, შეუსვენებლად მოიგებდა კიდევ ერთ შეხვედრას, იმდენად კარგად გამოიყურებოდა ორთაბრძოლის მიწურულს. გვესმის, რომ ახალგაზრდულისა და ეროვნულის დატვირთვა მკვეთრად განსხვავებულია, მაგრამ შავდათუაშვილმა ახალგაზრდულ ნაკრებშივე გაიარა კარგი ფიზიკური წვრთნა **გია გუგავას** ხელმძღვანელობით. ეროვნულში გადმოსვლისას ამ მხრივ მას ძალიან დიდი ბაზისი ჰქონდა, ისე როგორც ტექნიკურ არსენალში.

ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა და ლაშას წარმატების ერთ-ერთი ქვაკუთხედი. ის გორელია, სადაც ქართული ჭიდაობის ყადრის მცოდნე მწვრთნელები - **გია** და **ანზორ თენაძეები** და **ნიკო ბიბილაშვილი** ავარჯიშებენ. ვფიქრობთ, შავდათუაშვილს შარშან რომ ეჭიდავა ზაიზენბახერის ხელმძღვანელობით, თავის სტილს - ქართულ მანერას დაკარგავდა, როგორც ეს ჭრიკიშვილს და სხვებს უქნეს. ავსტრიელი ქართული ძიუდოს ევროპულ-აზიურ თარგზე გადაწყობას შეეცადა და შარშან სპორტსმენებს ქართულ ილეთებს კატეგორიულად უკრძალავდა არა თუ შეჯიბრებებზე, ვარჯიშებზეც კი. ჭრიკიშვილმა პირდაპირ თქვა, რაც ვიცი, იმის გაკეთებაც მეშინია, არ მიყვიროსო. ახალს და საჭიროს თუ ვისწავლით რამეს, კარგია და ამის წინააღდეგი არც არავინაა. დასამალი არც ისაა, რომ თანამედროვე სტილში მართლაც მ ევიკოჭლებთ - ჩავლებებიც გამოსასწორებელია, ხოლო ჩოქბჯენში ჭიდაობას, რაც ტაქტიკური ჭიდაობის აუცილებელი ნაწილია, ლამის გადავეჩვიეთ. ოღონდ ეს არ უნდა მოხდეს საბაზისო სტილის უგულებელყოფის ხარჯზე, რადგან გენეტიკაში ჩადებული კოდი ასე იოლად არც იშლება და არც რეფორმას ექვემდებარება. შედეგად ქართველს ქართულ ილეთებს ვერ დაავიწყებ და მით უფრო ვერ გადააწყობ სხვა სტილზე 20-25 წლის ჩამოყალიბებულ სპორტსმენებს. ზაიზენბახერმა ეს არ გაითვალისწინა და ჯიუტად ცდილობდა ველოსიპედის შექმნას ქართველების ხარჯზე, რომლებსაც წარმატებისთვის ყოველთვის „ადგილის მწევარი" სჭირდებოდათ - აქ შედეგს მხოლოდ ის უცხოელი მწვრთნელები აღწევდნენ, რომლებიც ქართულ მენტალიტეტთან მორგებას ცდილობდნენ, „ჯორჯიან მენტალიტეტზე" მჩხავანები კი უშედეგოდ მიდიოდნენ. თუმცა ქართველები ამ მხრივ გამონაკლისები არ ვართ - ტყვიის სროლაში აწგარდაცვლილ **თემურ მატოიანის** სიტყვები მახსენდება, რომელმაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მოიარა, არა მარტო განსხვავებული ეროვნების, არამედ რასის და სარწმუნოებისა, მაგრამ ყველგან წარმატებას მიაღწია, რადგან იმათ ხასიათზე ცდილობდა მორგებას და არა მათ შეცვლას. ამიტომ მგონია, შავდათუაშვილს გაუმართლა, შარშან ავსტრიელთან რომ არ ვარჯიშობდა და პირადისა თუ ახალგაზრდულის მწვრთნელთა კარგ კოლექტივს გარჯა წყალში არ ჩაუყარა.



ჯერჯერობით ერთადერთი ქართული ოქროს ავტორი ლაშა შავდათუაშვილი (მარჯვნივ)

ცხადია, გორელის წარმატება იმანაც განაპირობა, რომ ახალი იყო და კარგად არც იცნობდნენ, გაშიფრული არ იყო.

### რა ელის ნაკრებს?

ბუნებრივია, დღეს ყველაზე აქტუალურია კითხვა - შეიცვლება თუ არა ზაიზენბახერი და ვინ იქნება მისი მემკვიდრე? ავსტრიელი ჯერ მსოფლიოს შარშანდელ პირველობამდე დატოვეს, მერე ყოვლად გაუმართლებლად ოლიმპიადამდეც გაუგრძელეს ხელშეკრულება, თუმცა ამაზე ამტყდარი ხმაურისას რამდენჯერმე ითქვა, რომ ლონდონური თამაშების შემდეგ ის პოსტს დატოვებდა. ყველა ლოგიკით ასეც უნდა მოხდეს, მაგრამ ამ ვითარებაში ვერაფერს გამორიცხავ კაცი და არც ის გამიკვირდება, კვლავაც რომ მოინდომონ მისი დატოვება. ეს თუ გაკეთდა, ოლიმპიური კომიტეტი კიდევ უფრო დაიმძიმებს პასუხისმგებლობას, როგორც მისი ჩამოყვანის ინიციატორი. ვფიქრობთ, კმარა ნაკრებისა და მისი წევრების ბედით ასე თამაში და მორიგი ოლიმპიადა აღარ უნდა შევწიროთ ზაიზენბახერს. სხვა თუ არაფერი, ის ბიჭებიც ცოდვანი არიან, რომლებმაც მის ხელში შანსი დაკარგეს.

აქ შუკვანზეც უნდა ვთქვათ - ინტერნეტში უკვე გაჩნდა მისი და ფრანგი **სოფიან მილუს შეხვედრის** ვიდეომასალა. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ და პოლიტიკასაც ვემიჯნებით, მაგრამ ვფიქრობთ, მსაჯებმა ორჯერ არასწორად შეუცვალეს ქულა (მეორე შემთხვევაში საერთოდ გაუუქმეს). ზაიზენბახერის ჩამოყვანის ერთ-ერთი იდეა ისიც იყო, რომ უცხოეთში მსაჯები ვერ დაგვჩაგრავდნენ, მაგრამ ეს იმედიც თურმე ამაოდ!

ამასობაში, ვიდრე ავსტრიელის ბედი ბოლომდე არ გარკვეულა, უკვე გაჩნდა კულუარული ხმები მის შემცვლელზე. მსურველი ბევრია, მაგრამ ძირითადად სამი კანდიდატურა გამოიკვეთა. ერთ-ერთი ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი **გიორგი ვაზაგაშვილია**, რაც არც გაგვკვირვებია - ჭაბუკთა ნაკრებიდან წამოყვანის დროს უკვე ჩაფიქრებული იყო ასეთი სვლა, თუ ვაზაგაშვილი გაამართლებდა. მეორე კანდიდატურა მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძეა**, რაც ასევე გასაგებია - წარმატებული ათლეტები ხშირად იწყებენ სამწვრთნელო კარიერას მთავარი მწვრთნელობით. აი, მესამე მსურველი კი იმდენად მოულოდნელია, ცოტა კიდეც გვიჭირს დაწერა - რაც უნდა იყოს, მაინც ჭორია. ლაპარაკია **ილია ილიადისზე** (**ჯარჯი ზვიადაური**)! ვიმეორებთ - ეს დაუზუსტებელი ამბავია, თუმცა თუ გავიხსენებთ ილიადისის ბოლოდროინდელ დაახლოებას ხელისუფლებასთან, რის გამოც საკუთარ ბიძაშვილ **ზურაბ ზვიადაურთანაც** გაუფუჭდა ურთიერთობა, იქნებ არც იყოს გასაკვირი.

მთავარია, ახლა მაინც შევარჩიოთ დაკვირვებით მწვრთნელის კანდიდატურა და გადაწყვეტილება კვლავაც **მარიუს ვიზერთან** კონსულტაციებით არ მივიღოთ, თორემ რიოშიც იმავე შედეგს მივიღებთ 2016-ში - წლეულს ეროვნულ ნაკრებზე 1 მილიონი ლარი დაიხარჯა. არა მგონია, პეკინში და მით უფრო - ათენში ამდენიც გვქონოდა, შედეგი კი უკეთესი იყო. მათ შორის - ჩინეთშიც, სადაც ერთი ოქროს გარდა ორმა ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

## ტაბლო london 2012

### კალათბურთი

**ქალები. 1/2 ფინალი**

**ავსტრალია-აშშ** 73:86
22:20, 25:23, 12:22, 14:21

ა: კემბეჯი (19+7 მოხსნა), ჯექსონი (14+17 მოხსნა), პარროუერი (12), ო'ჰი (10).
ა: ტაურაზი (14), ჩარლზი (14+10 მოხსნა), ბერდი (13).

**რუსეთი-საფრანგეთი** 64:81
15:24, 16:14, 20:21, 13:22

რ: დანილოჩკინა (13), ჰემონი (13).
ს: ლოუსონ-უეიდი (18), გომისი (15), დუმერკი (11), გრუდა (11+8 მოხსნა), მიიანი (10), იაკუბუ (10).

**მე-3 ადგილისთვის**

ავსტრალია-რუსეთი (20:00)

**ფინალი**

აშშ-საფრანგეთი (00:00)

### ბალახის ჰოკეი

**კაცები. 1/2 ფინალი**

**ავსტრალია-გერმანია** 2:4

**გოლები**: 1:0 გოვერსი (22), 1:1 ფუერსტე (27-პენ), 2:1 ტურნერი (42), 2:2 ვიტჰაუსი (54), 2:3 ვესი (59-პენ), 2:4 ფუხსი (63).

**ჰოლანდია-ბრიტანეთი** 9:2

**გოლები**: ვოისტპოფი (9-პენ), 2:0 ვოისტპოფი (15), 2:1 ჯექსონი (18-პენ), 3:1 ვან დერ ვეერდენი (22-პენ), 4:1 ბაკერი (33), 5:1 ბაკერი (44), 6:1 დე ნოოიერი (47), 7:1 ევერსი (48), 8:1 ბაკერი (51), 9:1 ვოისტპოფი (60-პენ), 9:2 მური (65).

**მე-3 ადგილისთვის**

ავსტრალია-ბრიტანეთი (18:30)

**ფინალი**

გერმანია-ჰოლანდია (23:00)

### მძლეოსნობა

**კაცები**

**4x400 მ**

I რაუნდი

1. **ბაჰამის კ-ები** - 2:58.87 (ფინალი); 2. **აშშ** - 2:58.87 (ფინალი); 3. **ტრინიდადი** - 3:00.38 (ფინალი); 4. **ბრიტანეთი** - 3:00.38 (ფინალი); 5. **კუბა** - 3:00.55 (ფინალი); 6. **ბელგია** - 3:01.70 (ფინალი); 7. **რუსეთი** - 3:02.01 (ფინალი); 8. **ვენესუელა** - 3:02.62 (ფინალი); 9. **პოლონეთი** - 3:02.86; 10. **ავსტრალია** - 3:03.17; 11. **გერმანია** - 3:03.50; 12. **იაპონია** - 3:03.86; **იამაიკა** - დისკვ. **ს. აფრიკა** - დისკვ. **დომინიკის რეს.** - დისკვ. **კენია** - დისკვ.

**ქალები**

**სიმაღლეზე ხტომა**

**კვალიფიკაცია**

A ჯგუფი. 1. **რუთ ბეიტია** (ესპ) - 1.93 (ფინალი); 1. **ანა ჩიჩეროვა** (რუს) - 1.93 (ფინალი); 1. **ემა გრინ ტრეგარო** (შვედ) - 1.93 (ფინალი); 1. **მელანი მელფორი** (საფ) - 1.93 (ფინალი); 5. **ბურკუ აიჰანი** (თურ) - 1.93 (ფინალი); 6. **ბრიჯეტა ბარეტი** (აშშ) - 1.93 (ფინალი); 6. **აირინ პალსიტე** (ლიტ) - 1.93 (ფინალი)...

B ჯგუფი. 1. **სვეტლანა რაძივილი** (უზბ) - 1.96 (ფინალი); 2. **ტია ელებო** (ბელ) - 1.93 (ფინალი); 2. **ჩაუნტი ლოუ** (აშშ) - 1.93 (ფინალი); 2. **სვეტლანა შკოლინა** (რუს) - 1.93 (ფინალი); 5. **ირინა გორდეევა** (რუს) - 1.93 (ფინალი)...

**800 მ**

**1/2 ფინალი**

I ნახევარფინალი. 1. **პამელა ჯელიმო** (კენ) - 1:59.42 (ფინალი); 2. **ეკატერინა პოისტოგოვა** (რუს) - 1:59.45 (ფინალი).

II ნახევარფინალი. 1. **კასტერ სემენია** (ს. აფრ) - 1:57.67( ფინალი); 2. **ელენა არჟაკოვა** (რუს) - 1:58.13 (ფინალი); 3. **ჯანეტ ჯეპკოსგეი ბუსიენეი** (კენ) - 1:58.26 (ფინალი); 4. **ალისია ჯონსონ მონტანო** (აშშ) - 1:58.42 (ფინალი).

III ნახევარფინალი. 1. **მარია სავინოვა** (რუს) - 1:58.57 (ფინალი); 2. **ფრანსენ ნიიონსაბა** (ბურ) - 1:58.67 (ფინალი).

**4x100 მ**

**I რაუნდი**

I ნახევარფინალი. 1. **აშშ** - 41.64 (ფინალი); 2. **ტრინიდადი** - 42.31 (ფინალი); 3. **ჰოლანდია** - 42.45 (ფინალი); 4. **ბრაზილია** - 42.55 (ფინალი); 5. **ნიგერია** - 42.74 (ფინალი); 6. **ბაჰამის კ-ები** - 43.07; 7. **შვეიცარია** - 43.54; 8. **იაპონია** - 44.25...

II ნახევარფინალი. 1. **უკრაინა** - 42.36 (ფინალი); 2. **იამაიკა** - 42.37 (ფინალი); 3. **გერმანია** - 42.69 (ფინალი); 4. **პოლონეთი** - 43.07; 5. **კოლუმბია** - 43.21; 6. **რუსეთი** - 43.24; 7. **ბელარუსი** - 43.90; **საფრანგეთი** - დისკვ.

### მხატვრული ტანვარჯიში

**მრავალჭიდი**

**ინდივიდუალური**

1. **დარია დმიტრიევა** (რუს) - 57.800; 2. **ევგენია კანაევა** (რუს) - 57.625; 3. **ლიუბოვ ჩარკაშინა** (ბლრ) - 56.450; 4. **იეონ-ჟაე სონი** (ს. კორ) - 55.900; 5. **ალია გარაევა** (აზე) - 55.800; 6. **სილვია მიტევა** (ბულ) - 55.500; 7. **ალინა მაქსიმენკო** (უკრ) - 55.425; 8. **იოანა მიტროში** (პოლ) - 54.675; 9. **დელფინ ლედუ** (საფ) - 54.250; 10. **მელიტინა სტანიუტა** (ლიტ) - 54.200...

**გუნდური**

1. **რუსეთი** - 28.375; 2. **იტალია** - 28.100; 3. **ბელარუსი** - 27.900; 4. **ბულგარეთი** - 27.250; 5. **ესპანეთი** - 27.150; 6. **უკრაინა** - 27.050; 7. **იაპონია** - 26.725; 8. **ისრაელი** - 26.500; 9. **საბერძნეთი** - 25.875; 10. **გერმანია** - 24.500; 11. **ბრიტანეთი** - 24.150; 12. **კანადა** - 24.050...

### სინქრონული ცურვა

**გუნდური**

**ტექნიკური პროგრამა**

1. **რუსეთი** - 98.100; 2. **ჩინეთი** - 97.000; 3. **ესპანეთი** - 96.200; 4. **კანადა** - 94.400; 5. **იაპონია** - 93.800; 6. **ბრიტანეთი** - 87.300; 7. **ეგვიპტე** - 77.600; 8. **ავსტრალია** - 77.500...

### ტაეკვანდო

**კაცები. 68 კგ**

**1/8 ფინალი**

**სერვეთ ტაზეგული** (თურ)-ტერენს ჯენინგსი (აშშ) 8:6; **გრიგორი გუსაროვი** (უკრ)-ლოგან კემპბელი (ზელ) 10:6; **დამირ ფეიჟიჩი** (სერ)-პეტერ ლოპეს სანტოსი (პერ) 5:3; **მარტინ სტამპერი** (ბრიტ)-ერიკ [illegible]ონიო ნუნი[illegible]სი (მექ) 5:2; **მოჰამედ აბულიბდე** (იორდ)-ის[illegible] მუჰამადი (ნიგ) 13:1; **დიოგო სილვა** (ბრა)-დმი[illegible]რი კიმი (უზბ) 3:2; **როჰულაჰ ნიკპა** (ავღ)-მიხალ ლონიევსკი (პოლ) 12:5; **მოჰამად ბაგერი მოტამედი** (ირან)-დავიდ [illegible] 7:2.

**1/4 ფინალი**

**სერვეთ ტაზეგული** (თურ)-გრიგორი გუსაროვი (უკრ) [illegible]:2; **მარტინ სტამპერი** (ბრიტ)-დამირ ფეიჟიჩი (სერ) 8:[illegible]; **დიოგო სილვა** (ბრა)-მოჰამედ აბულიბდე (იორდ) 7:5; **მოჰამად ბაგერი მოტამედი** (ირან)-როჰულაჰ ნიკპა (ავღ) 5:4.

**1/2 ფინალი**

**სერვეთ ტაზეგული** (თურ)-მარტინ სტამპერი (ბრიტ) 9:6;

**მოჰამად ბაგერი მოტამედი** (ირან)-დიოგო სილვა (ბრა) 5:5.

**მე-3 ადგილისთვის**

**ტერენს ჯენინგსი** (აშშ)-დიოგო სილვა (ბრა) 8:5; **როჰულაჰ ნიკპა** (ავღ)-მარტინ სტამპერი (ბრიტ) 5:3.

**ფინალი**

**სერვეთ ტაზეგული** (თურ)-მოჰამად ბაგერი მოტამედი (ირან) 6:5.

**ქალები. 57 კგ**

**1/8 ფინალი**

**ლი-ჩენ ცენგი** (ტაივ)-რანგსია ნისაისომი (ტაილ) 4:1; **ანდრეა პაოლი** (ლიბან)-ნიდია მუნიოსი (კუბ) 4:2; **მაიუ ჰამადა** (იაპ)-ანა ზანინოვიჩი (ხორ) 14:11; **ჯეიდ ჯონსი** (ბრიტ)-დრაგანა გლადოვიჩი (სერ) 15:1; **ჰედაია ვაჰბა** (ეგვ)-რობინ ჩეონი (ზელ) 17:6; **მარლენ ჰარნუა** (საფ)-იენი კონტრერას ლოიოლა (ჩილ) 14:3; **სუვი მიკონენი** (ფინ)-ბინეტა დიედჰიუ (სენ) 9:6; **იუჟუო ჰოუ** (ჩინ)-დიანა ლოპესი (აშშ) 1:0.

**1/4 ფინალი**

**ლი-ჩენ ცენგი** (ტაივ)-ანდრეა პაოლი (ლიბან) 5:2; **ჯეიდ ჯონსი** (ბრიტ)-მაიუ ჰამადა (იაპ) 13:3; **მარლენ ჰარნუა** (საფ)-ჰედაია ვაჰბა (ეგვ) 8:6; **იუჟუო ჰოუ** (ჩინ)-სუვი მიკონენი (ფინ) 7:2.

**1/2 ფინალი**

**ჯეიდ ჯონსი** (ბრიტ)-ლი-ჩენ ცენგი (ტაივ) 10:6; **იუჟუო ჰოუ** (ჩინ)-მარლენ ჰარნუა (საფ) 8:3.

**მე-3 ადგილისთვის**

**მარლენ ჰარნუა** (საფ)-მაიუ ჰამადა (იაპ) 12:8; **ლი-ჩენ ცენგი** (ტაივ)-სუვი მიკონენი (ფინ) 14:2.

**ფინალი**

**ჯეიდ ჯონსი** (ბრიტ)-იუჟუო ჰოუ (ჩინ) 6:4.

### თავისუფალი ჭიდაობა

**ქალები. 55 კგ**

**კვალიფიკაცია**

ჟიეუნ უმი (ს. კორ)-**მარვა ამრი** (ტუნ) 0:5; მარსია იულეისი ანდრადეს მენსოდა (ვენ)-**ვალერია ჟოლობოვა** (რუს) 0:3; **სოფია მატსონი** (შვედ)-ბიამბატსერენ სუნდევი (მონღ) 3:0.

**1/8 ფინალი**

**საორი იოშიდა** (იაპ)-კელსი კემპბელი (აშშ) 3:0; **იულია რატკევიჩი** (აზე)-მარია პრევოლარაკი (საბ) 3:0; ოლგა ბუტკევიჩი (ბრიტ)-**ლისეტი ალექსანდრა ანტეს კასტილიო** (ეკვ) 1:3; ჟოისე სოუზა და სილვა (ბრა)-**ვალერია ჟოლობოვა** (რუს) 1:3; **ჟაკელინ რენტერია კასტილიო** (კოლ)-კუმ-ოკ ჰანი (ჩრ. კორ) 3:1; **სოფია მატსონი** (შვედ)-მარვა ამრი (ტუნ) 3:0; რაბაბ ეიდ საიედ ავადი (ეგვ)-**ტატიანა ლაზარევა** (უკრ) 0:5; **ტონია ლინ ვერბიკი** (კან)-გეეტა გეეტა (ინდ) 3:1.

**1/4 ფინალი**

**ჟაკელინ რენტერია კასტილიო** (კოლ)-ლისეტი ალექსანდრა ანტეს კასტილიო (ეკვ) 3:1; **ტონია ლინ ვერბიკი** (კან)-ტატიანა ლაზარევა (უკრ) 3:0; **საორი იოშიდა** (იაპ)-იულია რატკევიჩი (აზე) 3:0; **ვალერია ჟოლობოვა** (რუს)-სოფია მატსონი (შვედ) 3:1.

**1/2 ფინალი**

**ტონია ლინ ვერბიკი** (კან)-ჟაკელინ რენტერია კასტილიო (კოლ) 3:0; **საორი იოშიდა** (იაპ)-ვალერია ჟოლობოვა (რუს) 3:0.

**მე-3 ადგილისთვის**

**ჟაკელინ რენტერია კასტილიო** (კოლ)-ტატიანა ლაზარევა (უკრ) 3:1; **იულია რატკევიჩი** (აზე)-ვალერია ჟოლობოვა (რუს) 3:1.

**ფინალი**

**საორი იოშიდა** (იაპ)-ტონია ლინ ვერბიკი (კან) 3:0.

**72 კგ**

**კვალიფიკაცია**

ალიუ სუე ბერნარდი (აშშ)-**ჯენი ფრანსონი** (შვედ) 1:3; ვასილისა მარზალიუკი (ბლრ)-**სტანკა ზლატევა ხრისტოვა** (ბულ) 0:3.

**1/8 ფინალი**

ლი მერიემი ლორენ კელეჰანი (კან)-**ბურმაა ოჩირბატი** (მონღ) 0:3; ანა ტალია ბეტანკურ დავიდი (კოლ)-**მაიდერ უნდა** (ესპ) 0:3; **სვეტლანა საენკო** (მოლ)-სინტია ვანესა ვესკანი (საფ) 3:1; **ანაბელ ლორ ალი** (კამ)-ჟოსიან პატრისია სოლონიანა (მად) 5:0; **ჟიაო ვანი** (ჩინ)-ამარაჩი ფავურ ობიაჯუნვა (ნიგ) 5:0; **სტანკა ზლატევა ხრისტოვა** (ბულ)-ჯენი ფრანსონი (შვედ) 3:0; **გიუზელ მანიუროვა** (ყაზ)-კიოკო ჰამაგუჩი (იაპ) 3:1; კატერინა ბურმისტროვა (უკრ)-**ნატალია ვორობიოვა** (რუს) 0:3.

**1/4 ფინალი**

**ჟიაო ვანი** (ჩინ)-სვეტლანა საენკო (მოლ) 5:0; გიუზელ მანიუროვა (ყაზ)-**ნატალია ვორობიოვა** (რუს) 0:5; ბურმაა ოჩირბატი (მონღ)-**მაიდერ უნდა** (ესპ) 1:3; **სტანკა ზლატევა ხრისტოვა** (ბულ)-ანაბელ ლორ ალი (კამ) 3:1.

**1/2 ფინალი**

**ნატალია ვორობიოვა** (რუს)-ჟიაო ვანი (ჩინ) 5:0; **სტანკა ზლატევა ხრისტოვა** (ბულ)-მაიდერ უნდა (ესპ) 3:0.

**მე-3 ადგილისთვის**

**გიუზელ მანიუროვა** (ყაზ)-ჟიაო ვანი (ჩინ) 3:1; **მაიდერ უნდა** (ესპ)-ვასილისა მარზალიუკი (ბლრ) 3:0.

**ფინალი**

**ნატალია ვორობიოვა** (რუს)-სტანკა ზლატევა ხრისტოვა (ბულ) 5:0.

---

## ნიჩბოსნობა london 2012

# გერმანია, უნგრეთი და დანარჩენები



დანუტა კოზაკი ორგზის ჩემპიონი გახდა

გერმანელი და უნგრელი ნიჩბოსნების დომინირებით მიმდინარეობს ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობის ტურნირი.

ორი დღის წინ, უნგრელებმა ოთხი შესაძლებლიდან ორი ოქრო აიღეს, გერმანელებმა კი ოთხივე დისციპლინაში მედალი მოიგეს. გუშინ თითქმის ყველაფერი პირიქით მოხდა: ორი ოქრო გერმანიას ჰქონდა, უნგრეთს - სამი მედალი.

ქალებს შორის ორადგილიანი ბაიდარათი რბოლაში დასრულდა ლეგენდარული უნგრელების - **კატალინ კოვაჩისა** და **ნატაშა დოჩევის** დომინირება. ამ წყვილს ზედიზედ ორი ოლიმპიადის მოგების შემდეგ, ვერცხლით დაკმაყოფილებამ მოუწია. ჩემპიონები კი გერმანელები - **ფრანცისკა ვებერი** და **ტინა დიტცი** გახდნენ.

ქალებში მეორე ოქრო ერთადგილიანი ბაიდარების ფინალში გათამაშდა. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა უნგრელი **დანუტა კოზაკი**. წინადღეს მან ოთხადგილიან ბაიდარებში მოიპოვა პირველობა, ახლა კი თავისი თანაგუნდელების გარეშე გაუსწორდა კონკურენტებს. უნგრელს ერთი მეტოქე ძალიან გაუძალიანდა: უკრაინელი **ინა ოსიპენკო-რადომსკაია** 250 მეტრის შემდეგ ლიდერი იყო და ნახევარ კორპუსს უგებდა უნგრელს, მაგრამ კოზაკმა ბოლო მეტრებზე მაინც მოახერხა წინ გასვლა და თითქმის წამი მოუგო უკრაინელს.

■ ■ ■

ორადგილიანი კანოეთი მამაკაცების ფინალში უდიდესი იყო გერმანელების - **პეტერ კრეტშმერისა** და **კურტ კუჩელას** უპირატესობა. მათ თითქმის სამი წამი მოუგეს ბელარუს ძმებს - **ანდრეი** და **ალექსანდრ ბოგდანოვიჩებს**.

უცნაური და სენსაციური აღმოჩნდა გერმანელებისა და უნგრელების დუელში ავსტრალიის კვარტეტის ჩარევა. ეს მოხდა ოთხადგილიანი ბაიდარების ფინალში. „მწვანე კონტინენტის" წარმომადგენლები პირველივე მეტრებიდან წინ გაიჭრნენ და უნგრული ოთხეულის აქტიური პრესინგის მიუხედავად, ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა.

აქ გერმანიამ საერთოდ ვერ მოიპოვა მედალი - მან ბრინჯაოსთვის ბრძოლა წააგო ჩეხეთთან.

რაც შეეხება ავსტრალიის წარმატებას, ეს მართლაც სენსაცია იყო, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი დღით ადრე, ავსტრალიელმა **ჯესიკა ფოქსმა** ვერცხლი მოიპოვა ქალებს შორის ერთადგილიანი ბაიდარებით რბოლაში.

**კაცები**

**ორადგილიანი კანოე. 1000 მ**

| | |
|---|---|
| 1. პ. კრეტჩმერი/კ. კუჩელა (გერ) | 3:33.804 |
| 2. ან. ბოგდანოვიჩი/ალ. ბოგდანოვიჩი (ბლრ) | 3:35.206 |
| 3. ა. კოროვაშკოვი/ი. პერვუხინი (რუს) | 3:36.414 |
| 4. ს. ბეზუგლი/მ. პროკოპენკო (აზე) | 3:37.219 |
| 5. ი. რადონი/ფ. დვორაკი (ჩეხ) | 3:37.601 |
| 6. ს. ტორესი/ხ-კ. ბულნესი (კუბ) | 3:42.357 |
| 7. ლ. დუმიტრესკუ/ვ. მიხალაჩი (რუმ) | 3:43.005 |
| 8. მ. უანი/კ. ლი (ჩინ) | 3:48.930 |

**ოთხადგილიანი ბაიდარა. 1000 მ**

| | |
|---|---|
| 1. ავსტრალია (ტ. სმიტი, დ. სმიტი, მ. სტიუარტი, ჯ. კლირი) | 2:55.085 |
| 2. უნგრეთი (ზ. კამარერი, დ. ტოტი, ტ. კულიფაი, დ. პაუმანი) | 2:55.699 |
| 3. ჩეხეთი (დ. ჰაველი, ლ. ტრეფილი, ი. დოსტალი, ი. სტერბა) | 2:55.850 |
| 4. გერმანია | 2:56.172 |
| 5. დანია | 2:56.542 |
| 6. სლოვაკეთი | 2:56.771 |
| 7. რუსეთი | 2:57.375 |
| 8. რუმინეთი | 2:58.223 |

**ქალები**

**ერთადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

| | |
|---|---|
| 1. დანუტა კოზაკი (უნგ) | 1:51.456 |
| 2. ინა ოსიპენკო-რადომსკაია (უკრ) | 1:52.685 |
| 3. ბრიჯიტ ჰარლტი (ს. აფრ) | 1:52.923 |
| 4. სოფია პალდანიუსი (შვედ) | 1:53.197 |
| 5. ჟოზეფა იდემი (იტა) | 1:53.223 |
| 6. რაკელ კოუტორნი (ბრიტ) | 1:53.345 |
| 7. ჰენრიეტ ჰანსენი (დან) | 1:54.110 |
| 8. ანე რიკალა (ფინ) | 1:54.333 |

**ორადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

| | |
|---|---|
| 1. ფ. ვებერი/ტ. დიტცი (გერ) | 1:42.213 |
| 2. კ. კოვაჩი/ნ. დოჩევი (უნგ) | 1:43.278 |
| 3. კ. ნაია/ბ. მიკოლაიჩიკი (პოლ) | 1:44.000 |
| 4. ი. ვუ/ი. ჟუ (ჩინ) | 1:44.136 |
| 5. ი. შურინგი/ვ. შვარცი (ავსტრი) | 1:44.785 |
| 6. ი. ვასკონსელოსი/ბ. გომესი (პორ) | 1:44.924 |
| 7. ლ. კარინგტონი/ე. ტეილორი (ზელ) | 1:46.290 |
| 8. ნ. მოლდოვანი/ო. მოლდოვანი (სერ) | 1:48.941 |

---

## ცურვა london 2012

# ჩხუბი წყალში და უნგრეთის მერვე ოქრო

უნგრელი ნიჩბოსნებისგან ესტაფეტა გადაიბარა მოცურავე **ევა რიშტოვმა**. გუშინ, ღია წყალზე ქალებს შორის 10-კილომეტრიანი მარათონი გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ ოთხი წლის წინ, პეკინის ოლიმპიადაზე ამ დისციპლინაში რუსმა **ლარისა ილჩენკომ** გაიმარჯვა, რომელიც ლონდონში არ გამოდიოდა. რუსებს მაინც ჰყავდათ ერთი ფავორიტი - 25 წლის **ანა გუსევა**. თუმცა მან გუშინ თავი ვერაფრით გამოიჩინა და მეათე ადგილი დაიკავა.

რუსმა უცნაურად და ორიგინალურად ახსნა თავისი მარცხის მიზეზი. *„ლიდერთა ჯგუფში ნამდვილი ბრძოლა მიდიოდა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ესპანელ ერიკა გარსიას დისტანციის შემოველახე"*, - განაცხადა გუსევამ.

თუ საბოლოო ოქმს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ოქროსთვის ბრძოლა მართლაც მჭიდრო და დაძაბული იყო. მარათონული დისტანციის მიუხედავად, სხვაობამ პირველ და მეორე ადგილს შორის მხოლოდ 4 მეათედი წამი შეადგინა. სწორედ ამდენი მოუგო უნგრელმა ევა რიშტოვმა ამერიკელ **ჰეილი ანდერსონს**.

საინტერესოა, რომ რიშტოვი 2000-იანი წლების დასაწყისში არა ღია წყალზე, არამედ აუზში ცურავდა და გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა. მაგალითად, 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე მეოთხე ადგილი დაიკავა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

უნგრეთისთვის ეს იყო მერვე ოქრო მიმდინარე ოლიმპიადაზე, მათ შორის, მეორე ცურვაში. პირველ აგვისტოს 200 მეტრზე ბრასში მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა **დანიელ დიურტამ**.

**ქალები. 10 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ევა რიშტოვი (უნგ) | 1:57:38.2 |
| 2. ჰეილი ანდერსონი (აშშ) | 1:57:38.6 |
| 3. მარტინა გრიმალდი (იტა) | 1:57:41.8 |
| 4. კერი-ენ პეინი (ბრიტ) | 1:57:42.2 |
| 5. ანჯელა მაურერი (გერ) | 1:57:52.8 |
| 6. ოფელი ასპორი (საფ) | 1:58:43.1 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ევა რიშტოვი დისტანციაზე

# კრივი london 2012


ნიკოლა ადამსი

## ისინი ისტორიაში შევიდნენ

### ქართველმა რუსმა სოფია ოჩიგავამ ფინალი წააგო

ბრიტანელი ქალი მოკრივე **ნიკოლა ადამსი** სამუდამოდ შევა ოლიმპიადის ისტორიაში. ის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ქალების კრივში. ამ სახეობას სწორედ ლონდონის თამაშებზე ჰქონდა დებიუტი.

ადამსის მეტოქე ფინალურ ბრძოლაში ჩინელი **კანკან რენი** იყო. ეს მოკრივეები ტრადიციული მეტოქეები არიან. ისინი მსოფლიოს წინა ორ ჩემპიონატზე ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ ჩემპიონი რენი გახდა. ასე რომ, ბრიტანელს რევანშზე უნდა ეფიქრა.

საბოლოოდ, რევანში შედგა, თანაც ძალიან დამაჯერებელი. ვერავინ იტყვის, რომ ადამსის მასპინძლობის ხათრით, მსაჯებმა ჩინელი მოკრივე დაჩაგრეს. ბრიტანელი დომინირებდა მთელი ბრძოლის განმავლობაში და ერთხელ (მეორე რაუნდში) ნოკდაუნშიც კი გაგზავნა მოწინააღმდეგე. საბოლოო ანგარიში კი ნათლად ასახავს ადამსის უპირატესობას - 16:7.

■ ■ ■

საკრივო დარბაზში შეკრებილ მაყურებელს არანაკლებ გაუხარდებოდა მეორე ფინალის შედეგი. აქ ირლანდიელი **კეტი ტეილორი** რუს **სოფია ოჩიგავას** ხვდებოდა. მეტოქეთა ტიტულების გათვალისწინებით, ეს სუპერბრძოლა იყო: ტეილორი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია, ქართული წარმოშობის რუსი - ორგზის. ოჩიგავა რუსეთის ქალაქ ოდინცოვოშია დაბადებული, მამა ქართველი ჰყავს, დედა - ოსი. თავის დროზე, ძმას მიჰბაძა და კიკბოქსინგში დაიწყო ვარჯიში (იყო რუსეთის ჩემპიონი), შემდეგ კრივში გადავიდა და იქ დიდ შედეგებსაც მიაღწია.

ამიტომაც, გასაკვირი არ იქნებოდა, თუ ოჩიგავა გუშინ, ოლიმპიურ ოქროსაც მოიგებდა, მაგრამ ირლანდიელს ოდნავ უფრო მაღალი კლასი აღმოაჩნდა. სხვათა შორის, პირველი ორი რაუნდის შემდეგ, რუსი ქულებით წინ იყო - 4:3, მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე რაუნდი, რომელიც ირლანდიელმა პირწმინდად მოიგო - 4:1. სწორედ აქ გაირკვა 60-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოქროს ბედი.

■ ■ ■

რაც შეეხება დღის მესამე ფინალს, 75-კილოგრამამდე წონით კატეგორიაშიც რუს სპორტსმენს ვერცხლის მედლით დაკმაყოფილებამ მოუწია.

**ნადეჟდა ტორლოპოვამ** პირველ რაუნდში გაუძლო ამერიკელი **კლარესა შილდსის** შეტევებს და საწყისი ორი წუთი ფრედ - 3:3 დასრულდა (ქალთა კრივში შეხვედრა ოთხი ორ-ორწუთიანი რაუნდისგან შედგება). მაგრამ შემდეგ რაუნდებში ამერიკელი მეთოდურად ზრდიდა უპირატესობას: მეორე ორწუთეულში სამი ქულა მოუგო მეტოქეს, მესამე და მეოთხეში - ორ-ორი, რაც საბოლოოდ, კომფორტულ უპირატესობაში გამოიხატა - 19:12.

ქალთა კრივში ოლიმპიადა დასრულდა, დღეს კი კაცების ათივე წონაში გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები.

**ქალები**

**51 კგ**

**ფინალი**

**ნიკოლა ადამსი (ბრიტ)**-კანკან რენი (ჩინ) 16:7.

**60 კგ**

**ფინალი**

**კეტი ტეილორი (ირლ)**-სოფია ოჩიგავა (რუს) 10:8

**75 კგ**

**ფინალი**

**კლარესა შილდსი (აშშ)**-ნადეჟდა ტორლოპოვა (რუს) 19:12.


კეტი ტეილორი

# ცხენოსნობა london 2012

## 50-ე მედალი ბრიტანეთის

დასრულდა ლონდონის ოლიმპიადაზე ცხენოსანთა ტურნირი. ბოლო სახეობა, რომელშიც მედლები გათამაშდა, ცხენის გაწვრთნაში ინდივიდუალური პირველობა იყო. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, გუნდური პირველობა ბრიტანეთის ნაკრებმა მოიგო. იმ შეჯიბრების შედეგების მიხედვით, მასპინძელ ცხენოსნებს ინდივიდუალური ტურნირის წინ, მომგებიანი პოზიციები ეკავათ. **შარლოტ დუჟარდენი** პირველი იყო, **ლაურა ბეხტოლშაიმერი** - მესამე და **კარლ ჰესტერი** - მეხუთე.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გუშინდელი სტარტის შემდეგ, ბრიტანელებმა შეინარჩუნეს ეს პოზიციები. 27 წლის დუჟარდენისთვის ეს ოლიმპიადა ტრიუმფალური აღმოჩნდა. გუშინ, მან გუნდურ ოქროს ინდივიდუალურ პირველობაში გამარჯვება დაუმატა. ის ერთადერთი იყო, რომელმაც თავისი გამოსვლისთვის 90-ზე მეტი ქულა მოიპოვა. რაც მთავარია, დუჟარდენმა ოლიმპიური რეკორდით დაასრულა ასპარეზობა. სხვათა შორის, ორი ოლიმპიური რეკორდი მას გუნდურ პირველობაში ჰქონდა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დუჟარდენმა 50-ე მედალი მოუტანა ბრიტანეთის ოლიმპიურ გუნდს, აქედან 23 - ოქროსია. შედარებისთვის, პეკინში კუნძულელებს ჯამში 47 მედალი (19 ოქროსი) ჰქონდათ. ამასთან, ლონდონის ოლიმპიადის დასრულებამდე კიდევ სამი სათამაშო დღეა დარჩენილი.

რაც შეეხება ცხენოსნობას, აქ სულ გათამაშდა მედლების ექვსი კომპლექტი და სამი ოქრო მასპინძლებს ერგოთ. გარდა ამისა, ბრიტანელების საკუთრებაა ბრინჯაო გუნდურ სამჭიდში.

**[illegible]**

**ინდივიდუალური**

| | |
|---|---|
| 1. შარლოტ დუჟარდენი (ბრიტ) | 90.089 |
| 2. ა. კორნელისენი (ჰოლ) | 88.186 |
| 3. ლ. ბეხტოლშაიმერი (ბრიტ) | 84.339 |
| 4. ჰ. ლანგეჰანენბერგი (გერ) | 84.303 |
| 5. კარლ ჰესტერი (ბრიტ) | 82.857 |
| 6. ანკი ვან გრუნსვენი (ჰოლ) | 82.000 |


შარლოტ დუჟარდენი

# წყალში ხტომა london 2012


რუოლინ ჩენის ერთ-ერთი ნახტომი

## აღდგენილი პრესტიჟი

ორი დღის წინ, კაცებს შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომის ფინალში დამარცხების შემდეგ, ჩინეთს ოდნავ შელახული პრესტიჟის აღდგენა სჭირდებოდა. ეს მისია დაეკისრა 19 წლის ბრწყინვალე სპორტსმენს **რუოლინ ჩენს**. წესით, მას არ უნდა გასჭირვებოდა თავისი ქვეყნისთვის მორიგი ოქროს მოტანა. ოთხი წლის წინ, პეკინის ოლიმპიადაზე 15 წლის ჩენმა ორი ოქრო მოიგო 10 მეტრიდან სინქრონულ და ინდივიდუალურ ხტომებში.

ლონდონში ჯერ იყო თანაგუნდელ **ჰაო ვანთან** ერთად სინქრონულ ხტომებში გამარჯვება, გუშინ კი ჩენმა ზუსტად გაიმეორა პეკინში ნაჩვენები შედეგი და 19 წლის ასაკში ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ჩენი ორდღიანი კვალიფიკაციის ლიდერი იყო, გუშინდელი ფინალი კი უმაღლესი შეფასებით გახსნა. ჩინელს არც შემდეგი ნახტომები დაეწუნებოდა და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ უახლოეს მდევარს, ავსტრალიელ **ბრიტანი ბრობენს** 56 (!) ქულით გაუსწრო.

ბრობენი 16 წლის გახლავთ და ეს მის კარიერაში პირველი ოლიმპიადაა, შესაბამისად, ის კმაყოფილი დარჩა ვერცხლის მედლით. სიხარულს ვერ მალავდა მალაიზიელი **პანდელილა პამგი** - ისიც ძალიან კმაყოფილი იყო თავისი ბრინჯაოთი.

წყალში ხტომაში გასათამაშებელი დარჩა მედლების ერთი კომპლექტი. ხვალ მამაკაცები გამოავლენენ უძლიერესს 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში.

**ქალები. 10 მ**

| | |
|---|---|
| 1. რუოლინ ჩენი (ჩინ) | 422.30 |
| 2. ბრიტანი ბროზენი (ავსტრა) | 366.50 |
| 3. პანდელელა პამგი (მალაიზ) | 359.20 |
| 4. მელისა ვუ (ავსტრა) | 358.10 |
| 5. იულია კოლტუნოვა (რუს) | 357.90 |
| 6. პაოლა ესპინოსა (მექ) | 356.20 |

# აფროსნობა london 2012

## არ იყო ქარი, არ იყო რბოლა

გუშინ, მედლების ერთი კომპლექტი უნდა გათამაშებულიყო აფროსნობაში - დაგეგმილი იყო ფინალური რბოლა კაცებს შორის „470" კლასში. როგორც ოლიმპიადის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, , აფროსნობის არენაზე ჰაერი საერთოდ არ იძროდა და რბოლის ჩატარება შეუძლებელი გახდა. ორგანიზატორები რამდენიმე საათი ელოდნენ სასურველ ამინდს და ბოლოს, რბოლა მეორე დღისთვის გადაიტანეს.

მამაკაცების ფინალი დღეს გაიმართება. ამავე კლასში გამოვლინდება ქალებს შორის გამარჯვებული.

გუშინ, „470" კლასში ფინალის გარდა, არ გაიმართა ქალების რბოლა „ელიოტის" კლასში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ფეხბურთი london 2012



ეს გუნდი ვერავინ გააჩერა

# ათენი, პეკინი, ლონდონი – ამერიკელთა ტრიუმფი გრძელდება

ამერიკელმა ქალებმა იაპონელებთან ძალიან დაძაბული ფინალური დაპირისპირება მოიგეს და ზედიზედ მესამედ გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები. იაპონიის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია, ფინალამდე დამაჯერებლად კი მიაღწია, მაგრამ იქ უკვე ველარაფერს გახდა.

ამერიკელთა ლიდერმა **კარლი ლოიდმა** დუბლი შეასრულა და ფინალური მატჩის გმირად იქცა. მეორე გმირი კი აშშ-ის ნაკრების მეკარე **ჰოუპ სოლოა**, რომელმაც მეტოქის რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია. იაპონელებმა ანგარიშის გათანაბრება მთელი მონდომებით სცადეს, მაგრამ მათ ხან სიზუსტე ღალატობდათ, ხანაც წინ სოლოს შესანიშნავი რეაქცია ელობებოდათ.

მთლიანობაში, შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა, იაპონიისთვის კი, რომელთა ქალთა ნაკრებიც ელიტაში ბოლო წლებში გაერია, ვერცხლის მედლებიც მისაღები შედეგი უნდა იყოს.

კიდევ უფრო ბედნიერები არიან ბრინჯაოს მომგები კანადელები, რომელთაც ტურნირის წინ სათვალავში თითქმის არავინ აგდებდა.

ქალთა საფეხბურთო ტურნირი საკმაოდ სანახაობრივი გამოდგა, დღეს და ხვალ კი მედლებს კაცები გაითამაშებენ. შეგახსენებთ, მესამე ადგილისთვის დღეს იაპონია და სამხრეთ კორეა იბრძოლებენ, ხვალ კი ბრაზილიისა და მექსიკის მონაწილეობით ფინალი გველის.

**ქალები**

**ფინალი**

**აშშ-იაპონია** 2:1

**აშშ**: სოლო, რამპონი, ოჰარა, ლე პეილბე, ბოქსი, ლოიდი, მორგანი, ვემბეჩი, რაპინო (57. ჩენეი), ბუელერი (80. ზაუერბრუნი), ჰეტი.

**იაპონია**: ფუკუმოტო, კინგა, ივაშიმიცუ, კუმაგაი, სამეშიმა (77. ივაბუჩი), საკაგუჩი (59. ტანაჯა), მიიამა, კავასუმი, სავა, ონო (86. მარუიამა), ოგიმი.

**გოლები**: 1:0 ლოიდი (8), 2:0 ლოიდი (54), 2:1 ოგიმი (63)

**გაფრთხილება**: ვემბეჩი

**არბიტრი**: ბ. შტაინჰაუსი (გერმანია)

**მე-3 ადგილისთვის**

**კანადა-საფრანგეთი** 1:0

**კანადა**: მაკლეოდი, მოსკატო, უილკინსონი, მეტისონი, სესელმანი, სკოტი, სინკლერი, შმიდტი, ტანკრედი (77. ტიმკო), ფილინიო (55. კაილი), ნაულტი (83. ჩეპმენი).

**საფრანგეთი**: ბუჰადი, რენარი, ჟორჟი, სუბეირანი (54. აბილი), ფრანკო, ბომპასტორი, დელიე (60. სომერი), ტომისი (90. კატალა), ნეციბი, ბუსალია, ტინეი.

**გოლი**: 1:0 მეტისონი (90)

**გაფრთხილება**: აბილი

**არბიტრი**: ჯ. პალმკვისტი (შვედეთი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

## წყალბურთი london 2012

# და აქაც ამერიკა

ამერიკის ქალთა ნაკრებმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვა ოქროს მედალი.

ქალების წყალბურთი 2000 წელს, სიდნეის თამაშებზე შეიტანეს ოლიმპიურ პროგრამაში. იქიდან მოყოლებული, აშშ ყველა ოლიმპიადაზე პრიზიორებს შორის იყო: სიდნეიში ვერცხლი აიღო, ათენში (2004) ბრინჯაო და პეკინში (2008) ისევ ვერცხლი, მაგრამ ოქრომდე ყოველთვის რაღაც აკლდებოდა.

ეს „რაღაც“ შეიძლება იყოს 19 წლის დებიუტანტი **მეგი სტეფენსი**, რომელიც გუშინდელი ფინალის გმირი აღმოჩნდა. ამერიკამ ესპანეთს რვა გოლი გაუტანა და აქედან ხუთი სწორედ ამ წყალბურთელზე მოდის.

პირველ პერიოდში 1:1-ის შემდეგ, ამერიკელებმა გადამწყვეტ უპირატესობას მეორე და მესამე პერიოდებში მიაღწიეს და ბოლო მეოთხედის წინ 7:2-ს იგებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოსკენ ესპანეთმა გაიბრძოლა, მეტოქის დაწევა შეუძლებელი იყო.

მე-3 ადგილისთვის მატჩი ზუსტად ისეთი იყო, როგორც პეკინში. მაშინ ავსტრალიამ ძირითად დროში მოუგო უნგრეთს, ახლა კი ოვერტაიმი დასჭირდა. 11:11-ზე „მწვანე კონტინენტის“ წარმომადგენლებმა ორი უპასუხო ბურთი გაიტანეს და 13:11 მოიგეს.

**ქალები**

**მე-3 ადგილებისთვის**

**ავსტრალია-უნგრეთი** 13:11 (დ.დ.)

**ფინალი**

**აშშ-ესპანეთი** 8:5

**გია თვალაბეიშვილი**



ოლიმპიური ჩემპიონი

## ვლეიბურთი london 2012

# ოქრო ოქროსფერ გერმანელებს

ვაჟპლაჟბურთელთა ტურნირს სენსაციის სურნელი მუდამ თან სდევდა. ასე იყო ფინალშიც. მსოფლიოს პლაჟბურთის ლეგენდამ, ბრაზილიელმა **ემანუელ რეგომ** ოლიმპიადის ოქროს მედლის მოპოვება ამჯერადაც ვერ შეძლო. არადა სწორედ ამიტომ შეიცვალა მეწყვილე პეკინის ოლიმპიადის შემდეგ.

ემანუელი **ალისონ ჩერუტისთან** ერთად ტურნირზე პირველ ნომრად იყვნენ განთესილები. მთელი შეჯიბრება უმაღლეს დონეზე ჩაატარეს, თუმცა ფინალში დუეტში რაღაც მოიშალა. ამას ვერაფრით დავარქმევთ მეტოქის შეუფასებობას. გერმანელები **იულიუს ბრინკი** და **იონას რიკერმანი** ლონდონში მე-3 ნომრად განთესილები იყვნენ და ბრაზილიელები მათ შესანიშნავად იცნობდნენ.

პირველ სეტში გერმანელებმა ორი ქულის სხვაობით მოგება შეძლეს. მეორეში კი ემანუელ-ალისონმა თავის თამაშს მიაგნეს და მოგება დიდად არ გასჭირვებიათ - 21:15. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ბრაზილიელები „აკრეფილ სიჩქარეს“ აღარ შეანელებდნენ. თუმცა ასე არ მოხდა. მესამე გადამწყვეტ სეტში, შუა წელამდე, თამაში ქულა ქულაში მიდიოდა. მერე გერმანელებმა ოთხქულიანი სპურტი გააკეთეს და 12:8 დაწინაურდნენ. ნათელი გახდა, რომ გამარჯვება მათ დარჩებოდათ, თუმცა ბრაზილიელებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს და ანგარიშის გათანაბრება შეძლეს - 14:14.

მიუხედავად ამისა, მომდევნო ორი ქულა ბრინკ-რიკერმანის წყვილმა მიითვალა 16:14 და ოქროს მედალიც მათი წილხვედრი გახდა.

**კაცები**

**მე-3 ადგილისთვის**

**პლავინსი/სმედინსი (ლატ)**-ნუმერდორი/შუილი (ჰოლ) 2:1 (19:21, 21:19, 15:11).

**ფინალი**

**ბრინკი/რიკერმანი (გერ)**-ჩერუტი/რეგო (ბრა) 23:21, 16:21, 16:14.

**ბესიკ ჯანგავაძე**



რეკერმანი და ბრინკი

## ხელბურთი london 2012

# ნორვეგია ფერფლიდან აღდგა



ნორვეგია დაფრინავს

ქალ ხელბურთელთა ტურნირში ოქროს მედლისთვის ბრძოლას განაგრძობს პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული ნორვეგიის ნაკრები. აღსანიშნავია, რომ ამის გარდა სკანდინავიელები წლევანდელი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებიც არიან.

ლონდონის ოლიმპიადის ჯგუფურ ტურნირზე უდავო ფავორიტებს ძალიან გაუჭირდათ. მათ ორი მატჩი წააგეს ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებებთან, შედეგად მე-4 ადგილს დასჯერდნენ. მათი მეტოქე ნახევარფინალში სამხრეთ კორეის ნაკრები ოლიმპიურ თამაშებზე მუდამ კარგად ასპარეზობს. კორეელებმა წლეულს აზიის ჩემპიონატიც მოიგეს და ლონდონში ჯგუფურ ტურნირში მეორე ადგილი დაიკავეს.

ამ გუნდების დაპირისპირებაში ინიციატივა თავიდანვე ნორვეგიელებმა აიღეს და თამაშის ბოლომდე უაღრესი ყურადღებითა და გარჯის წყალობით სამხრეთკორეელებს გამარჯვების მოპოვების იოტისოდენა შანსიც არ მისცეს. პირველ ტაიმში სკანდინავიელებმა სამი ქულის სხვაობით მოიგეს - 18:15.

ძალთა თანაფარდობა არც შესვენების შემდეგ შეცვლილა და ნორვეგიელებმა სამქულიანი უპირატესობა საბოლოოდ ექვსამდე გაზარდეს. მათ რიგებში ყველაზე შედეგიანი 29 წლის **ჰეიდი ლოკე** იყო, რომელმაც მეტოქის კარი რვაჯერ დალაშქრა. ერთი გოლით ნაკლები გაიტანა სამხრეთკორეელმა **ჰან ნა გვონმა.**

ნორვეგიელთა მეტოქე ფინალში ოლიმპიადის დებიუტანტი ჩერნოგორიის ნაკრები იქნება, რომელმაც უმძიმეს ბრძოლაში ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის - ესპანეთის ნაკრების დამარცხება მინიმალური სხვაობით შეძლო - 27:26.

**ქალები**

**1/2 ფინალი**

**ნორვეგია-ს. კორეა** 31:25 (18:15)

**ნ**: ლოკე (8), ლუნდე-ბორგერსენი (6), სულანდი (4), სნოროეგენი (4).

**კ**: გვონი (7), ჩოი (4), იუნგი (4), იო (4).

**ესპანეთი-ჩერნოგორია** 26:27 (13:13)

**ე**: ალბერტო ფრანსისკანი (6), ფერნანდეს იბანიესი (5), პინედო საენსი (5), აგილარ დიასი (4).

**ჩ**: ბულატოვიჩი (9), პოპოვიჩი (6).

**მე-3 ადგილისთვის**

**კორეა-ესპანეთი (20:00)**

**ფინალი**

**ნორვეგია-ჩერნოგორია (23:30)**

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ფრენბურთი london 2012

# პეკინშიც ასე იყო

ქალ ფრენბურთელთა ნახევარფინალურ ეტაპზე პირველები მოედანზე პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის ფინალისტები - ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები და სამხრეთ კორეის ეროვნული გუნდი გამოვიდნენ, რომლებიც ოთხი წლის წინ ოთხეულის მიღმა დარჩნენ.

ამერიკელებმა პირველი სეტი დანარჩენ ორთან შედარებით იოლად მოიგეს - 25:20. მეორე და მესამე სეტებში კი სამხრეთკორეელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, თუმცა **დასტინ ჰუკერისა** და **ჯორდან ლარსონის** უძლიერეს დარტყმებს ვერაფერი მოუხერხეს. ფავორიტებმა ორივე სეტში ერთნაირი ანგარიშით 25:22 გაიმარჯვეს და ფინალში გააღწიეს.

ფინალში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მეტოქე ისევე როგორც ოთხი წლის წინ, პეკინში ბრაზილიის ეროვნული გუნდი იქნება. მაშინ გამარჯვება სამხრეთამერიკელებს დარჩათ.

ბრაზილიელებმა ერთი ამოსუნთქვით, ძალიან იოლად დაამარცხეს იაპონიის ნაკრები - 3:0 (25:18, 25:15, 25:18).

**ქალები**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| **ს. კორეა-აშშ** | 0-3 (20:25, 22:25, 22:25) |
| **ბრაზილია-იაპონია** | 3-0 (25:18, 25:15, 25:18) |

**მე-3 ადგილისთვის**

**იაპონია-კორეა (14:30)**

**ფინალი**

**ბრაზილია-აშშ (21:30)**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ს. კორეა-აშშ

# ოლიმპიური ამბები

london 2012

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## უხეში ჩემპიონატი

კანადური გაზეთი „ტორონტო სანი“ სერიოზულად არის შეშფოთებული ოლიმპიადაზე კალათბურთელების მოქ-



ბატუმისა და ნავაროს ინციდენტი

მედებით. მათ თამაშის დროს, მოდაში შემოიღეს წელს ქვემოთ დარტყმები.

ბოლო ინციდენტი უკავშირდება ესპანეთისა და საფრანგეთის მეოთხედფინალურ შეხვედრას - ფრანგმა ფორვარდმა **ნიკოლა ბატუმმა** არ დაინდო თავისი ვიზავი **ხუან კარლოს ნავარო**. ამ ინციდენტს სერიოზული შეხლა-შემოხლა მოჰყვა ორივე გუნდის კალათბურთელებს შორის.

უფრო ადრე, საკალათბურთო ტურნირზე მსგავსი ილეთი გამოიყენა არგენტინელმა **ფაკუნდო კამპაცომ**, რის გამოც ამერიკის ნაკრების ფორვარდი **კარმელო ენტონი** დაზარალდა. თავის მხრივ, კამპაცომ განაცხადა, რომ ენტონის მხოლოდ იმის გამო ჩაარტყა, რომ მანამდე ასეთივე ხერხით გაუსწორდა მას აშშ-ის გუნდის მოთამაშე **კრის პოლი**.

*„როგორც ჩანს, ამ ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირს წელს ქვემოთ და ფეხებს შუა დარტყმებით უფრო დავიმახსოვრებთ“*, - წერს გაზეთი.

## თავში აუვარდა

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ განგაშს ტეხს: 16 წლის ტანმოვარჯიშე **გაბრიელე დუგლასი**, რომელმაც ლონდონში მრავალჭიდში ოლიმპიური ოქრო მოიპოვა, რეალობასთან კავშირს კარგავს.

ჟურნალისტთა აზრით, იუნიორ ამერიკელს თავგზა პრესამ აუბნია, როცა მეცხრე ცაზე აიყვანა ჩემპიონი. დუგლასს უკვე შესთავაზეს სარეკლამო კონტრაქტები სოლიდურმა ფირმებმა, ის უფრო კაპრიზული გახდა, გამოსვლების წინ, თავის ვარცხნილობაზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე კონცენტრაციის მოკრებაზე. ტრიუმფის შემდეგ, გაბრიელემ განაცხადა: *„მე გადავწერე ისტორიის სახელმძღვანელო“*.

ამ ყველაფერმა ის გამოიწვია, რომ მრავალჭიდის მოგების შემდეგ, დუგლასმა ცალკეულ დისციპლინებში ვერც ერთი მედალი ვერ აიღო, ერთ-ერთი სახეობაში კი, საერთოდ, იარაღიდან გადმოვარდა.

გაზეთი სვამს კითხვას - არის თუ არა შესაძლებელი, გოგონა დროებით მაინც მოაშორონ ელექტრონულ მედიასაშუალებებს.



გაბრიელე დუგლასი

## მეთერთმეტე ოლიმპიადას უმიზნებს

ლეგენდარული კანადელი ცხენოსანი **იან მილარი**, რომელმაც ოლიმპიადებზე გამოსვლის რეკორდი დაამყარა, ოთხი წლის შემდეგ, რიო-დე-ჟანეიროში აპირებს თავისი მიღწევის განახლებას.

*„ჩემთვის ყველა ოლიმპიადა განსაკუთრებული იყო, ამიტომაც არც ერთის გამოყოფა არ შემიძლია, თუმცა პეკინის თამაშები მაინც ცალკე დგას, რადგან სპორტსმენებს უყვართ კარგი შედეგების გახსენება. ჩემი ცხენი რიო-დე-ჟანეიროსკენ იხედება და იქ ჩემ გარეშე ვერ გაემგზავრება“*, - ამბობს კანადელი სააგენტო „როიტერთან“ ინტერვიუში.

მილარი, რომელსაც იანვარში 65 წელი შეუსრულდა, მეცხრე ადგილზე გავიდა კონკურის შეჯიბრებაში. მას ოლიმპიურ თამაშებზე დებიუტი 25 წლის ასაკში, მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე ჰქონდა. მომდევნო ათი ოლიმპიადიდან მან მხოლოდ ერთი გამოტოვა - მოსკოვის თამაშები, რომელსაც კანადამ პოლიტიკური ბოიკოტი გამოუცხადა.

უნდა აღინიშნოს, რომ მილარი არასოდეს ყოფილა ოლიმპიური ჩემპიონი. ერთადერთი მედალი მან ოთხი წლის წინ, პეკინში მოიგო - ეს იყო კონკურში გუნდური ასპარეზობის ვერცხლი.

### ინტერვიუ კევინ დურანტთან

## 100 მეტრს 8 წამში გავირბენ

**დღეს, ნახევარფინალურ ეტაპზე ამერიკისა და არგენტინის ნაკრებები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს. ამ გუნდების პირველი შეხვედრა ჯგუფურ ეტაპზე „დრიმ თიმის“ დიდი უპირატესობით დასრულდა, თუმცა პირველ ტაიმში აბსოლუტურად თანაბარი თამაში იყო.**
**იმ მატჩში ათიდან რვა სამქულიანი ჩააგდო კევინ დურანტმა და სულ ცოტა დააკლდა პარტნიორის - კარმელო ენტონის რეკორდამდე, რომელიც 12-დან ათ სამქულიანს უდრის. მელომ ეს შედეგი ნიგერიასთან მატჩში დააფიქსირა. დღევანდელი ნახევარფინალის წინ, დურანტი იხსენებს არგენტინასთან პირველ შეხვედრას და ამბობს, რომ ისეთი დაცვით, როგორიც მის გუნდს პირველ ტაიმში ჰქონდა, ამერიკამ ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება წააგოს.**

**- არგენტინასთან მატჩის პირველი ნახევარი „ყველა ვარსკვლავის მატჩს“ უფრო ჰგავდა, ვიდრე ოფიციალურ შეხვედრას. რის ხარჯზე შეძელით დიდი შესვენების შემდეგ მეტოქის განადგურება?**

- ასეთი გუნდი გვყავს... არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ყველა მატჩს ვიგებთ. ლებრონმა შესანიშნავად დაიწყო მეორე ნახევარი და ჩვენც აგვიყოლია. მან ყველას დადებითი მუხტი გადმოგვცა. ჯეიმსს შეუძლია აგრესიულად მოქმედება. ის ყოველთვის ასეთი იყო. და ეს თვისება სასარგებლოა ჩვენი ნაკრებისთვის. გამოვიყენეთ ის ენერგია, რომელიც მან გუნდს დაუმატა, ტემპი დავიჭირეთ და ბურთის ჩაგდება დავიწყეთ...

**- რა გაკვეთილი გამოიტანეთ პირველი ტაიმიდან, რომელშიც 59 ქულა მიიღეთ საკუთარ ფარში?**

- გაკვეთილი შემდეგი იყო: თუ ასე გავაგრძელებდით, ერთხელ სადმე აუცილებლად წავაგებდით. დაცვაში ასე თამაში, უბრალოდ, არ შეიძლება. იმისთვის, რომ მოიგო, მთელი მატჩის განმავლობაში მაქსიმალურად უნდა დაიხარჯო. არ არის მართებული მხოლოდ მესამე მეოთხედიდან თამაშის დაწყება. საბედნიეროდ, ჭკვიანი გუნდი გვყავს. შეგვიძლია უშუალოდ მატჩის მსვლელობის დროს საკუთარი შეცდომების გამოსწორება. არგენტინასთან მატჩში დიდი შესვენების შემდეგ, დაცვაში უფრო აგრესიულად თამაში დავიწყეთ - გამოგვდიოდა დაფარებები, ჩაჭრები... მთავარია, მეტოქეს აღარ მივეცით იოლი ქულების დაგროვების საშუალება. ვფიქრობ, მესამე და მეოთხე მეოთხედში ჩვენი თამაშის მიმართ სამწვრთნელო შტაბს არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა. სწორედ ასე უნდა ვითამაშოთ პირველი წამებიდან.

**- მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე, როცა სამქულიანი რკალის რადიუსი 6,25 მეტრი იყო, თქვენ პრაქტიკულად არ აცილებდით ამ მანძილიდან. ახლა, FIBA-ს ჩინოვნიკებმა ეს მანძილი ნახევარი მეტრით გაზარდეს, მაგრამ მაინც უშეცდომოდ ისვრით. რამდენად მნიშვნელოვანია ის 49 სანტიმეტრი, რომელიც NBA-სა და ევროპული კალათბურთის სამქულიანის რკალებს შორის არსებობს (7,24 მ და 6,75 მ)? რამდენად გიადვილდებათ FIBA-ს ტურნირებზე სამქულიანების ჩაგდება, ვიდრე NBA-ს მატჩებში?**

- საერთოდ, მე უნივერსალური ფორვარდი ვარ და კალათბურთში საკმაოდ ბევრი შემიძლია - მხოლოდ სამქულიანების ჩაგდებით არ შემოვიფარგლები. უბრალოდ, გარემოება მოითხოვს, რომ კონკრეტულად ამ გუნდს ჩემგან ყველაზე მეტად შორიდან ტყორცნები სჭირდება და მე ეს როლი ძალიან მომწონს. მით უმეტეს, რომ თქვენ მართალი ხართ - ნახევარი მეტრი შესამჩნევ გავლენას ახდენს სროლაზე. ევროპაში სამქულიანის ჩაგდება უფრო იოლია. ერთადერთი, რაც მჭირდება - პარტნიორის პასი დავიჭირო და მაშინვე ვისროლო.

**- მიუხედავად ამისა, ერთხელ ცხრა მეტრიდან ჩააგდეს ბურთი...**

- სროლის წინ არასოდეს ვფიქრობ ისეთ წვრილმანებზე, როგორიცაა მანძილი ფარამდე. ვგრძნობდი, რომ შემეძლო ჩაგდება. და ვიცოდი - როგორც კი გადაცემას მივიღებდი, მაშინვე შევუტევდი. როცა კარგ რიტმს იჭერ, საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად მოშორებული ხარ სამქულიანის ხაზს. შინაგანი დამაჯერებლობა უფრო მნიშვნელოვანია.

**- როგორ ახერხებთ ბურთის მიღებას სიტუაციაში, როცა თქვენ გარშემო არც ერთი მეტოქე არ დგას? სუპერსნაიპერის რეპუტაცია გაქვთ და წესით, მცველები მუდმივად ყველგან უნდა დაგდევდნენ...**

- გუნდში ძალიან კარგი გამთამაშებლები გვყავს. საკმარისია, წამის მეათედით დაუსხლტე მეურვეს - ბურთი უკვე შენ გაქვს. რჩება მხოლოდ ფარის მიმართულებით სროლა.

**- იმავე არგენტინასთან მატჩში სერიოზულად იუხეშეს კარმელო ენტონის წინააღმდეგ და თქვენ ყველაზე აქტიურად ცდილობდით არგენტინის სათადარიგო სკამთან მისვლას...**

- იმ ძალისმიერმა ილეთმა, რომლის გამოც მელო დაზარალდა, ძალიან გაგვაბრაზა. ჩვენ არგენტინას ოლიმპიადის წინ, ბარსელონაში ვეთამაშეთ და მაშინაც მოხდა პატარა ჩხუბი. ამან ძალიან ამოგვაგდო სათამაშო რიტმიდან და შედეგად, ძალიან რთული გამარჯვება მოვიპოვეთ. ახლა კი მნიშვნელოვანია ყველა მეტოქეს ვაგრძნობინოთ - ამერიკის ნაკრებს ვერ დააშინებენ. ამას ვერავინ გააკეთებს. ჩვენ მეტოქის უხეშობას სწორი და ადეკვატური პასუხი უნდა გავცეთ და ვფიქრობ, ეს გამოგვივიდა.

**- კმაყოფილი ხართ იმ სპორტული ფორმით, რომლითაც ამერიკა პლეი ოფს შეხვდა?**

- მე მგონი, იმავე არგენტინასთან და შემდეგ, მეოთხედფინალში ავსტრალიასთან მატჩმა პასუხი გასცა იმ კრიტიკოსებს, რომლებმაც ლიტვასთან მატჩის შემდეგ, უსიამოვნო ფრაზები ისროლეს ჩვენი მისამართით.

**- გქონდათ თუ არა საშუალება, სპორტის სხვა სახეობის სტარტებს დასწრებოდით?**

- დიახ. ვიყავი ცურვაზე, კრივზე, მძლეოსნობაზე... შესანიშნავი შთაბეჭდილება იყო. ძალიან მომეწონა. შეძლებისდაგვარად ვცდილობ, თანამემამულეებს მხარი დავუჭირო.

**- უსაინ ბოლტმა მოიგო მორიგი ოქროს მედალი. თქვენ რა დროში შეგიძლიათ 100 მეტრის გარბენა?**

- წარმოდგენა არ მაქვს. სავარაუდოდ, რვა წამში... ნებისმიერ შემთხვევაში, ოლიმპიადის ფინალში ბოლო ადგილზე გავიდოდი.

**- როგორც ჩანს, წარმოდგენა არ გაქვთ, რას უდრის 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს რეკორდი...**

- დიახ, მართალი ხართ. სირბილი არასოდეს ყოფილა ჩემი გატაცება. ბავშვობიდან მხოლოდ კალათბურთს ვთამაშობ. და ამის გამო, სულაც არ ვნაღვლობ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


კევინ დურანტი

## კალენდარი: 10 აგვისტო

london 2012

### მძლეოსნობა

| | |
|---|---|
| 22:00 | კაცები. ჭოკით ხტომა. ფინალი |
| 22:10 | ქალები. 4x400 მ. I რაუნდი |
| 22:35 | ქალები. უროს ტყორცნა. ფინალი |
| 22:45 | კაცები. 4x100 მ. I რაუნდი |
| 23:05 | ქალები. 5000 მ. ფინალი |
| 23:40 | ქალები. 4x100 მ. ფინალი |
| 23:55 | ქალები. 1500 მ. ფინალი |
| 00:20 | კაცები. 4x400 მ. ფინალი |

### კალათბურთი

#### კაცები. 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| 20:00 | ესპანეთი-რუსეთი |
| 00:00 | აშშ-არგენტინა |

### კრივი

| | |
|---|---|
| 16:30 | კაცები. 49 კგ. 1/2 ფინალი |
| 17:00 | კაცები. 56 კგ. 1/2 ფინალი |
| 17:30 | კაცები. 64 კგ. 1/2 ფინალი |
| 18:00 | კაცები. 75 კგ. 1/2 ფინალი |
| 18:30 | კაცები. 91 კგ. 1/2 ფინალი |
| 23:30 | კაცები. 52 კგ. 1/2 ფინალი |
| 00:00 | კაცები. 60 კგ. 1/2 ფინალი |
| 00:30 | კაცები. 69 კგ. 1/2 ფინალი |
| 01:00 | კაცები. 81 კგ. 1/2 ფინალი |
| 01:30 | კაცები. +91 კგ. 1/2 ფინალი |

### ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე)

| | |
|---|---|
| 12:30 | კაცები. ერთადგილიანი ბაიდარა. 200 მ. კვალიფიკაცია |
| 14:02 | კაცები. ერთადგილიანი ბაიდარა. 200 მ. 1/2 ფინალი |
| 12:51 | კაცები. ერთადგილიანი კანოე. 200 მ. კვალიფიკაცია |
| 14:16 | კაცები. ერთადგილიანი კანოე. 200 მ. 1/2 ფინალი |
| 13:12 | ქალები. ერთადგილიანი ბაიდარა. 200 მ. კვალიფიკაცია |
| 14:30 | ქალები. ერთადგილიანი ბაიდარა. 200 მ. 1/2 ფინალი |
| 13:33 | კაცები. ორადგილიანი ბაიდარა. 200 მ. კვალიფიკაცია |
| 14:44 | კაცები. ორადგილიანი ბაიდარა. 200 მ. 1/2 ფინალი |

### ველოსპორტი (BMX)

| | |
|---|---|
| 18:00 | ქალები. 1/2 ფინალი |
| 19:30 | ქალები. ფინალი |
| 18:08 | კაცები. 1/2 ფინალი |
| 19:40 | კაცები. ფინალი |

### წყალში ხტომა

| | |
|---|---|
| 22:00 | კაცები. 10 მ. წინასწარი |

### ფეხბურთი

კაცები. მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| 22:45 | ს. კორეა-იაპონია |

### მხატვრული ტანვარჯიში

| | |
|---|---|
| 15:00 | ინდივიდუალური. მრავალჭიდი. კვალიფიკაცია |
| 16:18 | ინდივიდუალური. მრავალჭიდი. კვალიფიკაცია |
| 17:50 | გუნდური. მრავალჭიდი. კვალიფიკაცია |

### ხელბურთი

კაცები. 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| 20:00 | უნგრეთი-შვედეთი |
| 23:30 | საფრანგეთი-ხორვატია |

### ბალახის ჰოკეი

#### ქალები

##### მე-11 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| 11:30 | ბელგია-აშშ |

##### მე-5 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| 14:30 | ჩინეთი-ავსტრალია |

##### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| 18:30 | ზელანდია-ბრიტანეთი |

##### ფინალი

| | |
|---|---|
| 23:00 | ჰოლანდია-არგენტინა |

### აფროსნობა

| | |
|---|---|
| 15:00 | ქალები. ელიოტი. 1/2 ფინალი |
| 15:00 | კაცები. 470. ფინალური რბოლა |
| 16:00 | ქალები. 470. ფინალური რბოლა |

### ცურვა

| | |
|---|---|
| 15:00 | კაცები. 10 კმ. ღია წყალზე. ფინალი |

### სინქრონული ცურვა

| | |
|---|---|
| 18:00 | გუნდური. თავისუფალი პროგრამა. ფინალი |

### ტაეკვანდო

| | |
|---|---|
| 12:00 | ქალები. 67 კგ. კვალიფიკაცია |
| 18:00 | ქალები. 67 კგ. 1/4 ფინალი |
| 20:00 | ქალები. 67 კგ. 1/2 ფინალი |
| 23:00 | ქალები. 67 კგ. მე-3 ადგილისთვის |
| 01:15 | ქალები. 67 კგ. ფინალი |
| 12:15 | კაცები. 80 კგ. კვალიფიკაცია |
| 18:15 | კაცები. 80 კგ. 1/4 ფინალი |
| 20:15 | კაცები. 80 კგ. 1/2 ფინალი |
| 23:15 | კაცები. 80 კგ. მე-3 ადგილისთვის |
| 01:30 | კაცები. 80 კგ. ფინალი |

### ფრენბურთი

#### კაცები. 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| 18:00 | ბულგარეთი-რუსეთი |
| 22:30 | ბრაზილია-იტალია |

### წყალბურთი

#### კაცები. 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| 18:40 | ხორვატია-ჩერნოგორია |
| 22:50 | იტალია-სერბეთი |

### ჭიდაობა

| | |
|---|---|
| 16:00 | კაცები. თავისუფალი. 55 კგ. კვალიფიკაცია |
| 16:30 | კაცები. თავისუფალი. 55 კგ. 1/8 ფინალი |
| 16:30 | კაცები. თავისუფალი. 55 კგ. 1/4 ფინალი |
| 16:30 | კაცები. თავისუფალი. 55 კგ. 1/2 ფინალი |
| 20:45 | კაცები. თავისუფალი. 55 კგ. მე-3 ადგილისთვის |
| 21:25 | კაცები. თავისუფალი. 55 კგ. ფინალი |
| 16:00 | კაცები. თავისუფალი. 74 კგ. კვალიფიკაცია |
| 16:30 | კაცები. თავისუფალი. 74 კგ. 1/8 ფინალი |
| 16:30 | კაცები. თავისუფალი. 74 კგ. 1/4 ფინალი |
| 16:30 | კაცები. თავისუფალი. 74 კგ. 1/2 ფინალი |
| 20:45 | კაცები. თავისუფალი. 74 კგ. მე-3 ადგილისთვის |
| 21:25 | კაცები. თავისუფალი. 74 კგ. ფინალი |

## ამბები london 2012


გიის ვან ჰეკე

# ოლიმპიური ჩემპიონი... ქეიფში

რამდენიმე ინგლისურმა გაზეთმა 8 აგვისტოს დაბეჭდა ბელგიელი ველომრბოლის **გიის ვან ჰეკეს** ფოტოები. სპორტსმენი ამ სურათებზე ძლიერი ალკოჰოლური ზემოქმედების დროს არის აღბეჭდილი. ფოტოებს თან ერთვის გაზეთების ირონიური მინაწერები. მაგალითად, „დეილი მირორმა" ბელგიელს წვეულებებისა და სალამოების ოლიმპიური ჩემპიონი უწოდა.

ფოტოზე ჩანს, რომ გიის ვან ჰეკე თითქმის უგონო მდგომარეობაშია და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. როგორც ჩანს, მან სწორედ ასეთი ხერხით გადაწყვიტა ოლიმპიადაზე თავისი გამოსვლის აღნიშვნა. ბელგიელი ველოტრეკზე ომნიუმში გამოდიოდა და მე-15 ადგილი დაიკავა.

ბელგიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამოაცხადეს, რომ ვან ჰეკე დღეს დატოვებს ლონდონს და სამშობლოში გაემგზავრება. ამასთან, ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა აღნიშნეს, რომ სპორტსმენმა ბოდიში მოიხადა თავისი საქციელის გამო.

# ძიუდოა თუ წყალბურთი?



გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი" სვამს კითხვას: რას აკეთებენ წყალბურთელები მატჩების დროს წყალქვეშ, რაც მსაჯების თვალისთვის შეუმჩნეველი რჩება? რამდენიმე სპორტსმენისა და მწვრთნელის გამოკითხვის შემდეგ, გამოცემა იმ აზრამდე მივიდა, რომ წყალბურთი - ეს არ არის თამაში, რომელშიც ბურთი უნდა გაიტანო მეტოქის კარში. ეს არის ნამდვილი წყალქვეშა ომი, სადაც შენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტად დაასახიჩრო მოწინააღმდეგე. აშშ-ის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი წყალბურთს ასე ახასიათებს: *„ძიუდო შეხამებულია სხვა საბრძოლო ხელოვნებებთან"*.

ჩამტვრეული კბილები, იდაყვის დარტყმა - ეს ჩვეულებრივი ამბავია. აშშ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ტერი შრიოდერმა** გაზეთს სპორტის ამ სახეობის სისასტიკის შესახებ საკუთარი ისტორია მოუყვა.

*„იმ დროს, როცა მე ვთამაშობდი, იყო ერთი უნგრელი მცველი. მისი დაცვის მეთოდი შემდეგში მდგომარეობდა: ფეხებს შორის ხელს წაგავლებდა და ფსკერისკენ გქაჩავდა. ამასთან, კეთილად იღიმოდა და მეორე ხელს ჰაერში იქნევდა - თითქოს მეტოქე მებრძვისო. რა თქმა უნდა, მსაჯები ვერაფერს ხედავდნენ, ჩემთვის კი მთავარი იყო ცოცხალი გადავრჩენილიყავი"*.

# პროტესტი მიღებულია, პისტორიუსი ფინალშია

სამხრეთაფრიკელი მორბენალი ამპუტანტი **ოსკარ პისტორიუსი** შეძლებს 4x400 მეტრზე ესტაფეტის ფინალში მონაწილეობის მიღებას.

გუშინ, ამ დისციპლინაში საკვალიფიკაციო გარბენები გაიმართა. სამხრეთ აფრიკის გუნდმა დისკვალიფიკაცია მიიღო იმის გამო, რომ **ოფენტსე მოგავენე** დისტანციას ჩამოშორდა. გარბენის დროს მოგავენე კენიეს მორბენალს შეეჯახა, ტრავმა მიიღო და ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო. პისტორიუსს სწორედ მოგავენეს შემდეგ უნდა ჩაებარებინა ესტაფეტა.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა პროტესტი შეიტანა. გუნდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეჯახებაში კენიელი ათლეტი იყო დამნაშავე. ორგანიზატორებმა აპელაცია დააკმაყოფილეს და სამხრეთ აფრიკა ფინალში დაუშვეს. ამასთან, ეს გუნდი ფინალური გარბენის მეცხრე მონაწილე გახდება. 4x400 მეტრზე ესტაფეტა დღეს გაიმართება.

პისტორიუსი იქნება პირველი სპორტსმენი ამპუტირებული კიდურებით, რომელიც ოლიმპიური მედლისთვის იბრძოლებს. 400 მეტრზე სამხრეთ აფრიკელმა ნახევარფინალში ვერ გააღწია.



პისტორიუსი ამაოდ ელოდა თანაგუნდელს

## მძლეოსნობა london 2012

# არის რეკორდი!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

### ბოლტი რუდიშამ დაჩრდილა

მძლეოსნობის მორიგი სათამაშო დღიდან გამოვარჩიეთ ქალებს შორის „გრძელ სპრინტში" ფინალი, რომელიც ამერიკელმა **ელისონ ფელიქსმა** მოიგო.

ახლა,მოკლედ სხვა ფინალების შესახებ. დავიწყოთ ქალებს შორის სიგრძეზე ხტომით, სადაც გამოდიოდა მსოფლიოს ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებული, ამერიკელი **ბრიტნი რიზი**, რომელიც ამ სეზონში სამჯერ გაფრინდა შვიდ მეტრზე შორს. აქ ბრიტანელთა იმედი იყო **შარა პროქტორი** - ყოფილი ამერიკელი, რომელიც ორი წელია ბრიტანეთის სახელით გამოდის.

მაგრამ მასპინძელი მალე გამოეთიშა მედლებისთვის ბრძოლას, რადგან პირველი სამი ნახტომის შემდეგ, რვა საუკეთესოს მიღმა აღმოჩნდა. რიზმა კი მეორე ცდაზევე სერიოზული დარტყმა მიაყენა თავის კონკურენტებს - მან 7,12 მეტრი დააფიქსირა. ამერიკელს ბრძოლა მხოლოდ რუსმა **ელენა სოკოლოვამ** გამოუცხადა. მანაც შეძლო შვიდ მეტრზე შორს გადახტომა, მაგრამ ხუთი სანტიმეტრით ჩამორჩა რიზს.

კარგი მზადყოფნა დააფიქსირა **ჯენეი დელოუჩმა**. ის ორჯერ რიზზე შორსაც გაფრინდა, მაგრამ ორივეჯერ წითელ ხაზს დააბიჯა ფეხი. თუმცა 6,89 მეტრით ბრინჯაოს მედლის მოპოვება მაინც შეძლო.

■ ■ ■

ქალებს შორის 400 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებაზე რამდენიმე მორბენალი აცხადებდა პრეტენზიას. საკმარისია აღინიშნოს, რომ წინასწარ გარბენებში სამი სხვადასხვა სპორტსმენის მიერ სამჯერ გაუმჯობესდა სეზონის საუკეთესო დრო. მაგრამ მთავარ ფავორიტად მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ამერიკელ **ლაშინდა დემუსს** ასახელებდნენ.

თუმცა იმ დღეს ამერიკელთა აბსოლუტური ტრიუმფი არ შედგა (აშშ-მ ოთხი ფინალიდან სამი მოიგო). ამას ხელი შეუშალა რუსმა **ნატალია ანტიუხმა**. მან მხარი აუბა დემუსის სასტარტო ტემპს (ცნობილია, რომ ამერიკელი საწყის ბარიერებს ძალიან სწრაფად გარბის). ბოლო ვირაჟის შემდეგ, ლიდერი სწორედ რუსი იყო. ბოლო ბარიერის წინ, ანტიუხს აშკარად ძალები ეცლებოდა, რითმიდან ამოვარდა, მაგრამ მოახერხა ფინიშამდე პირველი ადგილის შენარჩუნება. დემუსმა სცადა გაბრძოლება, თუმცა ჩემპიონთან 7 მეამედი წამი წააგო. თავად ანტიუხს 6 მეასედი წამი არ ეყო ახალ ოლიმპიურ რეკორდამდე.

■ ■ ■

110 მეტრზე თარჯრბენში ჯერ კიდევ ნახევარფინალში გამოიკვეთა ფავორიტი. ამერიკელმა **არიეს მერიტმა** ფანტასტიკური დრო აჩვენა - 12,94 წამი და არა მარტო ოქროზე, არამედ მსოფლიოს ახალ რეკორდზეც გააკეთა განაცხადი. კარგად გამოიყურებოდა მისი თანამემამულე **ჯეისონ რიჩარდსონი**, რომელმაც 13,13 წამი აჩვენა. რაც შეეხება პეკინის ოლიმპიურ ჩემპიონს **დაირონ რობლესს**, ეს ტრავმის შემდეგ მისი პირველი სერიოზული სტარტი იყო და ისე მსუბუქად ვერ გამოიყურებოდა, როგორც ამერიკელები, თუმცა ფინალში მაინც გააღწია.

გადამწყვეტ გარბენში მერიტი უკონკურენციოდ იყო. რობლესმა საერთოდ ვერ მიაღწია ფინიშამდე, რადგან დისტანციის მსვლელობისას კუნთი დაეჭიმა. მსოფლიოს რეკორდი კი არ შედგა, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ ის არის, რომ მას კონკურენცია ვერავინ გაუწია და ბოლო მეტრებზე ოდნავ მოდუნდა. თუმცა 12,92 წამიც კარგი დროა - ერთი მეასედით ჩამორჩება ოლიმპიურ რეკორდს.

■ ■ ■

გუშინდელი დღის მთავარი სტარტი, რა თქმა უნდა, კაცებს შორის 200 მეტრი იყო, მაგრამ **უსაინ ბოლტისა** და **იოჰან ბლეიკის** დუელი ბრწყინვალე კენიელი მორბენლის **დავიდ რუდიშას** რეკორდმა დაჩრდილა.

ამ ათლეტის აქტივში იყო გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატზე და მსოფლიოს ორი რეკორდი, თუმცა ოლიმპიადაზე ოქროს არ ჰქონია. ეს დროის საკითხი იყო. რუდიშა თავიდანვე ჩაუდგა სათავეში 800 მეტრზე გარბენს და დისტანციის პირველი ნახევარი 50 წამზე ნაკლებ დროში გაირბინა. შემდეგ კი თანდათან ზრდიდა ტემპს და ოპონენტებს შანსს არ უტოვებდა. არადა, კონკურენტებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს - დამყარდა რამდენიმე პირადი და ეროვნული რეკორდი. მაგრამ ეს ყველაფერი დაიჩრდილა რუდიშას მსოფლიოს რეკორდის ფონზე. კენიელი პირველია, ვინც 800 მეტრზე წუთიდან 41 წამიდან გამოვიდა.

■ ■ ■

უსაინ ბოლტი დღის გმირი იმ შემთხვევაში გახდებოდა, თუ 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდს დაამყარებდა. ის კვლავ ფავორიტი იყო, მთავარი კონკურენტი კი მეორე იამაიკელი იოჰან ბლეიკი გახლდათ.

უსაინმა ძალიან ძლიერი სტარტი აიღო. მოსახვევის შემდეგ, ის აშკარა ლიდერი იყო, მაგრამ ფინიშის სწორზე თანდათან უახლოვდებოდა ბლეიკი. და მაინც, იოჰანს არ აღმოაჩნდა საკმარისი ძალა იმისთვის, რომ უფრო სახელოვან და გამოცდილ თანამემამულეს დაწეოდა. ბოლტმა ბოლო მეტრებზე ტემპის დაგდების უფლებაც მისცა საკუთარ თავს - 19,30. თუმცა ეს რომც არ გაეკეთებინა, მსოფლიოს რეკორდი მაინც არ შედგებოდა.

ბოლტი ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ბლეიკი ისევ მეორეზე გავიდა, სამეულში კი კიდევ ერთი იამაიკელი **უორენ უეირი** აღმოჩნდა.



ბოლტის ფინიში



რუდიშა და მისი რეკორდი

| კაცები | |
|---|---|
| **ათჭიდი** | |
| 1. ეშტონ იტონი (აშშ) | 8869 |
| 2. ტრეი ჰარდი (აშშ) | 8671 |
| 3. ლეონელ სუარესი (კუბ) | 8523 |
| 4. ჰანს ვან ალფენი (ბელ) | 8447 |
| 5. დამიან უორნერი (კან) | 8442 |
| 6. რიკო ფრაიმუტი (გერ) | 8320 |
| **სამხტომი** | |
| 1. კრისტიან ტეილორი (აშშ) | 17.81 |
| 2. უილ კლეი (აშშ) | 17.62 |
| 3. ფაბრიციო დონატო (იტა) | 17.48 |
| 4. დანიელე გრეკო (იტა) | 17.34 |
| 5. ლივან სანდსი (ბაჰ) | 17.19 |
| 6. ბენჯამინ კომპაორი (საფ) | 17.08 |
| **800 მ** | |
| 1. დავიდ რუდიშა (კენ) | 1:40.91 (მს.რ.) |
| 2. ნაიჯელ ამოსი (ბოტს) | 1:41.73 |
| 3. ტისოტი კიტუმი (კენ) | 1:42.53 |
| 4. დუან სოლომონი (აშშ) | 1:42.82 |
| 5. ნიკ სიმონდსი (აშშ) | 1:42.95 |
| 6. მოჰამედ ამანი (ეთი) | 1:43.20 |
| **200 მ** | |
| 1. უსაინ ბოლტი (იამ) | 19.32 |
| 2. იოჰან ბლეიკი (იამ) | 19.44 |
| 3. უორენ უეირი (იამ) | 19.84 |
| 4. უოლას სპირმონი (აშშ) | 19.90 |
| 5. ჩურანდი მარტინა (ჰოლ) | 20.00 |
| 6. კრისტოფ ლემეტრი (საფ) | 20.19 |
| **ქალები** | |
| **შუბის ტყორცნა** | |
| 1. ბარბორა შპოტაკოვა (ჩეხ) | 69.55 |
| 2. კრისტინა ობერგფოლი (გერ) | 65.16 |
| 3. ლინდა შტალი (გერ) | 64.91 |
| 4. სუნეტ ვილიოენი (ს. აფრ) | 64.53 |
| 5. ჰუიჰუი ლუ (ჩინ) | 63.70 |
| 6. კატრინა მოლიტორი (გერ) | 62.89 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# TimeLine

Username: ვაჟა
Password: ხიმერიშვილი

# ოლიმპიური ოქრო სანიკიძისგან?

უკეთ, ვიდრე ათენში - ითქვა პეკინის ოლიმპიადის წინ და შესრულდა კიდეც. 2004 წელს 2 ოქრო, 2008 წელს - 3... 2012-ში? ლოგიკას თუ გავყვებით, ლონდონში 4 ოქრო უნდა მოვიგოთ, თუმცა ძალიან გაგვიჭირდება, რადგან თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა იმედზელა ვართ. მათ კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამჯერ ასვლა გაუჭირდებათ. მოკლედ, დევიზი „უკეთ, ვიდრე პეკინში" ვერ მართლდება. რაშია საქმე? ფაქტია, რაღაცა უნდა შეიცვალოს, რათა 2016 წელს შედეგები კიდევ არ გაუარესდეს.

მაინც რა უნდა შეიცვალოს? - იკითხავთ. სპორტი მასობრივი უნდა გახდეს, ბავშვის სპორტულად აღზრდაში მშობელმა ფული არ უნდა გადაიხადოს. ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მძლეოსნობას, ცურვას, სადაც ოლიმპიადებზე ყველაზე მეტი მედალი თამაშდება. დღესაც ყურიდან არ ამომდის მშვილდოსან ქრისტინე ესებუას ნათქვამი: „ქართველები სპორტული ხალხი ვართ. მჯერა, დღესაც მოიძებნება 3-4 ადამიანი, რომლებიც სათანადო მომზადების შემთხვევაში მშვილდოსნობაში ჩვენს ქვეყანას ასახელებდა, მაგრამ სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის სათანადო პირობები არ გვაქვს, საჭიროა თბილი დარბაზები და კარგი აღჭურვილობა."

თუ სპორტის მასობრიობაზე დღეს ვიზრუნებთ, 10-15 წელიწადში შედეგიც გვექნება... დაახლოებით 2024 წლის ოლიმპიადისთვის.

ბევრი ქართველის მსგავსად, მეც მაქსიმალისტი ვარ. ვემხრობი მოკლე დროში მაქსიმუმის მიღებას, თუმცა არა მინიმალური დანახარჯით. იმის თქმა მინდა, რომ 2024 წლამდე ძალიან შორია. ნუთუ არ არსებობს ხერხი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება შედეგების უფრო ადრე გაუმჯობესება? ამ ხერხს „გადასროლა" დავარქვათ და ამ ქვეთავთან შედარებით ხალისიანი ფერებით შევლებოთ.


ვიქტორ სანიკიძე

„ლელოს" რედაქციას ორი კვირის წინათ სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე სტუმრობდა, რომელმაც თქვა - მეკარე ვიყავი, კალათბურთსაც კარგად ვთამაშობდიო... სხვათა შორის, სამხტომში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევიც კალათბურთის სექციაში დადიოდა და მძლეოსნობის მწვრთნელებს რომ არ ეაქტიურათ, თბილისის „დინამოშიც" ვიხილავდით.

ბატონი რობერტის სტუმრობის შემდეგ ერთი აზრი ამეკვიატა: „მფრინავი ქართველი" ვიქტორ სანიკიძე ოლიმპიადაზე სიმაღლეზე ხტომაში მედალს ვერ მოგვიტანდა? რატომაც არა - თუ შეუძლია, სამმეტრიან ფარს გადაევლოს, ოლიმპიური ბარიერის გადალახვა რატომ უნდა გაუჭირდეს? მთავარია, სანიკიძეს 2016 წლის ოლიმპიადაზე გიორგი ცინცაძე ახლდეს და ძელს ზემოთ ბურთი ისე „დაუკიდოს", როგორც საკალათბურთო მატჩებისას.

თარჯრბენისთვისაც შევარჩიე სათანადო კანდიდატურა: გიორგი შერმადინი 216 სმ სიმაღლისაა, მძლეოსნობის ამ სახეობაში კი ბარიერები სულაც არ არის მაღალი. ასე რომ, გიორგის თავისუფლად შეუძლია გადააბიჯოს და ფინიშამდე ხტომით კი არა, სირბილით მივიდეს. რიოს ოლიმპიადაზე წარმატების იმედი ნამდვილად უნდა გვქონდეს, თუ თარჯრბენში ამერიკელი დუაით ჰოვარდიც არ „გადაისროლეს".


ავტორის შარჟი

მანუჩარ მარკოიშვილი

დააკვირდით ამავე გვერდზე დაბეჭდილ ფოტოს - ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია ჩოგბურთის კორტზე დგანან. ზაზას პლუსი ჩაწოდება იქნება (რამდენ ეისს ვიხილავდით...), ხოლო შენგელია იმდენად სწრაფი და მოქნილია, რომ ფედერერის მოწოდებულებსაც ისევე იოლად მოიგერიებდა, როგორც ოთხშაბათს ესტონელს დაუფარა.

სხვათა შორის, ამერიკაში ზაზა ფაჩულიას ერთ-ერთმა ჟურნალისტმა „როკი ბალბოაც" შეარქვა. 2008 წელს მისი და კევინ გარნეტის შეხლა-შემოხლას ისეთი რეზონანსი მოჰყვა, რომ მინი-კლიპიც დაამონტაჟეს, რომელშიც ზაზას ამერიკული ფილმის გმირ მოკრივე „როკის" ადარებენ.

ბირთვის ან უროს ტყორცნაში ვინ გამოვიყვანოთ? საკალათბურთო ნაკრებში ისეთი აღნაგობა არავის აქვს, ბირთვის მკვრელებს რომ ახასიათებთ. ამიტომ ამ სახეობაში სხვა სპორტიდან უნდა შევარჩიოთ შესაფერისი კანდიდატი...

მანუჩარ მარკოიშვილი შორი დისტანციიდან ჰორიზონტალურად დამაგრებულ რგოლში რობინ ჰუდივით ზუსტად ისვრის და მშვილდოსნების ათიანს როგორ ვერ გაარტყამს?! რაც უფრო შორია სამიზნე, მით უკეთესი. ასე რომ, 2016 წლის ოლიმპიადისთვის მშვილდოსანი ვაჟიც შევარჩიეთ.

ორი ვლადიმერი, სტეფანია და ბოისა ვიდრე კალათბურთზე შევიდოდნენ, ცურვაში ცდიდნენ ძალებს და წარმატებებიც ჰქონდათ. სტეფანია აუზს არც ამერიკაში ეშვება (დააკვირდით ფოტოს, რაიან ლოხტეზე ნაკლებად უსვამს მკლავს, თუ)...


ვლადიმერ სტეფანია

კიდევ არაერთი ოლიმპიური სახეობისთვის შეიძლება კანდიდატების სპორტის გუნდური სახეობებიდან გადასროლა, მაგრამ თავადაც ხვდებით, რომ ზემოთ დაწერილი მხოლოდ ხუმრობაა. ზაზა ფაჩულიასა და მის თანაგუნდელებს 2016 წელსაც თავისი საქმე ექნებათ. „საქმეში" შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, ასევე ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე თამაში...


ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია


Oxford MEDICAL

## დროულად მოირჩინე პროსტატის ადენომა!



ვიტალი ბერიშვილი

პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (გადიდება) არის დაავადება, რომელიც დაკავშირებულია მამაკაცის ასაკის მატებასთან. თუმცა თავისთავად იგი არ არის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა და ვლინდება ძირითადად შარდვის გამოყოფის (ნაკადის შესუსტება, ღამით შარდვა და სხვა) გაძნელებით, რაც აუარესებს ასაკოვან მამაკაცთა ცხოვრების ხარისხს. უმრავლესობა მამაკაცთა აზრით თითქმის ყველა მამაკაცს აქვს პროსტატის ადენომა. სინამდვილეში ავადდება ყოველი მე 5-6 მამაკაცი, თანაც დაავადება ვლინდება მხოლოდ მათ გარკვეულ ნაწილში. დროულად ჩატარებული გამოკვლევა და დაავადების ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პროსტატის ადენომა, ჩატარებული სწორი მედიკამენტოზური მკურნალობა სასურველ სტაბილურ შედეგს იძლევა. „გართულების შემთხვევაში (ძირითადად მკურნალობის დაგვიანების შედეგად) როგორიცაა შარდის შეკავება, სისხლიანი შარდი, ოპერაციული მკურნალობა გარდაუვალი ხდება" – ამბობს ექიმი-როლოგი ვიტალი ბერიშვილი.

როდის გქონდათ ბოლოს სექსუალური კონტაქტი?
ჩაიტარეთ ბოლოს პროფილაქტიკური გამოკვლევა უროლოგთან ან სექსოლოგთან?
დაუსვით შეკითხვა თქვენს თავს ხომ არ გაქვთ ქლამიდოზი, მიკოპლაზმოზი, კანდიდოზი, ტრიქომონიაზი ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადება? იცით თუ არა რომ
ჰეპატიტი შეიძლება გავრცელდეს სქესობრივი გზითაც.
თქვენ
გაქვთ სექსუალური დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება?
დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი სექსუალური პარტნიორები „სტერილური" და ჯანმრთელები არიან?
გსურთ
დაივიწყოთ ინფექციები და ანთებითი პროცესები?
გაიუმჯობესოთ სექსუალური პოტენციალი?
დაიბრუნოთ ჯანმრთელობა და სრულფასოვანი ცხოვრება?
ჩაიტაროთ სრული გამოკვლევა და მკურნალობა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთან?
შეგიძლიათ
არ იყოთ გაურკვევლობაში ყოველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ!
გაიაროთ სრული გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში დაიწყოთ დროული მკურნალობა!
თემური,43 წლის:
– იმდენად გამირთულდა ყველაფერი, მეგონა, ცხოვრება დამთავრდა. დამიქვეითდა აქტიური რეჟიმი და გართულებები დამეწყო. დროულად აღმოვაჩინე კლინიკა „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია" და მივხვდი, რომ კარგი სპეციალისტი ცხოვრების თავიდან დაწყებას ნიშნავს.

### უროლოგია
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

### გინეკოლოგია
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

### პროქტოლოგია
- ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

### კოსმეტოლოგია
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

### დერმატოლოგია
- კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS
229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

## ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. I ტურის წინათქმა

# უკეთესის იმედით

10.08. ბოლნისი. თ. სტეფანია. 17:30
**სიონი–დინამო (ბთ)**
Bwin: 1.95 3.10 3.60

10.08. ფოთი. ფაზისი. 17:30
**კოლხეთი–ჩიხურა**
Bwin: 1.95 3.10 3.60



დღეს ორი მატჩით საქართველოს მორიგი ეროვნული ჩემპიონატი გვეწყება და იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი სეზონი წინაზე საინტერესო და რაც მთავარია, ნაკლებად სკანდალური გამოდგება.

შეგახსენებთ, უმაღლეს ლიგაში ამჯერადაც 12 გუნდი იასპარეზებს, რომლებიც თავდაპირველად ორ წრედ ითამაშებენ, რის შემდეგაც ზედა და ქვედა ექვსეულებად დაიყოფიან. გადაწყდა, რომ ჩემპიონატის პირველი ეტაპი, ანუ 22 ტური, ამ წლის ბოლომდე უნდა მოესწროს და ამიტომ საქართველოს თასის გათამაშება 2013 წელს დაიწყება.

თუ ვინ არიან ჩემპიონატის მთავარი ფავორიტები და ვინ შემოიფარგლება უფრო მოკრძალებული მიზნებით, ამის შესახებ ბოლო პერიოდში ხშირად დაგვიწერია და სეზონის მსვლელობისასაც ხშირად ვიმსჯელებთ. ერთი შეხედვით კი უმაღლეს ლიგას ამ მომენტისთვის "დიდი ხუთეული" ჰყავს – "ზესტაფონი", "დილა", "მეტალურგი", "ტორპედო" და "დინამო". წესით, მათ ზეექვსეულში შესვლა არ უნდა გაუჭირდეთ, იქ მოსახვედრი ბოლო საგზურისთვის კი უშელავათო ბრძოლა უნდა გაჩაღდეს.

კარგია, რომ წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით, ნაკლებად იქნება ე.წ. მნიშვნელოვანი და უსარგებლო მატჩები. ახალ სეზონში ყველა ქულა ფასეული იქნება და აუტსაიდერებთან მოპოვებული გამარჯვებები ალარავის გაუუქმდება. ეს სულაც არ არის იმის გარანტია, რომ გარიგებული მატჩების რაოდენობა იკლებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბინძურ გარიგებებში ჭიპმოჭრილი ხელმძღვანელებისა თუ მწვრთნელების ხელში ერთით ნაკლები იარალი იქნება.

თუ როგორ ამართლებს ახალი სისტემა, ამას უშუალოდ სეზონის მსვლელობისას შევიტყობთ, მაგრამ იმის თქმა აქედანვე შეგვიძლია, რომ ჩემპიონატის წინა ფორმატზე უკეთესი იქნება ერთი მარტივი მიზეზის გამო – იმაზე უარესის მოგონება წარმოუდგენელია.

ახლა კი ორიოდე სიტყვით დღევანდელ მატჩებსაც შევეხოთ. საქმეში პირველად ის გუნდები ჩაერთვებიან, რომლებსაც საევროთასო ამბიციები ნაკლებად აქვთ და აქცენტს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე აკეთებენ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთმანეთს მეტ-ნაკლებად თანაბარი დონის მოწინააღმდეგეები დაუპირისპირდებიან და შესაბამისად, ბოლნისსა და ფოთში ნებისმიერი შედეგი შეიძლება დაფიქსირდეს.

შეგახსენებთ, "სიონმა" უმაღლეს ლიგაში დარჩენა დაძაბული ბრძოლების შედეგად მოიპოვა. ძალიან სუსტად ჩატარებული პირველი ეტაპის შემდეგ ბოლნისელებმა შემადგენლობა საგრძნობლად გააძლიერეს და პლეი აუტში საწადელს მიაღწიეს. ისიც სათქმელია, რომ მათ მიზნის მიღწევაში ხელი წინა ჩემპიონატის რეგლამენტმაც შეუწყო – პლეი აუტი ხომ გუნდებმა განულებული ქულებით დაიწყეს. "ბათუმი" უმაღლეს ლიგას ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და საინტერესოა, როგორი გამოდგება აჭარული კლუბის სტარტი.

არანაკლებ უშელავათო ბრძოლას უნდა ველოდოთ ფოთში. სხვების მსგავსად, შემადგენლობის გასაძლიერებლად "კოლხეთისა" და "ჩიხურას" მესვეურებმაც იშრომეს და ბუნებრივია, შედეგიანი სტარტი ამ გუნდებისთვისაც მნიშვნელოვანია.

პირველი ტურის მთავარი მოვლენები და გამოკვეთილი ცენტრალური მატჩი კი ხვალ გველის...

● ზესტაფონი

# მილხრაუმი მზადაა, ხიდეშელმა ვარჯიში დაიწყო

"ზესტაფონი" ეროვნულ ჩემპიონატს მარტვილის "მერანთან" საშინაო მატჩით დაიწყებს. საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ახალი სეზონისთვის ზესტაფონში, საკუთარ ბაზაზე ემზადება.

სხვადასხვა სახის ტრავმების გამო "მერანთან" **ჯაბა დვალი** და **თემურ ლონლაძე** ვერ ითამაშებენ. "ზესტაფონის" გერმანელი ახალწვეული **პატრიკ მილხრაუმი** კი სრულ მზადყოფნაშია და თუ სამწვრთნელო შტაბი საჭიროდ მიიჩნევს, ითამაშებს კიდეც.

მორიგი მძიმე ტრავმის გადატანის შემდეგ "ზესტაფონს" **გიორგი ხიდეშელი** შეუერთდა. მის მოედანზე დაბრუნებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, რომ უილბლობით გაწამებულმა ახალგაზრდა მცველმა ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიში დაიწყო.



პატრიკ მილხრაუმმა ზესტაფონში ივარჯიშა

● ლეგიონერები

# ქართული ლეგიონი ტურნირს მიღმა

ევროპის ლიგის გუშინდელ მატჩებში ქართველთა ორივე კლუბმა მიიღო მონაწილეობა და გათამაშებას ორივე გამოეთიშა.

კიევის "არსენალმა" ერთი კვირის წინ შინ სლოვენიური "მურა" 3:0 გაანადგურა, მაგრამ იმის გამო, რომ მოედანზე დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი გაიყვანა, ტექნიკური 0:3 ჩაეთვალა. სტუმრად "არსენალს" ურთულესი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი და მიზნის მიღწევამდე მცირედი დააკლდა. **სანდრო კობახიძის** გუნდმა 2:0 გაიმარჯვა, ქართველმა ნახევარმცველმა კი მატჩის მეორე წუთზე ანგარიში გახსნა. კობახიძე 81-ე წუთზე შეცვალეს, "არსენალმა" კი შეხვედრა ცხრა კაცის შემადგენლობით დაასრულა.

არნემის "ვიტესი" მახაჩყალის "ანჟის" ვერც საკუთარ მოედანზე გაუძალიანდა და კვლავ 0:2 დამარცხდა. "ანჟის" მხრიდან ორივე გოლი **სამუელ ეტოომ** გაიტანა. "ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** შეუცვლელად ითამაშა, **გიორგი ჭანტურია** თამაშში 73-ე წუთიდან ჩაერთო, **ვაკო ყაზაიშვილი** კი სათადარიგო იყო.

● ევროპალიგა. საპასუხო მატჩი

# ჯგუფამდე ერთი ნაბიჯილაა, შეუძლებელი არაფერია!

## ფეხბურთის თამაში ქართველებმაც ვიცით

09.08. ლარნაკა. ა. პაპადოპულოსი
7 000 მაყურებელი

**ანორთოსისი 0**
**დილა 3**

82-ე წუთზე შეწყდა

**პირველი მატჩი 1:0**

0:1 ვაწაძე (53. გრიგალაშვილის პასით), 0:2 სალუქვაძე (78), 0:3 ვაწაძე (82)

| ანორთოსისი 4-2-3-1 | დილა 4-2-3-1 |
|---|---|
| ბლაჟიჩი | საენდერი |
| ილიჩი | შაშიაშვილი |
| პაულუ ჟორჟე | სალუქვაძე |
| კოლინი | გ. ონიანი |
| ბონავენტურა | კვირკველია |
| ალექსა | ბეჭვაია |
| საველიო | შ. გრიგალაშვილი |
| ლაბანი | კახელიშვილი |
| ლაბორდე | გვალია |
| ოჰაიონი | გურული |
| ოკასი | ვაწაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| რ. ლევი | თ. ბოლქვაძე |

**ანორთოსისი**

57. ოჰაიონი – **რეზეკი**
67. ოკასი – **რონკატო**
82. ლაბორდე – **იულა**

*სათადარიგოები: მასტრუ, ანდიჩი, სიელისი, ანდრეუ*

**დილა**

46. კახელიშვილი – **ახალკაცი**

სათადარიგოები: შეყრილაძე, ალადაშვილი, ჯიშკარიანი, კაციტაძე, გორელიშვილი, მოდებაძე

გაფრთხილება: ონიანი (4), სალუქვაძე (15), ვაწაძე (25), გვალია (45), ალექსა (56), ბეჭვაია (73), კოლინი (76)

გაძევება: ლაბანი (79)

არბიტრი: მ. ფაბიანი (უნგრეთი)

"ანორთოსისთან" თბილისში განცდილი მარცხი ჩვენთვის ევროსეზონის დასრულებას მოასწავებდა და მხოლოდ მცირე იმედი გვქონდა იმისა, რომ "დილა" შინ დაკარგულს სტუმრად აინაზღაურებდა. საბედნიეროდ, საქართველოს თასის მფლობელმა ამ ურთულეს მისიას თავი შესანიშნავად გაართვა და დიდებულად ჩატარებული მეორე ტაიმით მასპინძლები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა.

ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, "დილას" ტექნიკური გამარჯვება ჩაეთვლება თუ ძალაში გუშინდელი შედეგი დარჩება. ალბათ, უფრო პირველი ვარიანტი ამოქმედდება. ნებისმიერ შემთხვევაში, გორულმა კლუბმა 3:0 მოიგო და დღეს ევროპის ლიგის პლეი ოფის მეტოქის ვინაობასაც შეიტყობს.

ქართული გუნდები მსგავს გმირობას ძალიან იშვიათად სჩადიან. შინ დამარცხების შემდეგ სტუმრად გამარჯვება და შემდეგი ეტაპის საგზურის მოპოვება მათი სტილი არ არის, მაგრამ "დილა" ბედნიერი გამონაკლისი აღმოჩნდა და თუ წილისყრამ არ გაწირა, ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრადაც ბოლომდე იბრძოლებს.

აი, ასეთი დაუვიწყარი გამოდგა გუშინდელი საღამო, რომელმაც გუნებაგანწყობა მხოლოდ გორელ კი არა, მთლიანად ქართველ გულშემატკივარს გამოუკეთა. ჯერ კიდევ გუშინ ვვარაუდობდით, რომ საქართველოსთვის წლევანდელი ევროსარბიელი უფერულად დასრულდებოდა, ახლა კი მთელი ჩვენი იმედები "დილაზეა" დამყარებული, რომელსაც მართალია, პლეი ოფში, დიდი ალბათობით, "ანორთოსისზე" ძლიერ მეტოქესთან მოუწევს ბრძოლა, მაგრამ ასეთი შემართებით უფრო რთული ბარიერის გადალახვაცაა შესაძლებელი.

მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადმოსცა და ნახეთ, თუ როგორ ჩაშალეს მატჩი განრისხებულმა კვიპროსელმა ფანებმა. 82-ე წუთზე გუნდებმა უსაფრთხოების მიზნით მსაჯისა და დელეგატის ნებართვით მოედანი დატოვეს და იქ აღარც დაბრუნებულან, "ანორთოსისის" ვაიგულშემატკივრებმა კი ვიდეოტექნიკის განადგურებითა და პლასტმასის სკამების დაწვით გული იჯერეს და მარცხით გაოგნებულებმა სტადიონი მალევე დატოვეს.

პირველი ტაიმი "ანორთოსისის" უპირატესობით წარიმართა, თუმცა მასპინძელთა რამდენიმე არცთუ სახიფათო მცდელობა "დილას" ხორვატმა მეკარე **მარინ სკენდერმა** გაანეიტრალა.

შესვენების შემდეგ მოედანზე სულ სხვა "დილა" გავიდა, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე ხელთ საგრძნობი უპირატესობა იგდო და 46-ე და 47-ე წუთებზე ზედიზედ ორი რეალური საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან – **ლაშა გვალიამ** ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, შეცვლაზე შესული **რომან ახალკაცის** შორეული გასროლისგან კი "ანორთოსისი" ხარიხამ იხსნა.

გოლი აშკარად უკვე მომწიფებული იყო და მალე გავიდა კიდეც – **შოთა გრიგალაშვილის** ჩინებული პასით **მათე ვაწაძე** მეკარესთან პირისპირ გავიდა, წინ გამოსულ კიპერს საქმეში ჩართვა არ აცალა და გარე ტერფით ბურთი უნაკლოდ გადაგზავნა კვიპროსელთა კარში – 0:1.

"ანორთოსისის" სამწვრთნელო შტაბმა მდგომარეობის გამოსწორება შეცვლებით სცადა და ერთი პერიოდი თამაში გათანაბრდა, მაგრამ ქართველებმა კვლავ წინ გაიწიეს და სტადიონზე შეკრებილი პუბლიკა შოკში ჩააგდეს – გრიგალაშვილის მოწოდებულ კუთხურს **ლაშა სალუქვაძის** თავური მოჰყვა, ბურთი ხარიხამ აისხლიტა, მაგრამ დამატებაზე ყველას კვლავ "დილას" კაპიტანმა დაასწრო და ანგარიში ორამდე გაზარდა.



მათე ვაწაძემ დუბლი შეასრულა

"ანორთოსისის" შანსი მიზერულიღა იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც მასპინძლები კაცნაკლულნი დარჩნენ, "დილამ" კიდევ უფრო გაილალა და მეტოქის წვალებას წერტილი ვაწაძის არანაკლებ ეფექტური გოლით დაუსვა. ამის შემდეგ რაც მოხდა, თავში გითხარით.

ყოველივე ეს "ანორთოსისის" ხელმძღვანელობამ იდარდოს, რომელსაც საკუთარი ფანების თავაშვებული საქციელის გამო სერიოზული სანქციები ემუქრება, "დილასთვის" კი ეგებ ტექნიკური გამარჯვებაც კი სჯობდეს – ამ შემთხვევაში ვაწაძეს, მართალია, პირადი მონაგარიდან ორი გოლი გაუქრება, მაგრამ სამაგიეროდ, "დილას" წამყვან ფორვარდს, რომელმაც გუშინ ევროპის ლიგის მიმდინარე გათამაშებაში რიგით მესამე ყვითელი ბარათი მიიღო, დისკვალიფიკაცია ასცდება.

ქართველ ქომაგს კი, რომელსაც ეგონა, რომ ესპანეთის ნაკრების თბილისში ჩამოსვლამდე საინტერესო არაფერი ელოდა, წინ უმნიშვნელოვანესი საევროთასო მატჩები ელის. თუ "დილამ" ჯგუფურ ეტაპზე შეაბიჯა, ამით მხოლოდ მისი კი არა, ქართული ფეხბურთის პრესტიჟი ამაღლდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დინამო

# მეტი ვიდრე ფეხბურთი

## ბუბა ტყავაძე: ლოგიკა გვკარნახობს, რომ ასე უნდა მოვიქცეთ

გუშინ დილმის ბაზაზე "დინამო თბილისმა" პრეზენტაცია მოაწყო. კლუბმა ოთხი ახალწვეული ფეხბურთელი წარმოგვიდგინა: 27 წლის მარჯვენაფლანგელი გიორგი სეთურიძე, 33 წლის მცველი გივი კვარაცხელია, 20 წლის მაკედონიელი მცველი დარკო გლიშიჩი და 29 წლის ესტონელი თავდამსხმელი ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი.

"დინამო თბილისში" ახალი სეზონის დაწყებამდე არაერთი სიახლე განხორციელდა. გუნდის მთავარ მწვრთნელად უმცროსი დუშან უჰრინი დაინიშნა. კლუბში სპორტულ დირექტორად დაბრუნდა ბუბა ტყავაძე. ერთი სიტყვით, "დინამოში" ცვლილებებია, რაც ერთიორად ზრდის ინტერესს - როგორი იქნება გუნდი დამდეგ სეზონში.

გუშინდელ პრეზენტაციაზე იყვნენ "დინამოს" დირექტორი სანდრო შახოვი, ბუბა ტყავაძე და კლუბის მარკეტინგის ხელმძღვანელი ლევან ლვინიანიძე.

### სანდრო შახოვი:

- კლუბში მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს, "დინამოში" დიდი ცვლილებებია. განახლდა დილმის ბაზა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა "დინამო არენას", კლუბის აკადემიაშიც მალე დასრულდება სამუშაოები. დაგეგმილი გვაქვს ბაზის პრეზენტაციაც.

შახოვის საშესავლო სიტყვის შემდეგ მან და ტყავაძემ ახალწვეულებს მაისურები გადასცეს, შემდეგ კი სიტყვა "დინამოს" სპორტულმა დირექტორმა აიღო.

### ბუბა ტყავაძე:

- "დინამოს" ახალი ფეხბურთელებით სჭირდებოდა გაძლიერება. გუნდში ისედაც იყვნენ ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ, რომ საკუთარი თავიც და '"დინამოც'' მაღალ დონეზე წარმოაჩინონ. ფეხბურთელებში რწმენა იყო აუცილებელი. ამ კუთხით ვიმუშავეთ და სასელექციო პროცესი კვლავ გრძელდება. სეზონის დაწყებამდე ამხანაგური მატჩები რიგიანად ვითამაშეთ, მაგრამ ეს ვერ იქნება იმის გარანტია, რომ წინ ადვილი მატჩები გვექნება. ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ, გუნდი ყოველთვის ასი პროცენტით უნდა იყოს კონცენტრირებული. საქართველოს პირველობა არ არის ცუდი ჩემპიონატი, აქ თამაში ადვილი ახლაც არ იქნება.

**-"დინამოში" გასინჯვაზე იყო კოტდიუვარელი თავდამსხმელი ფრანსის კონე, რომელიც ახლა პრეზენტაციაზე არ იმყოფება. მისი საკითხი როგორ გადაწყდა?**

-კონეს გარდა სხვა ფეხბურთელებიც იყვნენ გასინჯვაზე. გუნდთან მორგება მნიშვნელოვანი ფაქტორია და როცა ვინმეს დამატებაზე ვფიქრობთ, ამასაც ვითვალისწინებთ. კონე ისევ ჩვენთან არის და მასზე დაკვირვებას გავაგრძელებთ, შესაძლოა, ეს თავდამსხმელი გამოგვადგეს.

**-"დინამომ" ახალი მწვრთნელი აიყვანა. უჰრინის ხელმძღვანელობით "დინამომ" რამდენიმე ამხანაგური მატჩი ითამაშა და როგორ ატყობთ, მწვრთნელი ოპტიმალურად შეარჩიეთ?**

-დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია. სამწვრთნელო შტაბიც ძალიან მონდომებულია, ბოლომდე დაიხარჯა, ყურადღება ეთმობოდა ტაქტიკურ მომზადებასაც. ამ ეტაპზე დასკვნებზე მთავარი სხვა რამეა - გვერდში უნდა დავუდგეთ "დინამოს" ახალ მწვრთნელს, გავითვალისწინოთ მისი მოსაზრებები იმაზე, თუ რა პოზიციებზე გვჭირდება გაძლიერება.

**- წინა სეზონში "დინამომ" ესპანელი სპეციალისტები მოიწვია და გრძელვადიანი გეგმებიც ჰქონდა დასახული, თუმცა ისე მოხდა, რომ მწვრთნელი 2011/12 წლების სეზონში რამდენჯერმე შეიცვალა...**

-ჩვენი ამოცანაა, "დინამოს" წინსვლა ჰქონდეს, თუ შევატყობთ, რომ გუნდი რეგრესის გზას დაადგა, ზომებიც ადეკვატური იქნება. ლოგიკა გვკარნახობს, რომ ასე უნდა მოვიქცეთ.

**-თვითონ გუნდის მზადყოფნაზე რას გვეტყოდით? მოსამზადებელმა შეკრებამ დაგაკმაყოფილათ?**

- ორი კვირა არ არის საკმარისი დრო გუნდის შესათამაშებლად, სრულყოფამდე ჯერ ბევრი გვიკლია. კმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ. "დინამოს" ყოველთვის მაღალი შედეგი მოეთხოვება.



მარცხნიდან: ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი, გივი კვარაცხელია, დარკო გლიშიჩი, გიორგი სეთურიძე

### გივი კვარაცხელია:

- მართლაც კარგი გუნდი ვართ, შეკრებაც კარგი გამოვიდა. ვეცდებით, რომ ჩემპიონები გავხდეთ და თასიც მოვიგოთ.

**- პროფლიგის შექმნა მაინც ვერ მოხერხდა. რამდენად კმაყოფილი ხართ ჩემპიონატის ახლებური სისტემით?**

### ბუბა ტყავაძე:

- მოგეხსენებათ, შეიქმნა კლუბთა საბჭო და სისტემატურად იმართება შეხვედრები. უკვე გვაქვს იმის საშუალება, რომ კლუბები შევიკრიბოთ და ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ, რაც წინგადადგმული ნაბიჯია. რაც შეეხება სისტემას, 12 გუნდიანი ჩემპიონატისთვის ის სავსებით მისაღებია.

**-"დინამოს" ახალი ლოგო აქვს, თუმცა ის ბევრს არ მოსწონს, ლოგოზე თითქოს რუსული "დე" იკვეთება...**

- რუსულ "დე"-ს რაც შეეხება, ეს თითიდან გამოწოვილი არგუმენტია. ლათინურ "დეს" კუდი მარჯვნივ აქვს და ასეა ლოგოზეც. "დინამო თბილისის" გუნდის და ახალი ლოგოსთვის ესეც იქნა გათვალისწინებული - მიმინო ხომ თბილისის სიმბოლოა, კიდევ სისწრაფის, გამარჯვების...

**- ლოგოზე წითელი რკალია გამოსახული...**

- ეს იმას არ ნიშნავს, რომ "დინამოს" ტრადიციული ფერები იცვლება, უბრალოდ, წითელი რკალის გამოჩენა მრავალფეროვნებამ მოითხოვა.

"დინამოსთვის" ახალი ლოგოს შესაქმნელად მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა სააგენტომ, "ინტერბრენდმა" იზრუნა. "იუვენტუსი", "შახტარი", "რუბინი"...ბოლო პერიოდში ამ სააგენტომ ამ კლუბებთან ითანამშრომლა, "ინტერბრენდს" ურთიერთობა აქვს ფიფაუეფასთანაც.

**- "დინამოს" ლოგო ბოლო პერიოდში არაერთხელ შეიცვალა...**

- ეს იმან გამოიწვია, რომ ბრენდის განვითარება თანმიმდევრული არ იყო.

**- მეტი ვიდრე ფეხბურთი - ეს "დინამოს" სლოგანი იქნება?**

- შეიძლება ასეც ითქვას. ძველი თაობის ხალხისგან ხშირად გაიგებთ, "დინამო" ჩვენთვის ფეხბურთზე მეტი იყოო და ამას ახალ თაობასაც მივაწვდით. ლოგოც ძველი "დე"-ს და მიმინოს სინთეზია.

**- "დინამო არენას" ტერიტორიაზე იყო ერთი მოედანი, სადაც ახლა ალბათ ავტოსადგომი იქნება...**

### სანდრო შახოვი:

- ის მოედანი მოედანი უკვე ამორტიზებული იყო. კლუბმა რვა ახალი მოედანი დააგო, სამი ბაზაზე, ხუთი კი აკადემიის ტერიტორიაზე. ასე რომ, იმ მოედნის ჩანაცვლება მოხერხდა. ავტოსადგომი კი მნიშვნელოვანია, ჩვენ გვინდა, განახლებული სტადიონი ყველანაირად აკმაყოფილებდეს სტანდარტებს, ყველა ნიუანსი გათვალისწინებული უნდა იყოს. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ფან-შოპის გახსნაც დაგეგმილი გვაქვს.

● ახალწვეული. ინტერვიუ ვლადიმერ ვოსკობოინიკოვთან

# აქტუალური კითხვა-პასუხი: გიკვირთ ესტონეთის?

## დისციპლინა ამაღლებს კლასს

ესტონელი ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი ისეთი ფორვარდია, ბევრი გოლი რომ არ გააქვს, ასე იყო აქამდე და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს ის თავს "დინამოში". გოლის გატანა არ არის ერთადერთი მოვალეობა თავდამსხმელისთვის. ვოსკობოინიკოვს არაერთ ქვეყანაში უთამაშია, - ბელგია, შვედეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი. ეს იმის დასტური უნდა იყოს, რომ ის გამოცდილი და სასარგებლო მოთამაშეა. როცა მოსკოვის "ტორპედოს" ფეხბურთელი იყო, ერთ-ერთ სეზონში ცხრა გოლიც გაიტანა, რაც ურიგო მაჩვენებელი არ უნდა იყოს. ვოსკობოინიკოვი ახმახი თავდამსხმელია, 188 სმ სიმაღლის, ასეთი ფორვარდი „დინამოს" მართლა არ ჰყოლია ბოლო პერიოდში.

"დინამომდე" ვოსკობოინიკოვი რუსული "ხიმკის" ფეხბურთელი იყო და მასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...

**- რუსეთიდან ლეგიონერი საქართველოში არ მოდის, თუმცა თქვენი სახით გამონაკლისთან გვაქვს საქმე - რამ განაპირობა ასეთი გადაწყვეტილება?**

- იყო შესაძლებლობა, რომ კვლავ რუსეთში გამეგრძელებინა კარიერა, მაგრამ თბილისის "დინამო" ხომ ცნობილი ბრენდია, რომელსაც ევროპაშიც იცნობენ და ყოფილ საბჭოეთშიც. ბოლო წლებში "დინამო" წარმატებული არ იყო, მაგრამ ახლა სწორედ იმას უნდა ვეცადოთ, რომ გუნდს ძველი დიდება დავუბრუნოთ.

**- საკუთარ თავზე შეგიძლიათ იმის თქმა, რომ კლასიკური ცხრა ნომერი ხართ?**

- "ხიმკიში" რომ ვიყავი, მომენტი ისე შეტრიალდა, რომ არცთუ ცოტა ხნით მცველად მომიწია თამაში. ექსტრემალურ სიტუაციაში ფეხბურთელმა ეს უნდა შეძლოს. ისე კი, ყველაზე სასიამოვნო და კომფორტული პოზიცია ჩემთვის თავდამსხმელობაა.

**- ესტონეთის ნაკრების ფეხბურთელიც ხართ და აუცილებლად უნდა გკითხოთ - როგორ მოახერხა ესტონეთმა, რომ წინა შესარჩევი ციკლის შემდეგ პლეი ოფში გავიდა? საქართველოს ნაკრებისთვის ეს ჯერაც მიუღწეველია, არადა ფაქტია, რომ ქართულ ფეხბურთს ესტონურზე გაცილებით მდიდარი ტრადიციები აქვს...**

- საქართველოში ჩამოსვლამდეც არაერთხელ მსმენია იმის შესახებ, რომ საქართველოს ნაკრებს ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს, ოღონდ შედეგს ვერ აღწევსო. იმედია, თქვენ იპოვოთ ამის მიზეზს. რაც შეეხება ესტონეთის ნაკრების პლეი ოფში გასვლას, კარგი თაობა მოგვდის და ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ თაობებს შორის დიდი წყვეტა არ არის, სულ რაღაც 2-3 წელია სხვაობა. შეთამაშებული გუნდი გვყავს. პლეი ოფში გასვლას კი თავდადებისა და დისციპლინის ხარჯზე მივაღწიეთ. მოედანზე დისციპლინა ამარცხებს კლასს.

**- რამდენი გოლი უნდა გაიტანოთ "დინამოსთვის", სეზონის შემდეგ რომ თქვათ, საკუთარი თავით კმაყოფილი ვარო?**

- მთავარია, გუნდს გამოვადგე, პირად შედეგზე მნიშვნელოვანი ეს არის, ისე კი, რაც მეტს გავიტან, უკეთესი იქნება.

**- "დინამოში" ენობრივი ბარიერი ხომ არ გაბრკოლებთ? ჩვენი ახალგაზრდობისთვის რუსული არ არის მთავარი უცხო ენა...**

- ფეხბურთი სულ უფრო ინტერნაციონალური ხდება, "დინამოს" ახალგაზრდა ფეხბურთელებმაც ძალიან კარგად იციან საფეხბურთო ტერმინოლოგია. "დინამოში" ესპანელებიც თამაშობენ. მოკლედ, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ არის.

**- "დინამოს" მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი მკაცრი ხომ არ გეჩვენებათ? არცთუ ცოტა ხანს მოგიწიათ "დინამოში" გასინჯვაზე ყოფნამ, მწვრთნელს უცბად არ მიუღია გადაწყვეტილება...**

- "დინამოს" მწვრთნელს უყვარს დისციპლინა და ამ ფაქტორს წინა პლანზე აყენებს - ვფიქრობ, ჩვენ ეს ყველაფერი დაგვეხმარება.

გვერდი მოამზადა
**დავით თავართქილაძემ**



ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი

## უცხოური ფეხბურთი

### ლივერპული



ენფილდის სახელის გადარქმევას ლივერპულის გულშემატკივარი ასე იოლად ვერ შეეგუება

# ლივერპული ენფილდის გარეშე რჩება

"ლივერპულის" მესაკუთრე **ჯონ ჰენრიმ** განაცხადა, რომ კლუბს დაფინანსების წყაროები სჭირდება და შესაბამისად, ის მზადაა, "ენფილდისთვის" სახელის გადარქმევის საკითხი განიხილოს. მსგავსი პრაქტიკა მსოფლიოში უკვე არის. მაგალითად მიუნხენის "ალიანს არენაც" გამოდგება და "არსენალის" კუთვნილი "ემირიტსიც". მოგეხსენებათ, "წითლების" ბოსებმა ამა წლის გაზაფხულზე უარი თქვეს ახალი "სტენლი პარკის" აშენებაზე, რადგან კლუბს ეს ძალიან ძვირი უჯდებოდა. გულშემატკივართა დიდი ნაწილი ბედნიერი დარჩა, რომ "ენფილდიდან" წასვლა არ მოუწევდა. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა ხალხი, ჰენრის განცხადების შემდეგ. არ გვგონია, ამერიკელს ლივერპულელთა წყევლა-კრულვა აშინებდეს. მისთვის მთავარი, დაფინანსების მოძიებაა. *"დღესავით ნათელია, რომ შემოსავლების ზრდა გვჭირდება. ამის გაკეთება იოლი არ იქნება და ეს მშვენივრად გვესმის. საჭიროა, საქმეს გლობალურად მივუდგეთ. "ენფილდის" სახელის გაყიდვა ერთ-ერთი ასეთი გზაა. მთავარია, შესაბამისი პარტნიორი ვიპოვოთ. ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჩვენი მიზანი პრემიერლიგის მოგებაა. წელს ალბათ ეს არ მოხერხდება, მაგრამ მასზე უარის თქმას მაინც არ ვაპირებთ. ოცნების აცდენა, მხოლოდ თამაშის მკვეთრად გაუმჯობესების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი,"* – განაცხადა ჯონ ჰენრიმ.

### გოდინი აგერის ნაცვლად?

იმ შემთხვევაში, თუკი **დანიელ აგერი** კარიერას "მანჩესტერ სიტიში" განაგრძობს, "ლივერპული" მადრიდის "ატლეტიკოდან" **დიეგო გოდინის** შეძენას შეეცდება. ჯერჯერობით დანიელ ფეხბურთელზე კლუბები არ შეთანხმებულან, თუმცა გამორიცხული არაფერია. აგერის წასვლის შემთხვევაში **მარტინ შკრტელის** პარტნიორი დაცვაში **სებასტიან კოატესი** უნდა იყოს ან **ჯეიმი კარაგერი**. პირველი ახალგაზრდაა და პრემიერლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება არ გააჩნია, მეორე კი 34 წლისაა და სეზონის მთელ სიმძიმეს ნამდვილად ვერ აიტანს. ელემენტარულად ფიზიკურად ვერ გაუძლებს. 26 წლის დიეგო გოდინს "როხიბლანკოსთან" ხელშეკრულება 2015 წლის ივლისამდე აკავშირებს. ესპანელები მას 14 მილიონ ევროდ აფასებენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ამბები

### შახტარის ფრანგული სამიზნე

FOOTMERCATO.NET-ის ინფორმაციით, დონეცკის "შახტარმა" "ვალანსიენს" 24 წლის **გაეტან ბონგის** ტრანსფერზე მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. კამერუნელ მცველს თანაბრად წარმატებით შეუძლია თამაში როგორც მარცხენა ფლანგზე, ისე ცენტრში, საჭიროების შემთხვევაში კი მწვრთნელს მისი გამოყენება საყრდენ ნახევარმცველადაც შეუძლია. ინფორმაციას "ეკიპიც" გამოეხმაურა და დაწერა, რომ "ვალანსიენი" ფეხბურთელს 3 მილიონ ევროდ აფასებს. მისი გადაბირება ამ ზაფხულს "მარსელსაც" სურდა, მაგრამ ველოდრომელებმა საბოლოოდ განზრახვაზე უარი თქვეს.

### მეორელიგელის უხვი შეთავაზება

"ეკიპის" ინფორმაციით, "მონაკო" მზადაა, "რივერ პლეიტს" შემტევ ნახევარმცველში, 18 წლის **ლუკას ოკამპოსში** 14 მილიონი ევრო გადაუხადოს. არგენტინული კლუბი ფეხბურთელს 16 მილიონად აფასებს. აღსანიშნავია, რომ ოკამპოსის გასხვისებას მხოლოდ "რივერი" ვერ გადაწყვეტს, რადგან ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებათა 50%-ს მისი ყოფილი კლუბი "კილმესი" ფლობს. შესაბამისად, მონეგასკებს ერთბაშად ორ კლუბთან მოუწევს პირობებზე შეთანხმება.

### ლუკაკუ ჩელსიდან არ წავა

"ჩელსის" თავდამსხმელ **რომელუ ლუკაკუს** შარშანაც ეს პრობლემა ჰქონდა – თამაში იშვიათად უწევდა. წინა ხაზზე მას კონკურენცია **ფერნანდო ტორესთან, დენიერ სტარიჯთან, სალომონ კალუსა** და **დიდიე დროგბასთან** უწევდა. ბოლო ორმა "სტემფორდ ბრიჯი" დატოვა, თუმცა 19 წლის ფეხბურთელს მაინც ძალიან ბევრი მუშაობა მოუწევს. რაკი ბელგიელის უკმაყოფილების შესახებ ყველამ იცოდა, "ფულჰემმა", ვინც **პაველ პოგრებნიაკი** და **ენდი ჯონსონი** დაკარგა, მისი იჯარით წაყვანა სცადა. "ქრევეინ კოტეჯის" მკვიდრებმა უარი თავად ფეხბურთელისგან მიიღეს.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ლა ლიგა. ამხანაგური მატჩები

# იტალიის გრანდია თუ სოფლის გუნდი?

## პენალტებით მოგებული სპარინგი

**რეალი–მილანი 5:1**

**რეალი:** კასილიასი (84. ხესუსი) - ნაჩო (46. არბელოა), პეპე (69. ალბიოლი), ვარანი (46. სერხიო რამოსი), ფ. კოენტრაო (74. შაჰინი) - დიარა (69. გრანერო), ხედირა (46. ჩაბი ალონსო) - დი მარია (60. კალეხონი), იოზილი (60. კაკა), რონალდო (79. მორატა) - ბენზემა (46. იგუაინი).

**მილანი:** აბიატი (46. ამელია) - აბატე (46. დე სილიო), ანტონინი (46. მესბა), ბონერა, აჩერბი (46. კონსტანტი) - ამბროზინი (68. ტრაორე), ფლამინი (46. ემანუელსონი), ნოჩერინო (78. იოტი) - ბოატენგი, რობინიო, კასანო (46. ელ შაარავი).

**გოლები:** 1:0 დი მარია (23), 1:1 რობინიო (32), 2:1 რონალდო (48), 3:1 რონალდო (65), 4:1 სერხიო რამოსი (80), 5:1 კალეხონი (88)



რეალმა მილანი მოსპო

„ნიუ იორკ იანკის" სტადიონზე 50 ათასმა გულშემატკივარმა იხილა, თუ როგორ უსაშველოდ ანადგურებდა ერთი ევროპული გრანდი მეორეს - მადრიდის „რეალმა" „მილანს" 5:1 მოუგო. ამერიკული ტურნეს უკანასკნელ მატჩში „სამეფო კლუბმა" მხოლოდ ერთი ტაიმი ისპარინგა იტალიურთან თანაბრად, შემდეგ კი **კრიშტიანო რონალდოს** დუბლით დაიწყო „მილანის" რბევა. „რეალი" უკვე შესაშურ ფორმაშია, მაგრამ „დიდ ვაშლში" არავინ ელოდა იტალიელთა ასე წახდენას. როგორც ჩანს, „მილანის" ფანებს მართლაც აქვთ შეშფოთების საფუძველი.

პირველ ტაიმში **სამი ხედირა** და **ლასანა დიარა** ალაგებდნენ მადრიდელთა შეტევებს, დანარჩენს კი კრიშტიანო რონალდო და, განსაკუთრებით, **ანხელ დი მარია** აკეთებდნენ. არგენტინელმა ახლახან მოირჩინა მცირე ტრავმა, მაგრამ ამის მიუხედავად, პირველ ნახევარში მოედანზე საუკეთესო იყო. პირველ გოლში ვეტერანი **აბიატის** ბრალეულობა დიდია, მან კუთხური ვერ გაანეიტრალა, იქვე დავარდნილ ბურთს კი პირველი დი მარია მისწვდა. 32-ე წუთზე „მილანმა" გაათანაბრა - **კასანო-ნოჩერინო-რობინიოს** კომბინაცია ბრაზილიელმა გოლით დაასრულა.



სევილიამ პუერტას თასი მოიგო

მიუხედავად ამისა, „მილანი" ვერ იყო „რეალის" ტოლ-სწორი, გუნდს ძალზე დასტყობია **ტიაგო სილვას** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გაყიდვა პარიზულ პსჟში. მეორე ტაიმში „რეალმა" 4 უპასუხო გოლი გაიტანა **ამელიას** კარში, აქედან ორი პორტუგალიელი სუპერვარსკვლავის ანგარიშზეა. რონალდომ შესვენების შემდეგ მალევე გაიტანა, ლასანა დიარას პასით გამოიჩინა თავი, მერე დი მარიას ძელმა შეუშალა ხელი, შემდეგ **კაკას** ჯერი დადგა, რომელიც ახალი გამოსული იყო, ბრაზილიელმა მილიმეტრების სიზუსტით გაუკეთა პასი რონალდოს, რომელმაც დუბლი შეასრულა. „მილანის" რბევა გრძელდებოდა, აპენინელებს უბრალოდ არაფერი ჰქონდათ არსენალში, რომ ესპანელებისთვის დაეპირისპირებინათ, **გონსალო იგუაინი** იყო ახლოს გოლთან, მაგრამ „პიპიტამ" ბურთი ხარიხას გაარტყა. ბოლოსკენ „მილანი" სულ წახდა - კაკამ კუთხური მოაწოდა და **სერხიო რამოსმა** თავით გაიტანა, იტალიელთა რბევა კი **ხოსე კალეხონმა** დაასრულა. გოლის გატანა **მორატასაც** სურდა, მაგრამ ამელიამ იყოჩაღა.

**ბარსელონა–მანჩესტერ იუნ. 0:0**

2:0 პენალტებში

**ბარსელონა:** ვალდესი (46. პინტო) - დანი ალვეში (67. მონტოია), მასკერანო (66. ბარტრა), პუიოლი (46. პიკე), ადრიანო (46. ალბა) - ბუსკეტსი (76. ილიე), სერხი რობერტო (46. ჩავი), ინიესტა (46. ფაბრეგასი) - სანჩესი (67. რაფინია), მესი (46. აფელაი), ტელიო (46. პედრო).

**მანჩესტერ იუნაიტედი:** დე ხეა - ვალენსია, ფერდინანდი (83. ვუტონი), ვიდიჩი (46. კერიკი), ევრა - ანდერსონი (78. პაუელი), სქოულზი, ნანი, უელბეკი - იანგი (67. ბერბატოვი), რუნი (46. კაგავა).

**პენალტების სერია:** 0:0 ნანი, 1:0 ჩავი, 1:0 იანგი, 2:0 პიკე

გეტებორგში, „ულევის" სტადიონზე 48 ათასი შვედი შეიკრიბა ევროპის ორი ტიტანის ბრძოლის სანახავად. თამაშმა დიდად ვერ გაამართლა, „ბარსა" აკონტროლებდა ბურთს, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი" კონტრშეტევებზე ცდილობდა წარმატების მიღწევას. 90 წუთის შემდეგ 0:0 იყო, უცნაურ პენალტების სერიაში კი „ბარსამ" 2:0 იმარჯვა. თავიდანვე ინიესტას დარტყმით ინიციატივა „ბარსელონამ" იგდო ხელთ. მერე და მერე, „მანჩესტერმაც" გამოიჩინა ფხა - **ვალდესმა ვალენსიას** შორეული დარტყმა მოიგერია, **რუნის** თავურიც სახიფათო იქნებოდა, ინგლისის ნაკრების ფორვარდს ცოტა ძლიერად რომ დაერტყა. 45-ე წუთზე მატჩის საკვანძო მომენტი დადგა, **ტელიომ ნანი** წააქცია, მაგრამ რუნიმ შანსი ორჯერ გაანიავა, პენალტი ვერ გაიტანა და ვერც გამოვარდნილს დაამატა ხეირიანად.

მეორე ტაიმში გუნდებმა მასობრივ ცვლილებებს მიმართეს. „ბარსას" შეტევების ლიდერობა ჩავიმ იკისრა, ინგლისელთაგან კი საგოლე შანსი **კაგავას** შეექმნა. მოკლედ, ორივე გუნდს კარგი ტესტი გამოუვიდა, მათ არც ურიგოდ უთამაშიათ და გამოჩნდა, რომ ჩემპიონატებისთვის მზადყოფნაში არიან, თუმცა მაყურებელი აშკარად უფრო ლაღ, სანახაობრივ თამაშს ელოდა...

**ოსტრინგენი–ბეტისი 0:6**

**გოლები:** 0:1 მოლინა (13), 0:2 პოსუელო (17), 0:3 მოლინა (22), 0:4 მოლინა (24), 0:5 ვადილიო (70), 0:6 ხ. პერეირა (79)

**სპორტინგი–სელტა 1:0**

**გოლი:** 1:0 სანგოი (3)

**სევილია–დეპორტივო 2:0**

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (30), 2:0 ტროხოვსკი (44)

**ოსასუნა–სარაგოსა 1:0**

**გოლი:** ხ. ლორენტე (31)

**პარმა–რეალ სოსიედადი 2:0**

**გოლები:** 1:0 ლუკარელი (34), 2:0 მორონე (91)

**საბადელი–ესპანიოლი 0:1**

**გოლი:** 0:1 ვ. ალვარესი (65)

**ლუგო–სელტა 0:0**

**პესკარა–ლევანტე 0:0**

„რამონ სანჩეს პისხუანზე" ანტონიო პუერტას სახელობის თასის მატჩის სანახავად 25 ათასი ადამიანი მივიდა. შეგახსენებთ, რომ 2007 წელს „სევილიას" 22 წლის მცველი **ანტონიო პუერტა** „ხეტაფესთან" მატჩში დაეცა და შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა. თასი „სევილიას" დარჩა, რომელმაც **ალვარო ნეგრედოსა** და **პიოტრ ტროხოვსკის** გოლების წყალობით დაამარცხა „დეპორტივო".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლეო მესი მანჩესტერის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი. სავარაუდო ტრანსფერი

# მილანი როსის ელაპარაკება!

## დაბრუნდება ჯუზეპე იტალიაში?

„მილანს" **ჯუზეპე როსის** გადაბირება რომ უნდა, ამის შესახებ ადრეც არაერთხელ დავწერეთ. როგორც ჩანს, „როსონერი" ამ ტრანსფერს უკვე ძალიან სერიოზულად უდგება - ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, „ვილიარეალის" იტალიელი ვარსკვლავი „როსონერის" თავკაც **მასიმილიანო** **ალეგრისთან** და „მილანის" ფეხბურთელებთან ერთად შენიშნეს. იტალიური გრანდი 25 წლის როსისთან მოლაპარაკებებს არ ადასტურებს, მაგრამ არც უარყოფს.



ჯუზეპე როსი ვილიარეალში არ დარჩება

„მილანი" ფინანსურ პრობლემებს არც მანამდე უჩიოდა, მაგრამ **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **ტიაგო სილვას** პსჟ-ში გაყიდვის შემდეგ „როსონერის" ფეხბურთელების შესაძენად ფული მართლაც რომ ბევრი აქვს. თანაც, „მილანს" ახალი ვარსკვლავები ჰაერივით ესაჭიროება. „როსონერის" ხელმძღვანელები ტრანსფერებზე მუშაობას დიდი ხანია შეუდგნენ და კონკრეტული გეგმებიც აქვთ, მაგრამ სასურველ მოთამაშეებზე ხმამაღლა არ საუბრობენ. თუმცა იტალიელი ჟურნალისტებისთვის გაურკვეველი არაფერი რჩება.

ნიუ იორკში გამართულ ამხანაგურ მატჩს, რომელშიც „მილანი" „რეალთან" 1:5 განადგურდა, ჯუზეპე როსიც დაესწრო. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებმა დაინახეს, როგორ ესაუბრებოდა როსი ჯერ ალეგრის, მერე კი „მილანის" ფეხბურთელებს. მათივე მტკიცებით, მატჩის შემდეგ „მილანის" გასახდელში იყო მადრიდელთა ბრაზილიელი გამთამაშებელი **კაკა**, რომელსაც მიმომხილველები ასევე „მილანში" გადასვლას, უფრო ხწორად, დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ.

### ემანუელსონი: ორივე ძალიან გვჭირდება!

კაკამ და როსიმ „მილანში" მოსალოდნელი ტრანსფერების შესახებ კომენტარის გაკეთება არ ისურვეს. სამაგიეროდ, ჟურნალისტებმა **ურბი ემანუელსონთან** მოახერხეს გასაუბრება, რომელმაც ორივე პოტენციური თანაგუნდელი ქებით ცაში აიყვანა.

*„კაკა და ჯუზეპე როსი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ჩვენს გუნდს ძალიან გააძლიერებენ. არ ვიცი, აწარმოებენ თუ არა ჩვენი ხელმძღვანელები მათთან მოლაპარაკებებს, ის კი ფაქტია, რომ კაკას როსის „მილანში" ხილვა ყველა ჩვენგანს უნდა,* - განაცხადა 26 წლის ემანუელსონმა და დასძინა, - *ფაქტია, რომ გუნდი უნდა გაძლიერდეს. საბედნიეროდ, იტალიის ჩემპიონატის დაწყებამდე საკმარისი დრო გვაქვს. ვიცი, რომ ბოსები ტრანსფერებზე მუშაობენ და ვნახოთ, რა გამოვა."*

შეგახსენებთ, რომ „მილანმა" „ვილიარეალიდან" ცენტრალური მცველი **კრისტიან საპატა** გადაიბირა. ეს უკანასკნელი „როსონერიში" არენდის წესით გადავიდა და იტალიაში მინიმუმ ერთ სეზონს გაატარებს. რაკი „ვილიარეალი" პრიმერადივიზიონიდან გავარდა, როსის გუნდში დარჩენა ფაქტობრივად გამორიცხულია...

მეკარე

# ბუფონი: ბუცები ლურსმანზე? ხუმრობთ?

## ჯიჯი კანავაროს რეკორდს უმიზნებს

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონი** აქტიური სპორტული კარიერის დამთავრებაზე არ ფიქრობს. ჯიჯი 34 წლისაა, რაც გოლკიპერისთვის აბსოლუტურად მისაღები ასაკია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩინეთში გამართულ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მაინც კარიერის დასრულებაზე ჩამოუგდო სიტყვა.

*„გაგიკვირდებათ და, კარიერის დასრულებაზე ერთხელაც არ დავფიქრებულვარ,* - მიუგო ბუფონმა მავან კორესპონდენტს, - *მეკარისათვის იდეალურ ასაკში ვარ და ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას კიდევ რამდენიმე წელი არ ვაპირებ."*

ხსენებულ პრესკონფერენციაზე ჯიჯიმ „იუვენტუსზე" და იტალიის ნაკრებზეც ისაუბრა. მისი აზრით, „იუვე" სწორ გზას ადგას და წესით, ძველი დიდება უნდა დაიბრუნოს: *„იუვენტუსს" უკვე ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, რაც გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონობით დავამტკიცეთ. ამასთან, რაკი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზებთ, ხელმძღვანელები გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობენ. მჯერა, რომ ევროპის ელიტაში ხმაურიანად დავბრუნდებით. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე - „იუვე" მოედანზე ყველა შეხვედრაში მოსაგებად გავა."*

რაც შეეხება სანაკრებო გეგმებს - ბუფონი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე თამაშს აპირებს და იმედი აქვს, რომ ორი წლის შემდეგაც ჩვეულ ფორმაში იქნება. *„მართალია, 2014 წლის მუნდიალზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ მე ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ფორმა შევინარჩუნო და „სკუადრა აძურას" ფორმა კიდევ ერთ მუნდიალზე მოვირგო,"* - აღნიშნა ჯიჯიმ და იქვე მარიო ბალოტელიზეც ისაუბრა: *„ბალოტელიმ ევროპის ჩემპიონატზე ძალიან კარგად ითამაშა. მჯერა, რომ ევრო 2012-მა მარიო უფრო გაზარდა და დააჭკვიანა. მას დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია და იმედი მაქვს, რომ ამას მოახერხებს."*



ჯანლუიჯი ბუფონი

### ჯიჯი კასილიასს უდიდეს პატივს სცემს

ჟურნალისტებმა ჯიჯის ესპანეთისა და მადრიდის „რეალის" მეკარეზე, **იკერ კასილიასზეც** ჩამოუგდეს სიტყვა. ბუფონი: *„კასილიასი ბრწყინვალე მეკარე და შესანიშნავი ადამიანია. მე მას უდიდეს პატივს ვცემ და არასდროს ვფიქრობ იმაზე, მე ვჯობივარ მას, თუ პირიქით."*

რაკი ბუფონი არც იტალიის ნაკრებიდან წასვლაზე ფიქრობს, ავტომატურად **ფაბიო კანავაროს** რეკორდს უახლოვდება. ამ უკანასკნელს „სკუადრა აძურაში" 136 მატჩი აქვს ჩატარებული და რეკორდსმენია, ბუფონის ანგარიშზე კი ნაკრებში 120 მატჩია, რაც იმას ნიშნავს, რომ კანავაროს რეკორდამდე 16 შეხვედრა აკლია და ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. კანავარომდე ჯიჯი ლეგენდარული **პაოლო მალდინის** შედეგს გაიმეორებს და გააუმჯობესებს - ამ უკანასკნელმა „აძურას" ღირსება 126 მატჩში დაიცვა.

გერმანიის ნაკრები



ტიმ ვიზე და რონ-რობერტ ცილერი

# საარგენტინო ბუნდესგუნდი

## ლიოვმა ცილერი გამოიძახა, ვიზე - არა!

გუშინ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ის შემადგენლობა გამოაცხადა, რომლითაც ბუნდესგუნდი 15 აგვისტოს არგენტინას ამხანაგურად დაუპირისპირდება. როგორც მოსალოდნელი იყო, იოგიმ შემადგენლობა დიდად არ შეცვალა - 19-კაციან სიაში 17 ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატის შემადგენლობიდანაა გამოძახებული. მათ **სვენ ბენდერისა** და **იულიან დრაქსლერის** სახით ორი ისეთი მოთამაშე დაემატათ, რომლებიც ბუნდესგუნდის გაფართოებულ სიაში ევრო 2012-ისთვისაც იყვნენ.

ოდნავ მოულოდნელი იყო ლიოვის გადაწყვეტილება მეკარეების შერჩევისას: იოგიმ **მანუელ ნოიერთან** ერთად ჰანოვერელ **რონ-რობერტ ცილერს** უხმო, **ტიმ ვიზე** კი, რომელიც ნოიერის პირველ შემცვლელად მიიჩნევა, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა. გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელმა **ანდრეას კიოპკემ** ეს გადაწყვეტილება ბუნდესგუნდის გაახალგაზრდავების პროცესით ახსნა: *„ჰანსი ფლიკი და მე ტიმს ჰოფენჰაიმში ვესტუმრეთ და დიდხანს ვესაუბრეთ. ჩვენ მას ავუხსენით, რომ გვინდა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში აქცენტი ახალგაზრდა მეკარეებზე გავაკეთოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიზე საბოლოოდ ჩამოწერილია."*

მწვრთნელების გადაწყვეტილება არც თავად ვიზემ გააპროტესტა: *„ნაკრების სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილება ჩემთვის გასაგები და მისაღებია. ლიოვისა და მისი გუნდის ნაბიჯს პატივს ვცემ. მხოლოდ იმას დავძენ, რომ თუ ნაკრებს დავჭირდები, ყოველთვის მზად ვარ, ბუნდესგუნდის ფორმა მოვირგო."*

იმ შემადგენლობიდან, რომლითაც გერმანიამ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა, არგენტინასთან ლიოვს „ბაიერნის" სამი ფეხბურთელი დააკლდება: როგორც მოსალოდნელი იყო, იოგიმ კაპიტან **ფილიპ ლამზე** და ვიცე-კაპიტან **ბასტიან შვაინშტაიგერზე** უარი თქვა, **მარიო გომესმა** კი, როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ ოპერაცია გაიკეთა.

არგენტინასთან ტესტ-მატჩში არც ლონდონის „არსენალის" გერმანელი ფეხბურთელები, **ლუკას პოდოლსკი** და **პერ მერტეზაკერი** იასპარეზებენ, რადგან ამ შეხვედრიდან სამ დღეში ინგლისის ჩემპიონატი იწყება. სამაგიეროდ, სიაშია **მარიო გიოტცე**, რომელმაც სრული დატვირთვით ვარჯიში სულ რაღაც ორიოდე დღის წინ განაახლა...

**მეკარეები:** მანუელ ნოიერი (ბაიერნი), რონ-რობერტ ცილერი (ჰანოვერი)

**მცველები:** ჯერომ ბოატენგი (ბაიერნი), ლარს ბენდერი (ლევერკუზენი), ჰოლგერ ბადშტუბერი (ბაიერნი), მატს ჰუმელსი (ბორუსია /დ/), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე), მარსელ შმელცერი (ბორუსია /დ/).

**ნახევარმცველები:** სვენ ბენდერი (ბორუსია /დ/), იულიან დრაქსლერი (შალკე), თომას მიულერი (ბაიერნი), მარიო გიოტცე (ბორუსია /დ/), ტონი კროოსი (ბაიერნი), მესუთ ოზილი (რეალი), მარკო როისი (ბორუსია /დ/), ანდრე შიურლე (ლევერკუზენი), სამი ხედირა (რეალი), ილქაი გიუნდოგანი (ბორუსია /დ/).

**თავდამსხმელი:** მიროსლავ კლოზე (ლაციო)

ამბები




### არიელ ორტეგამ კარიერა დაასრულა

ცნობილმა არგენტინელმა ფეხბურთელმა **არიელ ორტეგამ** საფეხბურთო კარიერა 38 წლის ასაკში დაასრულა. ორტეგამ, რომელსაც თავის დროზე ახალ დიეგო მარადონად მოიხსენიებდნენ, არგენტინის ნაკრებში 87 მატჩი ჩაატარა და მსოფლიოს სამ ჩემპიონატზე (1994, 1998, 2002) იასპარეზა. 1.70 მეტრი სიმაღლის გამთამაშებელი ევროპაში „ვალენსიას", გენუის „სამპდორიას", „პარმას" და „ფენერბაჰჩეს" ღირსებას იცავდა. ორტეგა ბოლოს სამშობლოში, არგენტინის მესამე ლიგაში თამაშობდა...

### მარადონას შვილს არგენტინაში ეპატიჟებიან

**დიეგო მარადონას** უკანონო შვილს ლეგენდარული მამის სამშობლოში ეპატიჟებიან. არგენტინის მესამე ლიგაში მოასპარეზე „პორვენირმა" იტალიაში გაზრდილი დიეგო მარადონა უმცროსის გადაბირების სურვილი გამოთქვა - ეს ინფორმაცია გუშინ არგენტინულმა და იტალიურმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს. გავრცელებული ცნობების თანახმად, 25 წლის ნეაპოლელი, რომელმაც წინა სეზონი იტალიის მეოთხელიგელ „კვატროში" გაატარა, „პორვენირში" შესაძლოა მომავალ კვირაში წარადგინონ.

პატარა მარადონას, რომელიც დიდ დიეგოს ძალიან ჰგავს, მამამისი მხოლოდ ერთხელ ჰყავს ნანახი - ისინი ერთმანეთს 2003 წელს შეხვდნენ. დიეგიტო **კრისტიანა სინაგრას** შვილია, რომელთანაც მარადონას 80-იან წლებში ჰქონდა ურთიერთობა. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მაშინ „ნაპოლიში" თამაშობდა და აღსანიშნავია, რომ საფეხბურთო კარიერა პატარა დიეგომაც ნეაპოლში დაიწყო. მარადონა უკანონო შვილს არ აღიარებდა, 1992 წლიდან კი ალიმენტის გადახდა დააკისრეს.

გვერდი მოამზადა

**გოტფრიდ ლენცმა**

ლიგა 1. წინათქმა

# პსჟ და სხვები

სატრანსფერო ბაზარზე არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ მთელი კონტინენტის მასშტაბით ყველაზე აქტიური "პარი სენ-ჟერმენი" იყო. ლუკას მოურას ტრანსფერის განხორციელების შემდეგ 2012/13 წლების ჯამურმა ხარჯმა 141 მილიონ 700 ათასი ევრო შეადგინა. სეზონის პირველ მატჩში ჩემპიონი "მონპელიე"-"ტულუზს" დღეს უმასპინძლებს, ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი კი "ლორიანთან" შეხვედრით იწყებს.

სწორედ "ლურჯ-წითლების" ფაქტორის გამოა, ლიგა 1 შარშანდელთან შედარებით არნახულად დიდ ინტერესს რომ იწვევს. ძალიან ბევრი საფეხბურთო ექსპერტის აზრით, საფრანგეთის უმაღლესი ლიგა წელს ისეთი დამაინტრიგებელი აღარ იქნება, თუმცა, მეორე მხრივ, ევროპაში კიდევ ერთი გრანდის დაბადების პროცესი ძალიან საინტერესო უნდა იყოს. საქმე მხოლოდ ძლიერ შემადგენლობაში არ არის. პარიზელთა სათავეში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი დგას. კარლო ანჩელოტის უკვე მოგებული აქვს იტალიის სერია A ("მილანი", 2004) და ინგლისის პრემიერლიგა ("ჩელსი" 2010). მესამე ელიტური ლიგის მოგება კი, დაგვეთანხმებით, განსაკუთრებული მოვლენაა.



კარლო ანჩელოტის პარი სენ-ჟერმენისგან წარმატებებს მარტო შიდა ფრონტზე არ ითხოვენ

## ახალი გუნდი, ახალი ამბიციები

ახალი სეზონიდან კარლეტოს განკარგულებაში განსაკუთრებული ფეხბურთელები იქნებიან. დიახ, ლიგა 1-ისთვის მას შარშანაც კარგად დაბალანსებული გუნდი ჰყავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ადგილობრივ სპეციფიკას ასე იოლად ალღო ვერ აუღო და ხანგრძლივი წაუგებელი სერიით "გაყოყოჩებული" შეგირდები ველარ დაიმორჩილა. სამაგიეროდ, ყველაფერი რიგზე ჰქონდა გუნდში **რენე ჟირარს** და ფინიშის ხაზი პირველმა სწორედ მან გადაკვეთა. რაც ახლა "პარკ დე პრენსზე" ხდება, ამას ალბათ ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა. აბა ვინ იტყვის უარს **ზლატან იბრაჰიმოვიჩის, ესეკილ ლავესის, ტიაგო სილვასა** და ლუკას მოურას გაწვრთნაზე. ამ კომპანიაში განგებ არ ვახსენებთ **მარკო ვერატის**, ვინც ნაკლებად რეკლამირებული ფეხბურთელია, მაგრამ არ ნიშნავს, რომ თავისი საქმის კეთება ვინმეზე ნაკლებად იცის. ერთია, რომ პარიზელთა შეტევის ხაზი ქალალდზე მეტოქეებს შიშს უნდა ჰგვრიდეს, მაგრამ მეორეა, რამდენად მოახერხებენ ახალწვეულები შეთამაშებას. იმის თქმა ნამდვილად არ გვინდა, რომ არაფერი გამოუვათ, მაგრამ ერთია მოლოდინი, მეორე – რეალობა. თავდასხმა პსჟ-ს შარშანაც დიდებული ჰყავდა. შემთხვევითი არ იყო, რომ გუნდმა ყველაზე მეტი - 75 გოლი შეაგდო ჩემპიონატში. დედაქალაქელებს უკანა ხაზის არასტაბილურმა თამაშმა საბოლოოდ ხელი შეუშალა წარმატებაში. **ალექსისა** და ტიაგო სილვას დუეტმა, წესით, ეს პრობლემა უნდა აღმოფხვრას. კლუბის მესაკუთრეთა ამბიციები მხოლოდ შიდა ასპარეზზე მიღწეული წარმატებებით არ შემოიფარგლება. ანჩელოტისა და მის ბოსებს კარგად უნდა ახსოვდეთ "მანჩესტერ სიტის" შარშანდელი მაგალითი, როცა ფანტასტიკური შემადგენლობის მიუხედავად, "ქალაქელებმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახეს, დათმეს რა პლეი ოფის საგზური "ბაიერნთან" და "ნაპოლისთან".

ის, რომ პსჟ დიდ პოტენციალს ფლობს, ცხადია. ანჩელოტის ფეხბურთელებმა ეს სეზონის წინა მოსამზადებელ მატჩებშიც დაამტკიცეს, მაგალითად, "ბარსელონასთან". ნამდვილად არ გვეგულება ბევრი გუნდი, ვინც "ბლაუგრანასთან" ორბურთიან ფორას გააბათილებს. რამდენად თამამად შეიძლება ამის მერე მტკიცება, რომ ეს გუნდები თანაბარი ძალისანი არიან, სხვა საქმეა, თუმცა ერთ კონკრეტულ მატჩში **ტიტო ვილანოვას** "ბარსას" დამარცხება რომ შეიძლება, მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება.

## სხვები

**რა შეიძლება ითქვას ჩემპიონატის დანარჩენ ლიდერებზე? სახარბიელო მდგომარეობა არც ერთ გუნდში არ არის. "ლიონისა" და "მარსელის" ფინანსურ პრობლემებზე ჩვენს მკითხველს მოეხსენება. "ლილმა" გუნდის მთავარი მამოძრავებელი ძალა ედენ აზარი დაკარგა, "მონპელიემ" – ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ოლივიე ჟირუ.**

### ლიონი

სწორედ გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ სრულად ლიგა 1-ის ტრანსფერები. თუკი დააკვირდით, ნახავდით, რომ "ლიონს" რეალურად არც ერთი სერიოზული ფეხბურთელი არ დაუმატებია. **რემი გარდს** ისევ შარშანდელი ფეხბურთელებით მოუწევს ფონს გასვლა. ეგ კი არა, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, დარჩება თუ არა "სტად დე ჟერლანზე" კაპიტანი **კრისი**. 35 წლის ბრაზილიელს სამშობლოში დაბრუნებას სთავაზობდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა საყვარელ გუნდს ვერ უგანა. მას კარიერის დასრულება სწორედ საფრანგეთში სურს. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო კრისს ურთიერთობა დაეძაბა პრეზიდენტ **ჟან-მიშელ ოლასთან**, მაგრამ "ლიონს" მან მაინც ვერ უღალატა. ფრანგული პრესა ბევრს წერდა გუნდიდან **უგო ლორისის** შესაძლო წასვლაზე. საფრანგეთის ნაკრების 25 წლის მეკარეს "ტოტენჰემი" იწვევდა და რასაკვირველია, ბევრად უკეთეს პირობებს სთავაზობდა, ვიდრე მას ამჟამად აქვს, მაგრამ აბარგება საბოლოოდ არც მან ინება. თუკი რემი გარდი შარშანდელივით ყველა ტურნირს არ "მოედება" და აქცენტს რომელიმეზე გააკეთებს, მას ნამდვილად შეეძლება რომელიმეზე ჩაბღაუჭება. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ შარშან "ლიონი" სწორედ რამდენიმე ფრონტზე ბრძოლამ გამოფიტა. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, გუნდმა უზარმაზარ დატვირთვას ვერ გაუძლო და გადაიწვა.

### მარსელი

სიტუაცია "მარსელის" ირგვლივ ყველაზე მძიმეა. უკვე ვწერდით, რომ გასული სეზონის დასრულების შემდეგ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მიიღებდნენ თუ არა პროვანსელები ლიცენზიას პროფესიული ლიგისგან, რადგან ბიუჯეტში სერიოზული გარღვევა ჰქონდათ. ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, მაგრამ არაფერი ეშველა შემადგენლობის გაძლიერებას, არადა, **ელი ბოპის** გუნდს ახალი ფეხბურთელები ჰაერივით სჭირდება. "ველოდრომზე" არც ერთი კვალიფიციური ფეხბურთელი არ გამოჩენილა.

### ლილი

"ლილმა" **ედენ აზარი** "ჩელსიში" გაუშვა. ბელგიელის წასვლა მარტო "ძალლების" კი არა, მთელი ფრანგული საკლუბო ფეხბურთისთვის დიდი დანაკარგია. **რუდი გარსიამ** "სოშოდან" **მარვენ მარტენი** იყიდა. უკანასკნელი რომ დიდი პოტენციალის ფეხბურთელია, ამაზე არ ვკამათობთ, მაგრამ მაინც ეჭვი გვეპარება, საფრანგეთის ნაკრების წევრმა აზარის წასვლით გამოწვეული სიცარიელე შეავსოს. ჩრდილოელებმა ერთი ძალიან კარგი შევსებაც მიიღეს – ექს-ჩელსელი **სალომონ კალუ** გუნდს ნამდვილად გააძლიერებს. სხვა თუ არაფერი, ივუარელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის სერიოზული გამოცდილებაც აქვს.

### მონპელიე

ცხადია, "მონპელიეს" ჩემპიონის ტიტულისთვის დაცვა ძალიან გაუჭირდება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ **ოლივიე ჟირუს** დაემშვიდობა. ჯერ კიდევ არ გარკვეულა, დარჩება თუ არა "სტად დე ლა მოსონზე" დაცვის ლიდერი **მაპუ იანგა-მბივა**. მას "მილანი" იწვევს. მოქმედი ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებულად მონდომებს და რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა **რენე ჟირარის** გუნდს დიდ ენერგიას წაართმევს.

ამბები

## ლუკასი უკვე პარიზშია



"პარი სენ-ჟერმენის" ოფიციალურმა ვებგვერდმა 19 წლის **ლუკას მოურას** ტრანსფერი დაადასტურა. პარიზელებს შემტევი ნახევარმცველის გადაბირება 40 მილიონი ევრო დაუჯდათ. მხარეთა შორის 4,5-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა, რომლის თანახმად ფეხბურთელი საფრანგეთში 2013 წლის 1-ელ იანვარს გადავა სათამაშოდ, იქამდე კი "სან პაულოში" დარჩება.

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ფრანგული საიტების ცნობით, პარიზელთა ატრიბუტიკით ვაჭრობა შარშანდელთან შედარებით 5-ჯერ გაიზარდა. არადა, პსჟ-ის მაისურის შეძენა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა – 85 ევრო. თუკი მსურველს გვარის დაწერაც სურს, დამატებით 15 ევროს გადახდა მოუწევს, ლიგა 1-ის და სპონსორთა ლოგოების დატანება კი - 10. რაც მთავარია, ამ თანხაში ტრანსპორტირების ხარჯი არ იგულისხმება.

## ალუ დიარა ჩაქუჩებში



"მარსელისა" და საფრანგეთის ნაკრების 31 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ალუ დიარა** კარიერას "ვესტ ჰემში" განაგრძობს. ფეხბურთელი ლონდონში ოთხშაბათს ჩავიდა და წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება. 2-წლიან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა უახლოეს დღეებში იგეგმება. "ბაიერნისა" და "ლივერპულის" ყოფილმა ფეხბურთელმა ფრანგულ კლუბს თავად სთხოვა ტრანსფერზე დაყენება. რა დაუჯდება პრემიერლიგურ კლუბს ეს გარიგება, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ.

## ჰუთი ორი კვირა დაისვენებს

"სტოკ სიტის" გერმანელმა ცენტრალურმა მცველმა, 27 წლის **რობერტ ჰუთმა** ორშაბათის ვარჯიშზე თავი ცუდად იგრძნო. ექიმებმა პირველადი ნიშნებით მას ტვინის ანთება "დაუდგინეს", რაც, საბედნიეროდ, არ დადასტურდა. გერმანიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს თავის ტკივილები დღემდე აწუხებს, მაგრამ როგორც ირწმუნებიან, საშიში არაფერია. ის რამდენიმე დღეს დაჰყოფს საავადმყოფოში, სადაც ანტიბიოტიკებით მკურნალობის კურსს ჩაიტარებს. ამის შემდეგ მას სახლში მოუწევს დასვენება. რობერტი მინდორზე მხოლოდ კიდევ ერთი გამოკვლევის შემდეგ დაბრუნდება. ჰუთს პრემიერლიგის პირველი და, სავარაუდოდ, მეორე ტურების გამოტოვება მოუწევს. "სტოკის" თავკაცის **ტონი პულისის** თქმით, ის მოუთმენლად ელის ფეხბურთელის მწყობრში ჩადგომას. მის არყოფნაში **რაიან შოუკროსს მეტიუ აპსონი** შეუწყვილდება.

## ნიუკასლის მერე რეინჯერსიც

"ნიუკასლის" მესაკუთრე **მაიკ ეშლიმ** "რეინჯერსის" აქციების 10%-ის ყიდვა გადაწყვიტა. ინგლისური ვებგვერდების ცნობით, გარიგება მასა და გლაზგოელთა მფლობელ **რობერტ გრინს** შორის ყველაზე გვიან მომავალი კვირის დასაწყისში გაფორმდება, რაც ეშლის ნახევარ მილიონ ფუნტზე ცოტა მეტი დაუჯდება. ჟურნალისტები მილიარდერის პრესსამსახურს დაუკავშირდნენ, თუმცა ამ ეტაპზე მათ თავი შეიკავეს ვრცელი კომენტარისგან და აღნიშნეს, რომ ეს მხოლოდ სპეკულაციებია. ამის მერე ბიზნესმენის ინკოგნიტო მეგობარმა ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ დაადასტურა. უახლოეს დღეებში გამოჩნდება, მართლა არსებობს ეს პერსონა, თუ "მეგობარი" ჩვენი ინგლისელი კოლეგების ფანტაზიის ნაყოფია.

## 220 ათასი ვან პერსის

"ტელეგრაფის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" მზადაა, **რობინ ვან პერსის** კვირაში 220 ათასი ფუნტი გადაუხადოს. რაც ნიშნავს, რომ 29 წლის ჰოლანდიელი ისეთივე ხელფასს მიიღებს, რამდენსაც "ეშმაკები" **უეინ რუნის** უხდიან. "არსენალში" კი ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტეს, დათანხმდნენ თუ არა "იუნაიტედის" წინადადებას. "იუვენტუსი" და "მანჩესტერ სიტი" ჰოლანდიელი ვარსკვლავისთვის ბრძოლას პრაქტიკულად ჩამოშორდნენ. ასე რომ, "მეთოფეებს" საქმე ასარჩევად არც აქვთ. "ტელეგრაფი" კომენტარისთვის **ალექს ფერგიუსონს** დაუკავშირდა. აი, რა თქვა შოტლანდიელმა: *"არსენალს" ფეხბურთელის გაყიდვა ალბათ არაპრემიერლიგურ კლუბში სურს, მაგრამ ჩვენ ძალიან მონდომებულები ვართ და მზად ვართ, ბოლომდე ვიბრძოლოთ. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით მოლაპარაკებების პროცესში დიდი წინსვლა არ იგრძნობა. არ ვიცი რატომ იქცევიან ლონდონელები ასე ჯიუტად"*.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



## ქართული სპორტი

### ჭადრაკი

# შერისხული შვიდეული ფიდეს კონგრესს სიმართლის დასაცავად გამოიყენებს

თურქეთის ქალაქ სტამბოლში 27 აგვისტოდან პლანეტის უძლიერესი დიდოსტატი ქალ-ვაჟები შეიკრიბებიან მსოფლიო საჭადრაკო ოლიამპიადაში საასპარეზოდ. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც. ქალთა გუნდის ღირსებას **ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე** და **ნინო ბაციაშვილი** (კაპიტანი - **ნინო გურიელი**, მწვრთნელები - **ზურაბ სტურუა** და **დავით ჯოჯუა**) დაიცავენ, ვაჟთა ნაკრებში კი **ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, თორნიკე სანიკიძე** და **მერაბ გაგუნაშვილი** (მწვრთნელ-კაპიტანი **ლაშა ჯანჯღავა**, მწვრთნელი **ხვიჩა სუპატაშვილი**) ითამაშებენ.

სტამბოლური პაექრობებისთვის სამზადისზე გვიამბობს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე**:

- წლევანდელი სეზონი ჩვენთვის ბევრი რამით იყო მნიშვნელოვანი. წლის დასაწყისში პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის სუპერთასის გათამაშებას ვუმასპინძლეთ თბილისში, შემდეგ ბათუმში რაპიდსა და ბლიცში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატები გაიმართა. ვაჟთა ნაკრები ამხანაგურ მატჩში აზერბაიჯანის ძლიერ გუნდს შეხვდა. მართალია, ეს ორთაბრძოლა წავაგეთ, მაგრამ მას დადებითი შედეგიც მოჰყვა - მარცხმა ჩვენი ბიჭების თავმოყვარეობაზე იმოქმედა და ახლა ისინი ინტენსიურად ვარჯიშობენ მომავალი პაექრობებისთვის, სადაც პირველ ათეულში მოხვედრას გეგმავენ. რაც შეეხებათ ქალებს, მათი მიზანი უცვლელია - ტრადიციულად კვარცხლბეკზე ასვლა, რაც იოლი საქმე არ იქნება, რადგან, ჩინეთის, რუსეთის, უკრაინის და ინდოეთის გუნდების გარდა, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც საკმაოდ გაძლიერდნენ.

ქალთა ნაკრების წევრებმა პირველი საწვრთნელი შეკრება ბაკურიანში გაიარეს. ახლა ისინი ვაჟებთან ერთად თბილისში ვარჯიშობენ, საჭადრაკო ოლიმპიადის დაწყებამდე კი ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრება ანტალიაში ექნებათ, სადაც ფიზიკურთან ერთად, კონკრეტულ მეტოქეებთან სათამაშოდ თეორიულადაც მოემზადებიან.

**- გუშინ თქვენ ახალგაზრდა მოჭადრაკეებს შეხვდით...**

- 15 აგვისტოდან ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა გაიმართება. საქართველოდან იქ საპრიზო ადგილებისთვის 19 გოგონა და ვაჟი იბრძოლებს. ფედერაციის გენერალური მდივნის - აკაკი იაშვილის ხელმძღვანელობით ჩეხეთში გაემგზავრებიან რვაწლიანები - საბა ლომსაძე, ნიკოლოზ კაჭარავა, სალომე ბეიტრიშვილი, დიანა ლომაია; ათწლიანები - ანტონ ნადირაძე, ლუკა ობოლაძე, დიმიტრი ჯიბუტი, თამარ ესაძე, ანასტასია სიდამონიძე; თორმეტწლიანები - კოკა ბუკია, ლუკა გოგია, ნატა ჯიბუტი; თოთხმეტწლიანები - გიორგი სიბაშვილი, ნინო ხომერიკი, თამარ ფაშკურიძე; თექვსმეტწლიანები - ირაკლი ბერაძე, ანა შამათავა, დეა გოგიშვილი და თვრამეტწლიანებში ნატო იმნაძე. ახალგაზრდა მოჭადრაკეთა უმრავლესობამ ქუთაისში ევროპის თასზე იასპარეზა, მერე ფოთში ნანა ალექსანდრიას თასის გათამაშებაში მოსინჯეს ძალები. საჭადრაკო აკადემიამ მათთვის მეცადინეობების სამი სესია გამართა. უფროსებთან ლაშა ჯანჯღავამ იმუშავა, უმცროსებთან - გია მენაბდემ. გუშინ მათ ჩეხეთისკენ გზა დავულოცეთ და ჩვენი ფედერაციის არსებობის ისტორიაში პირველად ერთიანი ეროვნული ფორმები გადავეცით. მთლიანი დელეგაცია როგორც ერთი გუნდი იბრძოლებს პრაღაში მედლებისთვის. ჩვენი გოგო-ბიჭების თამაშებს მეც დავესწრები და საჭიროების შემთხვევაში დავეხმარები კიდეც. პირველობის დამთავრების შემდეგ სტამბოლში საჭადრაკო ოლიმპიადაზე გავემგზავრები.



ევროპის პირველობის მონაწილეები გია გიორგაძესთან ერთად

**- ჩაგიშვებენ კი?! შვიდი „შერისხული ფედერაციის" არბიტრებს ხომ თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სტამბოლში მსაჯობაზე უარი უთხრა და ფიდემაც კვერი დაუკრა...**

- ალი ნიჰატ იაზიჩის წინადადებით ფიდემ სამარცხვინო გადაწყვეტილება მიიღო, რაც, უპირველესად, მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის დევიზს - ჩვენ ერთი ოჯახი ვართ - ეწინააღმდეგება. ფედერაციებსა და ფიდეს შორის დავა როგორიც უნდა ყოფილიყო, სამართლიანი თუ უსამართლო, ადმინისტრაციული ორგანოების შეუთანხმებლობა მსაჯებს არ უნდა შეხებოდა. არადა, საერთაშორისო არბიტრი ლელა თანდაშვილი ევროპის საჭადრაკო კავშირმა 10 საუკეთესო მსაჯს შორის დაასახელა., პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციამ კი მარიკა ჯაფარიძეს გაუწია რეკომენდაცია.

იაზიჩიმ თავისი ფედერაციის წევრი სუათ ატალიკიც არ დაინდო. ამ უკანასკნელმა იაზიჩის და საბერძნეთის ჭადრაკის ფედერაციის თავკაც მაკროპულოსს, რომლებიც ამავდროულად ფიდეს ვიცე-პრეზიდენტებიც არიან, გადადგომისკენ მოუწოდა. არ აპატიეს ეს სითამამე. ერთმა წევრობა შეუჩერა, მეორემ ის შეჯიბრება გააუქმა ელადაში, სადაც ატალიკს უნდა ეთამაშა. ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი კი დუმს - თავისი ოჯახის წევრის დასაცავად ხმას არ იღებს.

**- იაზიჩი ბოლო დროს უფრო შორს წავიდა - მოითხოვა, რომ იმ შვიდი ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციებს, რომლებსაც, ფაქტობრივად, ილუმჟინოვთან სასამართლო პროცესები ჰქონდათ, იქ გახარჯული თანხების აუნაზღაურებლობის შემთხვევაში, ფიდეს წევრობა შეუჩერდეთ. ეს საკითხი ფიდეს კონგრესის დღის წესრიგშიცაა შეტანილი.**

- იაზიჩის მოთხოვნა სასაცილოა. კონგრესზე, დარწმუნებული ვარ, ამ წინადადებას მხარს არავინ დაუჭერს. ვთქვათ და, ყველაფერი მისი სურვილისამებრ მოხდა, მაშინ სტამბოლში ფიდეს რღვევას დაედება საფუძველი. ისინი ხომ შერისხვას უპირებენ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ამერიკის, საქართველოს, უკრაინისა და შვეიცარიის ფედერაციებს. ფიდე დუმს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იქ ყველაფერი ისე არ არის, როგორც დემოკრატიულ ორგანიზაციას შეეფერება. ჩვენმა შვიდეულმა საჭადრაკო ოლიმპიადის ბოიკოტის საკითხიც განიხილა და უარყო, რადგან ეს იმ მოჭადრაკეებს დააზარალებს, რომლებიც ამ შეჯიბრებისთვის ორი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ფიდეს კონგრესი ჩვენი სიმართლის დასაცავად გამოვიყენოთ.

**ვაჟა დანელია**

*ავტორის ფოტო*

# გურამიშვილი წინ მიიწევს




ჰოლანდიაში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისელი დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილიც** მონაწილეობს. მე-6 ტურში მან მასპინძელ ფრანკ ლომერს სძლია და 4,5 ქულა მოაგროვა. ლიდერთა შეხვედრები: ბარის ესენი (თურქეთი) - სურია განგული (ინდოეთი) 0,5:0,5, ჰაგენ პიოჩი (გერმანია) - დიმიტრი რეინდერმანი (ჰოლანდია) 0:1. ამდენად, 5,5 ქულით სწორედ რეინდერმანი დაწინაურდა. 9 მოჭადრაკემ 5-5 ქულას მოუყარა თავი. 22 მოჭადრაკეს 4,5-4,5 ქულა აქვს. მათ შორისაა სოფიკო გურამიშვილი, რომელიც მე-7 ტურში შავი ფიგურებით იოჰანან აფეკს (ისრაელი) დაუპირისპირდება. ლიდერთა ჯგუფის წევრები კი ასე დაწყვილდნენ: დიმიტრი რეინდერმანი (ჰოლანდია, 5,5) - ილია ნიჟნიკი (უკრაინა, 5), სურია განგული (ინდოეთი, 5) - ჟილ პოპილსკი (ისრაელი, 5), სანდერ ვან ეიკი (ჰოლანდია, 5) - ბარის ესენი (თურქეთი, 5), სტიუარტ ჰასლინჯერი (ინგლისი, 5) - ალფონსო პერესი (ესპანეთი, 5), კოენ ლეენჰაუტსი (ჰოლანდია, 5) - ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 5).

**ვაჟა დანელია**

### წყალბურთი

# პირველად ჩემპიონთა ლიგაში

წლეულს წყალბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი თბილისის „ლიგამუსმა" მოიგო. კლუბის მესვეურთა გადაწყვეტილებით, გუნდი პირველად ევროპის ჩემპიონთა ლიგაში მოსინჯავს ძალებს. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი თბილისში გაიმართება ოთხი გუნდის მონაწილეობით. 13-16 სექტემბერს „ოლიმპიკის" აუზში მომდევნო ეტაპის ორი საგზურისთვის „ლიგამუსთან" ერთად ესპანეთის „საბადელი", ბელარუსის „ვიტებსკი" და პოლონეთის „ალკოლია" იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია**

## უცხოური სპორტი

### ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**III საკვ. ეტაპი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| აქტობე-გენკი | 1:2 (1:2) |
| დინამო (მ)-დანდი იუნ | 5:0 (2:2) |
| ელფსბორგი-ჰორსენსი | 2:3 (1:2) |
| ომონია-ცრ. ზვეზდა | 0:0 პენ. 5:6 (0:0) |
| სლავენი-ბილბაო | 2:1 (1:3) |
| ოლესუნდი-აპოელ | 0:1 (1:2) |
| ლეგია-რიდი | 3:1 (1:2) |
| მეტალურგი (დ)-ტრომსიო | 0:1 (1:1) |
| ბოლესლავი-ტვენტე | 0:1 (0:2) |
| რუსენბორგი-სერვეტი | 0:0 (1:1) |
| გენტი-ვიდეოტონი | 0:3 (0:1) |
| ტრნავა-სტიაუა | 0:3 (1:0) |
| იანგ ბოიზი-კალმარი | 3:0 (0:1) |
| ლეხი-აიკ | 1:0 (0:3) |
| მურა-არსენალი (კ) | 0:2 (3:0) |
| პაოკ-ბნეი იეჰუდა | 4:1 (2:0) |
| სპარტა-ადმირა | 2:2 (2:0) |
| ვიქტორია-რუხი | 5:0 (2:0) |
| ვიტესი-ანჟი | 0:2 (0:2) |
| ზეტა-სარაევო | 1:0 (1:2) |
| ბურსა-კუოპიო | 6:0 (0:1) |
| ჰანოვერი-სტ. პატსი | 2:0 (3:0) |
| რაპიდი (ბ)-ჰერენვეენი | 1:0 (0:4) |
| [illegible] | 0:2 (3:0) |
| მარსელი-[illegible] | 3:0 (1:1) |
| მარიტიმო-ასტერასი | 0:0 (1:1) |
| [illegible] | 3:0 (1:0) |
| რაპიდი (ვ)-ვოივოდინა | 2:0 (1:2) |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ტორინო-ხეტაფე | 2:1 |
| ფერეირა-ვალიადოლიდი | 4:0 |
| ვალენსია-ტოტენჰემი | 2:0 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-კტპ | 1:2 |
| პკვ5-ჰამეენლინა | 3:0 |

**ჩოგბურთი**

**WTA. მონრეალი**

| | |
|---|---|
| ვინჩი-ივანოვიჩი | 6:0, 6:0 |
| სუარეს ნავარო-ლისიცკი | 3:6, 6:3, 6:4 |
| ბარტოლი-პენგი | 6:1, 6:3 |
| ვოზნიაკი-იანკოვიჩი | 6:2, 6:3 |
| ციბულკოვა-ლეპჩენკო | შეწყდა |

### TV პროგრამა

**10 აგვისტო. პარასკევი**

**I არხი**

15:00 ოლიმპიური თამაშები. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
16:30 ოლიმპიური თამაშები. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
19:05 ოლიმპიური თამაშები. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
21:40 ოლიმპიური თამაშები. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. პსჟ.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვერდერი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-იუვენტუსი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მონპელიე.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. უტრეხტი-აიაქსი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რაიო ვალეკანო.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლიონი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-დალასი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი.
17:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ლენსტერი-გლაზგო ვორიორზი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ლაციო.
21:45 NBA ACTION.
22:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-დალასი.
00:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ცინცინატი. აშშ.
11:20 რაგბი. ექვსი ერის თასი. კარდიფ ბლუზი - რასინგი
13:20 სპორტ-NEWS.
15:50 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ლეიკერსი-დენვერი.
15:50 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
16:50 სპორტ-NEWS.
17:20 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ტვენტე.
19:20 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ლეიკერსი-დენვერი.
21:20 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-უელსი.
23:20 ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ნიურნბერგი. გერმანია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 36 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 22 | 31 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 23 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 22 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 21 | 29 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 18 | 34 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 22 | 35 | (მზე) |
| სიღნაღი | 21 | 34 | (მზე) |
| ქობულეთი | 22 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 12 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 16 | 31 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 10 | 27 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0319 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6441 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5738 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1880 |

### ჩოგბურთი




მონრეალში ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 2.168,400 დოლარი) ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში კსენია პერვაკთან (ყაზახეთი) **ანა ტატიშვილის** მარცხის შესახებ

# წყვილებსაც გამოეთიშნენ

უკვე გაუწყეთ. ქართველმა ჩოგბურთელმა ვერც წყვილებში იყოჩაღა - სლოვენიელ ანდრეა კლეპაჩთან ერთად ასპარეზობის სტარტზე ტაივანელი ჩიაიუნგ ჩუანისა და ჩინელი შუაი ჟანის დუეტთან სამ სეტში წააგო - 6:3, 5:7, 9:11.

ბურსაში ქალთა 10.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობის მეოთხედფინალში **ბაბილინა მაჩაიძისა** და ნურია პარისას-დიასის ინტერნაციონალურმა დუეტმა აზერბაიჯანელ კამილა ფარჰადთან და უზბეკ საბინა შარიპოვასთან შეხვედრა ორ სეტში დათმო - 1:6, 3:6.

გერმანული ჰეჩინგენის 25.000-იანი ქალთა ტურნირის ერთეულთა თანრიგს დაემშვიდობა **ეკატერინე გორგოძე** - მეორე წრეში მას მერვანა სალკიჩმა (ბოსნია-ჰერცეგოვინა) აჯობა - 3:6, 6:3, 6:4. **ეკატერინე გორგოძე-სოფიო ქვაცაბაიას** წყვილი მერვანა სალკიჩისა და სანდრა კლემენშიტსის (ავსტრია) დუეტთან დამარცხდა - 1:6, 4:6.

**ვაჟა დანელია**

● თბილისის საერთაშორისო ტურნირი





# ზაბირჩენკო: ქართველებთან შედარებით ბავშვებს ვგავდით

| 9 აგვისტო, თბილისი |
|---|
| სპორტის სასახლე |
| საქართველო–უკრაინა 95:69 |
| 31:12, 21:19, 23:18, 20:20 |

| საქართველო | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პულენი | 26 | 4 | 5 | 2 | 2 | 0 | 17 |
| მარკოიშვილი | 24 | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 14 |
| სანიკიძე | 23 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 2 |
| შენგელია | 31 | 5 | 7 | 1 | 3 | 0 | 23 |
| ფაჩულია | 17 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 12 |
| ცინცაძე | 22 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 5 |
| შერმადინი | 22 | 3 | 0 | 1 | 1 | 0 | 9 |
| ფაცაცია | 8 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 3 |
| მეტრეველი | 9 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ლეჟავა | 4 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ბექაური | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბოისა | 13 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 6 |

**უკრაინა:** გლადირი (5ქ), დროზდოვი (7ქ, 6მ), კოლჩენკო, ლიპოვოი (4ქ), კორნიენკო (5ქ), კრავცოვი (10ქ), ნატიაჟკო (14ქ), არტამონოვი (5ქ), ბურტი (2ქ), ზაბირჩენკო (2ქ), გლებოვი, უსტოზვონოვი (10ქ), ტიმოფეენკო (5ქ), ზაიცევი.

**მსაჯები:** მ. მილანი, ზ. მაჩალაძე, ი. იგნატიევი.

**ბელარუსი–ესტონეთი 92:84 დ.დ.**

19:17, 15:28, 19:11, 25:22, 14:6

**ბელარუსი:** ულიანკო (14ქ), ჩარიკაუ (5ქ), სტიგერსი (2ქ), პარახუსკი (28ქ, 9მ), კორშჩუკი (8ქ), ლაშკევიჩი (9ქ), პუსტაპჟვარი (5ქ, 10მ), კუდრაუტსაუ (21ქ, 8მ), იაფრემაუ.

**ესტონეთი:** დორბეკი (3ქ), სააგე (13ქ, 4პ), ტალტსი (5ქ, 7მ), არბეტი (10ქ), ს. სოკი (26ქ, 5პ), ვენე (8ქ), რაადიკი (2ქ), კანგური (7ქ), პალიკი (2ქ):

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ბელარუსი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. უკრაინა | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. ესტონეთი | 3 | 0 | 3 | 3 |

2010 წელს უკრაინის ნაკრებს თბილისის ოთხთა ტურნირზე 87:84 ვაჯობეთ. მოგება ნატურალიზებული **ტორინ გრინის** უკანასკნელ წამზე ჩაგდებულმა სამქულიანმა მოგვიტანა.

2011 წელს ევრობასკეტზე უკრაინელები 69:53 დავამარცხეთ. გამორჩეული იყო **გიორგი ცინცაძე.**

2012 წლის 9 აგვისტოს, გუშინ, უკრაინელებს კვლავ ამხანაგურად ვუმასპინძლეთ და პირველივე პერიოდში გავტეხეთ – 31:12. საბოლოო ანგარიშს ოქმში ამოიკითხავდით, აქ კი გეტყვით, რომ სანყის 5 წუთში **მანუჩარ მარკოიშვილს** 3 სამქულიანი და 1 ორქულიანი უშეცდომოდ ჰქონდა ნატყორცნი და მის ანგარიშზე 11 ქულა იყო.

შევაჯამოთ ბოლო სამწლეული: შარშანწინ 3 ქულის უპირატესობით ვიმარჯვეთ, შარშან - 16 ქულით, წლეულს – 26-ით. როგორც ხედავთ, სხვაობა წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება. ჩნდება კითხვა: რატომ?

■ ■ ■

ზუსტი პასუხის გაცემა რთულია, თუმცა ჩვენთვის მთავარია გავარკვიოთ, უკრაინელებმა განიცადეს რეგრესი თუ ქართველებმა – პროგრესი. მიზეზი ერთიცაა და მეორეც. ჯერ უკრაინელებზე:

- *შარშანდელი ევრობასკეტის შემდეგ ექვსი წამყვანი კალათბურთელი დაგვაკლდა. წლეულს ვერ გვეხმარებიან ლიდერები ლიშჩუკი, პეჩეროვი და ფესენკო. გუნდი გაახალგაზრდავდა და საქართველოს ნაკრებთან შედარებით ბავშვებს ვგავდით,* - თქვა უკრაინელმა **დმიტრი ზაბირჩენკომ.**



ვფიქრობთ, უკრაინასთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია – ამერიკელი მწვრთნელის, **მაიკ ფრატელოს** ხელმძღვანელობით გუნდის გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს.

■ ■ ■

სხვათა შორის, საქართველოს ნაკრების გაახალგაზრდავებაზეც აქტიურად ლაპარაკობდნენ, მაგრამ იმ მატჩებშიც კი, რომელთა ბედი ნაადრევად წყდება, მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** ახალბედებს მხოლოდ 8-9 წუთით ენდობა. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინასთან მესამე პერიოდში 30 ქულის სხვაობით ვიგებდით, მწვრთნელი სათადარიგოებს შიგადაშიგ ათამაშებდა. საბოლოოდ **ლევან ფაცაციამ** მოედანზე 8 წუთი გაატარა, **ნიკა მეტრეველმა** – 9, **ბესიკ ლეჟავამ** 4. **ბექა ბექაურს** მხოლოდ 50 წამი ერგო.

*წამატჩევს, მთავარი მწვრთნელი პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. არადა გვაინტერესებდა, ამხანაგურ შეხვედრაში დიდი სხვაობით დაწინაურების შემდეგ რატომ არ ენდო მთლიანად სათადარიგოებს. მათ ხომ ოფიციალური შეხვედრების წინ თვითრწმენა სჭირდებათ. სხვა გზა არ იყო, ეს კითხვა მანუჩარ მარკოიშვილს დავუსვით...*

- ეს კითხვა მწვრთნელის მისამართითაა. ჩემი აზრით, გუნდის თავკაცმა სცადა ეს ტურნირი მეტად შეთამაშებისთვის გამოეყენებინა და ალბათ, ამიტომაც ათამაშებდა იმ შემადგენლობას, რომელიც შემდგომში, ოფიციალურ შეხვედრებში უნდა დაიტვირთოს.

მოკლედ, იგორ კოკოშკოვი მეტად ენდობა გამოცდილ კალათბურთელებს, რომლებიც ბოლო წლებში ერთად თამაშობენ და ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ. სწორედ ამიტომაა საქართველოს ნაკრები სადღეისოდ უკრაინაზე უკეთესი გუნდი. არის კიდევ ერთი უპირატესობა – მზარდი **თორნიკე შენგელია,** რომლის შეჩერება ბელარუსებმაც ვერ შეძლეს, ესტონელებმაც და უკრაინელებმაც.

- *საქართველოს ნაკრები დღითი დღე პროგრესირებს. ეს აშკარაა. ვიმედოვნებ წინსვლა მომდევნო შეხვედრებსაც გაგრძელდება,* - განაცხადა ახალგაზრდა თორნიკე შენგელიამ, რომელმაც გუშინ 23 ქულა (4-დან 3 სამქულიანი) და 7 პასი მიითვალა. იმასაც შევახსენებთ, რომ ბელარუსთან მას ასევე 23 ქულა ჰქონდა, ხოლო ესტონეთთან – 20.

17 ქულით ვიცე-ბომბარდირი **ჯეიკობ პულენი** გახდა, რომელმაც საქართველოს ნაკრებში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. მან ცხრიდან მხოლოდ ერთი ტყორცნა ააცილა: 6-დან 5 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი, 1-დან 1 საჯარიმო.

■ ■ ■

13 აგვისტოს საქართველოს ნაკრები გენერალურ რეპეტიციას გერმანიასთან სტუმრად გაივლის.

● ინტერვიუ მაიკ ფრატელოსთან

# შარშანაც ძლიერი გუნდი გვყავდა

**თბილისის საერთაშორისო ტურნირზე უკრაინის ნაკრები მსოფლიო მასშტაბის ამერიკელმა მწვრთნელმა მაიკ ფრატელომ ჩამოიყვანა. შეგახსენებთ, რომ იგი თბილისს 80-იან წლებშიც სტუმრობდა, როცა „ატლანტა ჰოქსს" წვრთნიდა. გუშინწინ, პრესკონფერენციისას ვეტერანმა ქართველმა კალათბურთელმა ნოდარ ქორქიამ მაიკ ფრატელოს თბილისური შეხვედრის ამსახველი ფოტოები გადასცა, რითაც ამერიკელი მწვრთნელი ძალიან გაახარა. ბატონმა ნოდარმა ფრატელოს ორი კითხვა დაუსვა, რაც ქვემორე ინტერვიუშიც შევიტანეთ.**

**ქართველ გულშემატკივარს კი დღემდე ემახსოვრება 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე მაიკ ფრატელოს მოქმედება: მისმა უკრაინამ ბელგია დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე საქართველო გავიდა. ჯგუფში ჩარჩენილმა უკრაინელმა კალათბურთელებმა უხალისოდ დატოვეს მოედანი, ფრატელო კი იმ ლოჟასთან მივიდა, სადაც საქართველოს ნაკრების კალათბურთელები ისხდნენ და ტოპ-12-ში გასვლა მიულოცა.**

**ეს ამბავი ბატონ მაიკს სპორტის სასახლეში გავახსენეთ...**

- შარშანაც ძლიერი გუნდი გყავდათ. მომდევნო ეტაპზეც სამართლიანად გახვედით, თუმცა ყველაფერი ჩვენი და ბელგიის შეხვედრაზე იყო დამოკიდებული. ისევე როგორც ყველა მატჩში, მაშინაც ბოლომდე ვიბრძოლეთ (თუმცა ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ გვქონდა) და შედეგსაც მივაღწიეთ. მანამდე ქართველებთან წაგებული გვქონდა და ბრძოლა ველარ განვაგრძეთ.

**- შარშანდელი ჩვენი ნაკრები კარგად გეყოლებოდათ შესწავლილი, წლევანდელთან შედარებით რა სხვაობას ხედავთ?**

- ევრობასკეტზე თანაბრად დაბალანსებული გუნდი გყავდათ, კარგად გაწვრთნილი და მებრძოლი. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრები ლიტვაში შორს წავიდოდა ორ წამყვან კალათბურთელს ტრავმა რომ არ მიელო. ზაზა ფაჩულიას გარეშე სულ სხვა გუნდი ვიხილეთ.

**- უკრაინის ნაკრებს წლეულს ძალიან აკლია გამოცდილი სერგეი ლიშჩუკი...**

- მას ტრავმები აქვს და ვერ გვეხმარება. ოფიციალურ შეხვედრებშიც მის გარეშე ვითამაშებთ. ევრობასკეტის შესარჩევ ტურნირზე იმ შემადგენლობით გავალთ, რომლითაც საქართველოში ვთამაშობთ.

**- რა მნიშვნელობას ანიჭებთ თბილისურ შეჯიბრებას?**

- მას ვიყენებთ კომბინაციების დასახვეწად, გუნდის შესათამაშებლად, კალათბურთელთა გამოსაცდელად. ამასთან, ყოველი მატჩის მოგებაზეც ვზრუნავდით, მაგრამ მოვლენები ყოველთვის ისე არ ვითარდება, როგორც გსურს. 15 აგვისტოს პირველი ოფიციალური შეხვედრა გველის. ამიტომ თბილისური ტურნირი შესარჩევი ტურნირის წინ გენერალური რეპეტიციაა.

**- ხორვატია, ავსტრია, უნგრეთი, კვიპროსი... ამ კომპანიაში მომდევნო ეტაპზე გასვლა რამდენად რეალურია?**

- რთული კითხვაა. წინასწარ ფავორიტების დასახელებაც შეუძლებელია. უკრაინის ნაკრები საკუთარ თამაშზე იქნება დამოკიდებული. წარმატებას იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ იმაზე უკეთესად გავირჯებით, ვიდრე ბელარუსთან მატჩში. თამაში ერთი-ორად უნდა გავაუმჯობესოთ.

**- ზოგად კითხვასაც დაგისვამთ. დღევანდელ ევროპულ კალათბურთზე რა აზრისა ბრძანდებით?**

- ევროპაში მწვრთნელები და კალათბურთელები სრულყოფისთვის ბევრს მუშაობენ, რაც დიდ პატივისცემას იმსახურებს. სწორედ შრომის შედეგია პროგრესი, რასაც ევროპული კალათბურთი განიცდის. თავად განსაჯეთ: NBA-ს კლუბებში არაერთი ევროპელი თამაშობს წამყვან როლს, მაგალითად, დირკ ნოვიცკი. ესპანეთის ნაკრები კი ამერიკას ღირსეულ წინააღმდეგობას უწევს.

**- ამერიკულ და ევროპულ კალათბურთს შორის წესებში დღესაც მნიშვნელოვანი განსხვავებებია. როგორ ფიქრობთ, არ არის დრო საერთო წესების მისაღებად?**

- სადღეისოდ ამის მიღწევა რთული იქნება, რადგან ევროპაში სხვა სისტემით თამაშობენ. მაგალითად, შარშან ევრობასკეტზე შეუსვენებლივ ხუთი თამაშის ჩატარებამ მოგვიწია. თითო შეხვედრა 40-ის ნაცვლად 48 წუთს რომ გაგრძელებულიყო, კალათბურთელები ბოლომდე ვერ მიაღწევდნენ. არის კიდევ არაერთი ნიუანსი, რაც საერთო წესების მიღებას უშლის ხელს.

**- კარიერაში ყველაზე მეტად რომელი გუნდი და კალათბურთელი დაგამახსოვრდათ?**

- „ატლანტაში" 7 წელი ვიმუშავე, კლივლენდში - 6, „მემფისში" - 3. კლივლენდელებთანაც საინტერესო იყო, მაგრამ მაინც ატლანტურ კარიერას გამოვარჩევდი, რადგან ჯორჯიული გუნდის შენება პირველი საფეხურიდან დავიწყეთ და გარკვეულ სიმაღლემდე ავედით. ამ საქმეში ძალიან დამეხმარა დომინიკ უილკინსი, რომელიც NBA-ს დიდების დარბაზში შეიყვანეს. არ მახსოვს, მისთვის ვინმეს ავტოგრაფი ეთხოვოს და უარი მიეღოს. დომინიკი ახლა „ატლანტას" ხელმძღვანელთა შტაბშია, სამუშაოს სწორად წარმართავს და გუნდიც შედეგიანად თამაშობს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის** ფოტოები



დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:25

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608